

პლაგიატის პრევენცია და მისი აღქმა სწავლულშედეგად

პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში

კვლევის ანგარიში

2016

კვლევითი ჯგუფის წევრები:

ლალი ბაქრაძე
თამარ ბრეგვაძე
ქეთევან გურჩიანი
თამარ ლორთქიფანიძე
ნინო ურუშაძე
ლიკა ღლონტი
სიმონ ჯანაშია



პროექტი განხორციელებულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

შინაარსი

შესავალი.....	6
ძირითადი საკვლევი საკითხები.....	10
კვლევის მეთოდოლოგია	10
ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები	13
გამოკითხვა	15
ვებგვერდების ანალიზი	17
ძირითადი მიგნებები	17
პლაგიატთან ბრძოლის არსებული პოლიტიკა საქართველოს უნივერსიტეტებში	17
რეგულაციები	18
პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ორგანოები	21
პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკა საქართველოს უნივერსიტეტებში	22
ინფორმირებულობა პლაგიატის შესახებ.....	22
პლაგიატის პრევენცია	28
პლაგიატის აღმოჩენა	32
პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები	39
საქართველოს უნივერსიტეტებში გავრცელებული დამოკიდებულება და ღირებულებითი შეფასება პლაგიატთან დაკავშირებით	43
კონფლიქტური დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ.....	43
კვლევის მდგომარეობა და პლაგიატი	46
მოთხოვნების და რეალობის შეუსაბამობა.....	47
ხარისხის კულტურა და იზოლაცია.....	48
ინტერტექსტუალობა და ავტორიტეტების ერთგულება.....	50
სახელმძღვანელოებით სწავლება.....	51
სტუდენტებისა და პროფესორების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები.....	53
დასკვნა.....	55
რეკომენდაციები	63
რეკომენდაციები სახელმწიფოს მიმართ.....	63

რეკომენდაციები უნივერსიტეტების მიმართ	71
რეკომენდაციების განხორციელების გზები (შემაჯამებელი ცხრილი).....	74
პლაგიატის ფორმები	80
სასარგებლო რესურსები ქართულად.....	83
დანართი I.....	85
პლაგიატი - საერთაშორისო გამოცდილება.....	85
შესავალი	85
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო.....	88
გერმანია	97
საბერძნეთი	103
ესტონეთი.....	106
ამერიკის შეერთებული შტატები	111
დასკვნები.....	115
დამოწმებული ლიტერატურა.....	119
დანართი II.....	125
აკადემიურ სფეროში პლაგიატის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა	125
1. შესავალი.....	125
1.1. დოკუმენტის მიზნები.....	125
1.2. პლაგიატის მართვის პროგრამების საჭიროება და გავრცელება	125
2. პლაგიატის ამომცნობი პროგრამები	126
2.1. პროგრამების ტიპები მათი მიზნებიდან გამომდინარე	127
2.2. პროგრამების ტიპები გამოყენების ფორმისა და ინტენსივობის მიხედვით.....	128
2.3. პროგრამების ტექნიკური მახასიათებლები	132
2.4. პლაგიატის ამომცნობი პროგრამების ხელმისაწვდომობა.....	135
3. რეკომენდაციები	137
3.1. დანერგვისთვის გასათვალისწინებელი საკითხები	137
4. პლაგიატის ამომცნობი პროგრამების ნიმუშების განხილვა	139
5. დანართები.....	143
5.1 ანგარიშების ნიმუშები	143
5.2 Glatt-ის პლაგიატის შემოწმების პროგრამა	147

6.	გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები	148
----	--	-----

შესავალი

პლაგიატი, როგორც პრობლემა, ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ტექნოლოგიების განვითარებამ და გლობალიზაციამ, ერთი მხრივ, გახსნა აკადემიური სივრცე და უფრო ერთიანი გახადა, მეორე მხრივ, სპეციფიკური პრობლემების წინაშე დააყენა, რომელთაგან ერთ-ერთი პლაგიატის ზრდაა (Diekhoff, LaBeff et al. 1996, Park 2003). დასავლურ-ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტები პლაგიატის და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ზრდაზე მიუთითებენ. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის საერთაშორისო სივრცეში ჩართვა ხანგრძლივი იზოლაციის დასრულებას ნიშნავდა. საინტერესოა, ამ ფონზე რა ტენდენციები იჩენს თავს პოსტ-საბჭოთა აკადემიურ სივრცეში, კერძოდ, საქართველოში, რა არის ის გავრცელებული აკადემიური ეთოსი, რომლითაც ქართული აკადემიური სივრცე საერთაშორისო სივრცის ნაწილი ხდება და რა სიახლე მოიტანა ამ სივრცის გახსნამ.

მოცემული ანგარიში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების 1500-მდე წარმომადგენლის მოსაზრებებს ეყრდნობა და ქვეყანაში პლაგიატის საკითხთან დაკავშირებულ ოფიციალურ პოლიტიკას, პრაქტიკასა და პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებებს მიმოიხილავს.

განხორციელებული კვლევა უფრო ფართო ინიციატივის ნაწილია, რომელიც პლაგიატთან ბრძოლის წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას, საქართველოში პლაგიატის პრევენციისა და იდენტიფიცირებისათვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების შედარებით ანალიზსა და აკადემიური სივრცის წარმომადგენლების მონაწილეობით პლაგიატის თემაზე საჯარო დისკუსიების ორგანიზებას გულისხმობს.

შესაბამისად, მოცემული კვლევის მიგნებები და დასკვნები, პროექტის სხვა კომპონენტების მიგნებებთან ერთობლიობაში, საქართველოში პლაგიატის საკითხის შესახებ ფართომასშტაბიანი დისკუსიისა და პლაგიატთან ბრძოლის ქმედითი ღონისძიებების შემუშავებას ისახავს მიზნად.

პლაგიატის გავრცელების და ზოგადად აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ მრავალი კვლევა არსებობს (Scollon 1995, Pennycook 1996, Noah and Eckstein 2001, Park 2003). არსებული

კვლევები მიუთითებს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში აკადემიური კეთილსინდისიერების ზოგიერთი თავისებურების და პრობლემურობის შესახებ (Umland 2005, Heyneman 2007). პოსტ-საბჭოთა აკადემიური სივრცე ხშირად აკადემიური კეთილსინდისიერების იმგვარი გაგებით გამოირჩევა, რომელიც არ არის ხოლმე თავსებადი აკადემიური კეთილსინდისიერების დასავლურ-ევროპულ და ჩრდილო ამერიკულ გაგებასთან.

აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის კვლევისას მნიშვნელოვანია კულტურული საფუძვლების ანალიზი, რომელიც ამა თუ იმ ქმედებისკენ უბიძგებს აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს (კროს-კულტურული ანალიზის მაგალითია Deconstructing Plagiarism: International Students and Textual Borrowing Practices ((Amsberry 2009)). ბრიტანეთში Niall Hayes-ის და Lucas D. Introna-ს ჩატარებული კვლევა Cultural Values, Plagiarism, and Fairness: When Plagiarism Gets in the Way of Learning, რომელიც 2005 წელს გამოქვეყნდა (Hayes and Introna 2005), ანალიზებს, რაში მდგომარეობს აკადემიური კეთილსინდისიერება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის, რა აყალიბებს მათ ქცევას და მათ დამოკიდებულებას აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან, კულტურულ მოდელებთან კავშირში. ამ კვლევის მიხედვით, ის, რაც ზოგიერთი კულტურისთვის მისაბამ და მოსაწონ საქციელად ითვლება, ბრიტანული აკადემიური კულტურისთვის მიუღებელია. სტუდენტების მოტივაცია და გამოცდილებაც, ისევე როგორც ნდობა აკადემიური გარემოსადმი, ხშირად განსხვავებული ქმედებისკენ უბიძგებს. კულტურული თავისებურებების ანალიზის მაგალითია ასევე Pennycook-ის (Pennycook 1996) კვლევა, რომლის მიხედვითაც ჩინელი სტუდენტების მიერ ცნობილი ავტორიტეტების სიტყვების მითვისება პატივისცემის გამოხატულება უფროა ვიდრე არაკეთილსინდისიერი ქმედება.

საბჭოთა სივრცე სხვადასხვა ისტორიის და მეცნიერული ტრადიციის მქონე ქვეყნებს და ხალხებს აერთიანებდა, თუმცა მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით მსგავსებები შეიმჩნევა. როგორც ჩანს, პოსტ-საბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი ქმედება საბჭოთა პერიოდში ფესვგადგმულ ეთოსს, ქცევის წესს (ან ბურდიესეულ ჰაბიტუსს) უნდა მიეწეროს. საბჭოთა ეთოსიდან, რომელიც სავარაუდოდ ახლაც ახდენს გავლენას ქცევის წესზე და ფესვგადგმული ეთოსია, შეგვიძლია გამოვყოთ: 1. ავტორიტეტების უპირობო აღიარება. 2. ფართოდ გავრცელებული ინტერტექსტუალობა (Yurchak 2013). 3. ინდივიდუალიზმის და

კრიტიკული აზროვნების ჩახშობა და 4. თავსმოხვეული სტრატეგიების პირისპირ, არსებული წესების წინააღმდეგ ყოველდღიური ტაქტიკის ფართოდ გამოყენება (Kotkin and Richardson 1995, Ledeneva 1998, Fitzpatrick 1999, Fitzpatrick 2005).

საბჭოთა პერიოდში გავრცელებული პატრიმონიალიზმი, სახელმწიფო, როგორც ავტორიტეტული მშობელი, ისევე როგორც მოლოდინი, რომ მოქალაქე მორჩილი და ავტორიტეტების ერთგული უნდა ყოფილიყო, აყალიბებდა საბჭოთა მოქალაქის ცხოვრების წესს (Verdery 1994). ამავდროულად, არსებული წესების და მკაცრი კონტროლის პირობებში იქმნებოდა აუცილებლობა, მოეძებნათ გამოსავალი თავის არიდების, “შეფუთვის” სხვადასხვა ტაქტიკებით. ერთ-ერთი ამგვარი ტაქტიკა არის სამეცნიერო ლიტერატურაში საბჭოთა ყოველდღიურობიდან შესული ტერმინი “ხალტურა” (Ledeneva 1998): როცა სინამდვილეში არ აკეთებ იმას, რასაც აჩვენებ, რომ აკეთებ. ამგვარი ქმედება თავის დროზე აუცილებელი იყო ხოლმე თავსმოხვეული და ხშირად შეუძლებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. “ხალტურა” საბჭოთა ეკონომიკის და ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. არაფორმალური კავშირები და ქსელები კი ყოველდღიურობაში, მათ შორის, აკადემიურ სივრცეში გადარჩენის აუცილებელი პირობა იყო. კვლევის შედეგების ანალიზისას ვნახავთ, რა როლს ასრულებს ეს ეთოსი აკადემიურ სივრცეში დღეს.

პოსტ-საბჭოთა სივრცეში გავრცელებული პლაგიატი და აკადემიური არაკეთილსინდისიერება, როგორც საბჭოთა ქცევის წესი სხვადასხვა ნაშრომებშია განხილული. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ კრიტიკული აზროვნების განდევნას, ინდოქტრინიზაციის ათწლეულებს ჯერ კიდევ წარმმართველი როლის აქვს საუნივერსიტეტო სივრცეში (Umland 2005, Burkhalter and Shegebayev 2012). ამავდროულად, პოსტ-საბჭოთა სივრცეში თანდათან შემოდის ავტონომიური ინდივიდის მოდელი, რომელიც ამ დისკურსის მიხედვით თავად არის ცვლილების შემომტანი და დისტანცირდება „დამოკიდებული“, ავტორიტეტების ერთგული ინდივიდის სახისგან.

მოცემული კვლევა ამ ჰიბრიდულობის გათვალისწინებით განიხილავს დამოკიდებულებას პლაგიატის მიმართ. მისი მიგნებები ამ მხრივ ბევრ საინტერესო ნიუანსს წარმოაჩენს და საქართველოში პლაგიატის საკითხთან მიმართებაში როგორც პრობლემური ასპექტების, ისე წარმატებული პრაქტიკის არსებობაზე მიუთითებს.

კვლევის განხორციელება წარმოუდგენელი იქნებოდა კვლევაში ჩართული სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხარდაჭერისა და გულახდილობის გარეშე.

მადლობას მოვახსენებთ კვლევაში ჩართულ ყველა პირს ანგარიშის შემუშავებაში შეტანილი წვლილისთვის და იმედი გვაქვს, რომ მოცემული კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში პლაგიატის საკითხზე კონსტრუქციული მსჯელობის ფორმირებას.

ძირითადი საკვლევი საკითხები

მოცემული კვლევის მიზანია საქართველოს აკადემიურ სივრცეში პლაგიატთან დაკავშირებული ა) პოლიტიკის, ბ) პრაქტიკისა და გ) დამოკიდებულების შესწავლა.

შესაბამისად, მკვლევართა ინტერესს წარმოადგენდა ინფორმაციის შეგროვება:

- პლაგიატის წინააღმდეგ მიმართული ფორმალური რეგულაციებისა და არაფორმალური მექანიზმების არსებობის შესახებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- პლაგიატის მასშტაბის შეფასებების შესახებ უსდ-სა (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება შემოკლებით მოიხსენიება, როგორც უსდ) და ქვეყანაში;
- პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედ და სასურველ მექანიზმებზე;
- პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელ და ხელისშემწყობ ფაქტორებზე; და
- პლაგიატთან ბრძოლის ახალი მექანიზმების დანერგვისთვის მზაობის თაობაზე.

კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა, პირობითად, ორ ძირითად კომპონენტად შეიძლება დაიშალოს:

- პლაგიატის შესახებ დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების) აზრისა და დამოკიდებულებების კვლევა; და
- პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და დოკუმენტების ხილვადობისა და შინაარსის შეფასება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდების სტრუქტურული და შინაარსობრივი ანალიზის მეშვეობით.

კვლევა განხორციელდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, თუმცა რაოდენობრივი მეთოდებით მიღებული მონაცემები მეტწილად დამხმარე ხასიათს ატარებს და ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ძირითადად თვისებრივი მეთოდებით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს ეყრდნობა.

პლაგიატის შესახებ აზრისა და დამოკიდებულებების კვლევის კომპონენტში ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოში მოქმედი ის უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლები, რომლებსაც ჰყავთ სტუდენტები სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე აქტიური სტატუსით.

სამიზნე უნივერსიტეტებიდან პლაგიატის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად განხორციელდა:

- ა) ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლების, ისევე როგორც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ელექტრონული გამოკითხვა;
- ბ) ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან.

სამიზნე უნივერსიტეტების შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებული იქნა საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სია.

საველე სამუშაოები განხორციელდა 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის იანვრის ჩათვლით.

საველე სამუშაოების ადმინისტრირებაში კვლევით ჯგუფს დახმარება გაუწიეს უნივერსიტეტების ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლებმა. კერძოდ, თავდაპირველად მოხდა უნივერსიტეტების რექტორების მიერ ხარისხის მართვის სამსახურებიდან საკონტაქტო პირის ნომინირება კვლევისათვის. შემდგომში საკონტაქტო პირებმა კოორდინაცია გაუწიეს ელექტრონული გამოკითხვის ადმინისტრირებას უნივერსიტეტის შიგნით და თვისებრივი კომპონენტისათვის მონაწილეთა რეკრუტირებას კვლევითი ჯგუფის მიერ შემუშავებული შერჩევის სტრატეგიის მიხედვით.

ზოგადად, მოცემული კვლევა უნივერსიტეტების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა, კვლევით ჯგუფს ამ პროცესში მხოლოდ დამხმარე ფუნქცია ჰქონდა. ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და რექტორთა საბჭომ, როგორც საჭიროებათა კვლევის ეტაპს პლაგიატთან ბრძოლის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისთვის.

კვლევის ანონიმურობის უზრუნველყოფისათვის გამოყენებულ იქნა გამოკითხვის ელექტრონული პლატფორმა. ელექტრონული ბმული დაიგზავნა სტუდენტებისა და პროფესორების ელექტრონულ მისამართებზე.

რესპონდენტთა პასუხების შეგროვება სერვერზე ავტომატურად და ანონიმურად (არ ფიქსირდებოდა რესპონდენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები) ხდებოდა. კითხვარებში რესპონდენტებს, აგრეთვე, არ მოეთხოვებოდათ უნივერსიტეტის მითითება.

სამიზნე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის გასამდიდრებლად, კვლევის ფარგლებში დამატებით განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუები ცალკეული უნივერსიტეტების ადმინისტრაციასთან, სფეროს ექსპერტებთან და ასევე, იმ სტუდენტებთან, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ისწავლეს საზღვარგარეთ სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურზე.

საერთო ჯამში პლაგიატის შესახებ აზრისა და დამოკიდებულებების კვლევის კომპონენტში მონაწილეობა მიიღო 1300-მდე რესპონდენტმა.

ვებგვერდების შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზის კომპონენტის სამიზნე ჯგუფს საქართველოში მოქმედი ყველა აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენდა.

ცხრილი 1 ასახავს კვლევითი პროექტის სამიზნე ჯგუფებს (შერჩევის საბოლოო ერთეულებს) და კვლევის ფარგლებში გამოყენებულ მეთოდებს.

ცხრილი N 1 სამიზნე ჯგუფები (შერჩევის ერთეულები) და კვლევის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები

სამიზნე ჯგუფი	გამოკითხვა	ფოკუს ჯგუფი	ინტერვიუ	სიღრმისეული ინტერვიუ	ანალიზი	შინაარსობრივი ანალიზი
საქართველოში აკრედიტირებული უნივერსიტეტების საფეხურის სტუდენტები (აქტიური სტატუსით)		✓				
საქართველოში აკრედიტირებული უნივერსიტეტების საფეხურის სტუდენტები (აქტიური სტატუსით)	✓	✓				
საქართველოში აკრედიტირებული უნივერსიტეტების საფეხურის სტუდენტები (აქტიური სტატუსით)	✓	✓				
საქართველოში აკრედიტირებული უნივერსიტეტების პროფესორები	✓	✓				
საქართველოში აკრედიტირებული უნივერსიტეტების სრული პროფესორები	✓	✓				
საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლები ან	✓	✓		✓		

შესაბამისი ფუნქციის მქონე პირები	
სტუდენტები, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ისწავლეს სადოქტორო ან სამაგისტრო საფეხურზე საზღვარგარეთ	✓
სფეროს ექსპერტები	✓
საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდები	✓

ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები

ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები, ძირითადად, გულისხმობდა თავისუფალ დისკუსიას ძირითადი საკვლევი საკითხების ირგვლივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

კომპონენტის ფარგლებში კვლევის პირველადი და საბოლოო ერთეულების შერჩევისათვის გამოყენებული იქნა სამი სტრატეგიის კომბინაცია: (1) ტიპური შემთხვევების შერჩევა, (2) კრიტიკული შემთხვევების შერჩევა; და (3) მაქსიმალური ვარიაციის პრინციპით შერჩევა.

კერძოდ, პირველადი ერთეულების - უნივერსიტეტების შერჩევისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი მიდგომები:

ა) საჯარო უნივერსიტეტების შერჩევისათვის გამოყენებული იქნა ტიპური ქეისების შერჩევის სტრატეგია (არჩეული იქნა ორი უნივერსიტეტი თბილისში და ორი უნივერსიტეტი რეგიონში, სადაც სწავლობს სტუდენტების დიდი რაოდენობა).;

ბ) კერძო უნივერსიტეტების შერჩევისათვის გამოყენებული იქნა კრიტიკული ქეისების შერჩევის სტრატეგია (არჩეული იქნა ერთი უნივერსიტეტი თბილისში);

უნივერსიტეტების შიგნით სტუდენტებისა და პროფესორების შერჩევა მოხდა მაქსიმალური ვარიაციის პრინციპის თანახმად:

ა) სტუდენტების თითოეულ ფოკუს ჯგუფში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები (ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო);

ბ) პროფესორების თითოეულ ფოკუს ჯგუფში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სტატუსის (ასოცირებული და სრული) და სხვადასხვა მიმართულების პროფესორები (ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო).

თითოეულ სამიზნე უნივერსიტეტში განხორციელდა ორი ფოკუს ჯგუფი ცალ-ცალკე პროფესორებისა და სტუდენტების მონაწილეობით.

თითოეულ ჯგუფში ჩართული იყო 10-დან 15-მდე რესპონდენტი. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში სულ ჩატარდა 10 ფოკუს ჯგუფი, რომელშიც 150-მდე სტუდენტი და პროფესორი მონაწილეობდა. ტექსტში მოყვანილია ამონარიდები რესპონდენტების გაშიფრული აუდიო ჩანაწერებიდან.

ფოკუს ჯგუფების მოდერირებას კვლევითი ჯგუფის ერთი წევრი (ძირითადად, დამოუკიდებლად, ან, რიგ შემთხვევებში, ასისტენტის დახმარებით) ახორციელებდა. კითხვების პირველი ბლოკი მიზნად ისახავდა მონაწილეებთან მსჯელობას პლაგიატის განმარტებაზე, ასევე, პლაგიატთან დაკავშირებული რეგულაციების ცნობადობისა და გამოყენების შესახებ. მეორე ბლოკში რესპონდენტებთან განვიხილავდით ორგანიზაციული კულტურის საკითხებს, აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამომწვევ მიზეზებს. მესამე ბლოკში მსჯელობის საგანს პლაგიატის მიმართ დამოკიდებულებები და პლაგიატთან ბრძოლის სტრატეგიები წარმოადგენდა.

დამატებით განხორციელდა 20 ინტერვიუ იმ სტუდენტებთან, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში განათლება საზღვარგარეთ მიიღეს (რესპონდენტები შეირჩა Erasmus+ ეროვნული ოფისისა და განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელთ არსებული ბაზიდან შემთხვევითი შერჩევით), ისევე როგორც ცალკეული უნივერსიტეტების ადმინისტრაციასთან და სფეროს ექსპერტებთან (15 ინტერვიუ).

გამოკითხვა

გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული პროგრამის Survey Monkey გამოყენებით. ინსტრუმენტები შემუშავდა ცალ-ცალკე თითოეული ჯგუფისათვის (სტუდენტები, ადმინისტრაცია, პროფესორები)¹.

გამოკითხვა ჩატარდა საქართველოში მოქმედ ყველა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მოქმედებს სადოქტორო ან სამაგისტრო საფეხური და ამ საფეხურებზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

საკონტაქტო პირებს ყველა (38) სამიზნე უნივერსიტეტში² დაეგზავნათ ბმულები სამი სხვადასხვა კითხვარის შესავსებად: ადმინისტრაციის (ხარისხის მართვის სამსახურების) კითხვარი, სტუდენტების კითხვარი, აკად. პერსონალის კითხვარი. უნივერსიტეტის შიგნით ბმულის გავრცელებაზე პასუხისმგებელი იყო საკონტაქტო პირი უნივერსიტეტში.

სტუდენტების გამოკითხვის სამიზნე ჯგუფი იყო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები - უნივერსიტეტების შიგნით კითხვარი დაეგზავნა ამ საფეხურის ყველა სტუდენტს.

აკადემიური პერსონალის გამოკითხვისას სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა ასოცირებული და სრული პროფესორები - უნივერსიტეტის შიგნით კითხვარი დაეგზავნა ამ სტატუსის მქონე ყველა პროფესორს.

მონაცემების შეგროვება გრძელდებოდა სამი კვირის განმავლობაში.

საერთო ჯამში გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1126-მა რესპონდენტმა: 33 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა (38 სამიზნე უნივერსიტეტიდან); 583-მა სტუდენტმა (გენერალური ერთობლიობის 4%) და 510-მა პროფესორმა (გენერალური ერთობლიობის 9%), რაც დიდი გენერალური ერთობლიობისთვის ელექტრონული გამოკითხვის შემთხვევაში საკმარის რაოდენობას წარმოადგენს (Nulty 2008).

¹ კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტი წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების კვლევის ადაპტირებულ ვერსიას - Canham, A.A. (2008). Evaluating academic integrity and outreach efforts: changes in perceptions over a three-year period. McCabe Academic Integrity Survey Instrument, Texas Tech University.

² საქართველოში მოქმედი 75 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან შერჩევის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა 38 უნივერსიტეტი.

ცხრილი N 2 სტუდენტებისა და პროფესორების განაწილება ძირითადი ჭრილების მიხედვით (სამიზნე უნივერსიტეტები)

სტუდენტები		თბილისი		რეგიონი		სულ
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა
გენ. ერთობლიობა	საჯარო	10115	62%	1933	12%	12049
	კერძო	4057	25%	100	1%	4157
გამოკითხულთა ჯგუფი	საჯარო	364	63%	72	12%	437
	კერძო	142	24%	4	1%	146

პროფესორები		თბილისი		რეგიონი		სულ
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა
გენ. ერთობლიობა	საჯარო	3147	56%	1115	20%	4262
	კერძო	1237	22%	109	2%	1346
გამოკითხულთა ჯგუფი	საჯარო	345	52%	137	21%	482
	კერძო	165	25%	21	3%	186

კვლევის ფარგლებში არ მოიაზრებოდა შედეგების განზოგადება უნივერსიტეტების მიხედვით. ძირითადი ჭრილების მიხედვით - უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა (თბილისი/რეგიონი) და ტიპი (კერძო/საჯარო) რესპონდენტთა განაწილება ემთხვევა განაწილებას გენერალურ ერთობლიობაში (იხ. ცხრილი 2).

გამოკითხულთა განაწილებაში ძირითადად დაცულია უნივერსიტეტების მიხედვით სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის განაწილების პროპორციებიც, თუმცა თვითშერჩევის პრინციპის გამოყენების გამო მცირედ დარღვეულია ორი მსხვილი საჯარო უნივერსიტეტის (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი) წილი - ეს უნივერსიტეტები გამოკითხულთა შორის ნაკლები წილით არიან წარმოდგენილნი).

ელექტრონულ გამოკითხვებში მონაწილეთა ბაზის შეწონვა რეკომენდირებული არ არის (Brick and Kalton 1996), შესაბამისად ბაზაში შენარჩუნებულია ორიგინალური პროპორციები. ამასთანავე, გამოკითხვაში პროფესორებმა და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს თვითშერჩევის პრინციპით. ამ მიზეზების გათვალისწინებით, რაოდენობრივი კომპონენტის შედეგების განზოგადება გენერალურ ერთობლიობაზე არ ხდება და შედეგების ინტერპრეტაცია მხოლოდ ტენდენციებზე მსჯელობისთვის გამოიყენება.

ვებგვერდების ანალიზი

ეს კომპონენტი გულისხმობდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდზე პლაგიატის მარეგულირებელი დოკუმენტების იდენტიფიკაციასა და შინაარსობრივ ანალიზს.

სამიზნე ერთობლიობას წარმოადგენდა კვლევის მომენტისათვის საქართველოში აკრედიტებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

2015 წლის სექტემბრისთვის საქართველოში მოქმედი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან (74), შესაძლებელი იყო 71 დაწესებულების ვებგვერდის ანალიზი (3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კვლევის განხორციელების მომენტისათვის ვებგვერდი არ ჰქონდა).

ძირითადი მიგნებები

პლაგიატთან ბრძოლის არსებული პოლიტიკა საქართველოს უნივერსიტეტებში

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პლაგიატის საკითხთან დაკავშირებული ოფიციალური პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს ფორმალური რეგულაციები და მარეგულირებელი ორგანოები წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევის საგანს პოლიტიკის ანალიზისას ეს ორი ასპექტი წარმოადგენდა.

პლაგიატთან დაკავშირებული ოფიციალური პოლიტიკის შესწავლისას ძირითად წყაროდ უნივერსიტეტების ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები გამოვიყენეთ, რადგან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწორედ ეს ორგანოა, ძირითადად, ამგვარი რეგულაციების შემოღების ინიციატორი. ხარისხის მართვის ორგანოები, ჩვეულებრივ, უფრო სრულ ინფორმაციას ფლობენ რეგულაციებისა და მათი შინაარსის შესახებ.

დამატებით წყაროებად გამოყენებული იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებული დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზის, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები.

რეგულაციები

საქართველოში პლაგიატი ან აკადემიური კეთილსინდისიერება უმაღლესი განათლების შესახებ კანონით არ განისაზღვრება, თუმცა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით უმაღლესი საგანმანათლებლოს დაწესებულება: (მუხლი 10. ბ) „შეიმუშავებს წესდებას, ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და წესს“. მუხლი 18, ბ ამ ფუნქციას უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს ანიჭებს. მუხლი 37, 2 ბ) აკადემიური პერსონალის ვალდებულებად განსაზღვრავს ეთიკის კოდექსის დაცვას. მუხლი 47, 7 უნივერსიტეტს სტუდენტებისთვის ეთიკის კოდექსის შემუშავებასაც ავალდებულებს. ამ კოდექსით „საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.“

საქართველოს უნივერსიტეტებში პლაგიატთან დაკავშირებული რეგულაციების ანალიზისას ხუთ ძირითად საკითხზე გავამახვილეთ ყურადღება:

- რომელი ძირითადი დოკუმენტები არეგულირებს პლაგიატის საკითხს?
- რა ხარისხით და რა თანაფარდობით არის გაშლილი პლაგიატის საკითხი ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებში (ეთიკის კოდექსი, უნივერსიტეტის წესდება, სადისერტაციო საბჭოს დებულება, აკადემიური ნაშრომის გაფორმების წესი)?
- რამდენად ხელმისაწვდომია ეს ძირითადი დოკუმენტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდზე?
- რამდენად დეტალურად არის გაშლილი მარეგულირებელ დოკუმენტებში პლაგიატის დეფინიციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების საკითხები?
- მიემართება თუ არა პლაგიატთან დაკავშირებული რეგულაციები თანაბრად აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს?

ხარისხის სამსახურის უფროსების გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ პლაგიატის საკითხები ასახულია თითქმის ყველა უნივერსიტეტის მინიმუმ ერთ ნორმატიულ დოკუმენტში ან

ინსტრუქციაში - ამ მიმართულებით კონკრეტული დოკუმენტი გამოკითხული უნივერსიტეტიდან მხოლოდ ორმა უნივერსიტეტმა არ მიუთითა. ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლების 70%-ზე მეტი საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტების ჩამონათვალიდან ერთზე მეტ წყაროს აღნიშნავს.

ცხრილი N 3 რომელი დოკუმენტები არეგულირებს უნივერსიტეტში პლაგიატს, რა ინფორმაციას შეიცავს ეს დოკუმენტები და გამოქვეყნებულია თუ არა ისინი ვებგვერდზე? - ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა გამოკითხვა, N=33)

დოკუმენტი შეიცავს შემდეგ
შინაარსობრივ კომპონენტებს პლაგიატთან
დაკავშირებით

	დოკუმენტი არეგულირებს პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებს (დიახ - რაოდ (%))	დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე (დიახ -რაოდ)	პლაგიატის განმარტებას (დიახ -რაოდ)	პლაგიატის აღმოჩენას (დიახ -რაოდ)	პლაგიატზე რეაგირებას (დიახ - რაოდ)
ეთიკის კოდექსი	19 (58%)	16	17	3	13
უნივერსიტეტის წესდება	6 (18%)	6	4	3	4
სადისერტაციო საბჭოს დებულება	14 (42%)	12	9	5	11
ნაშრომის გაფორმების წესი ³	16 (48%)	11	12	9	10

თუმცა სიტუაცია ნაკლებად ოპტიმისტურად გამოიყურება, თუ უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სხვა ჭრილში გავაანალიზებთ. კერძოდ, **პლაგიატის საკითხი არათანმიმდევრულად არის გაშლილი უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტებში - შესაძლებელია ასახული იყოს ერთ დოკუმენტში და არ იყოს ასახული მეორეში.** მაგალითად, ეთიკის კოდექსი და ნაშრომის გაფორმების წესი პლაგიატის საკითხის მარეგულირებელ დოკუმენტად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ტექსტში მოხსენიებული იქნება, როგორც უსდ) დაახლოებით ნახევარში დასახელდა. უნივერსიტეტის წესდება პლაგიატის საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტის ფუნქციას უნივერსიტეტების მხოლოდ მეხუთედში ასრულებს (ცხრილი 3).

³ ჩამონათვალი მოცემული ძირითადი დოკუმენტების გარდა რესპონდენტთა მიერ დასახელდა სხვა წყაროებიც, მაგალითად: სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის დებულებები, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების ზოგადი წესები და კურსების სილაბუსები

ის დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს პლაგიატის საკითხებს, ყოველთვის არ არის გამოქვეყნებული ვებგვერდზე. მაგალითად, 5 უნივერსიტეტში 16-დან, სადაც პლაგიატის საკითხის მარეგულირებელ დოკუმენტად ნაშრომის გაფორმების წესი დასახელდა, ეს დოკუმენტი არ არის გამოქვეყნებული ვებგვერდზე.

ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგების თანახმად, ჩამოთვლილ ნორმატიულ დოკუმენტებში არათანაბრადაა გაშლილი სხვადასხვა ასპექტი (პლაგიატის განმარტება, აღმოჩენისა და რეაგირების წესები). ყველაზე ნაკლებად გაშლილ ასპექტს პლაგიატის აღმოჩენის წესი წარმოადგენს. ეს ასპექტი ასახულია მხოლოდ სამი სამიზნე უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში.

უნივერსიტეტების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზის შედეგების თანახმად, პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ძირითადად გამოიყენება სადამსჯელო ქმედებები, როგორიცაა გამოცდის ქულის გაუქმება, კურსის ხელმეორედ აღება, გაფრთხილების მიცემა, სტუდენტის სტატუსის გაუქმება და სხვ. ამ რეგულაციებით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ დოკუმენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების ფოკუსი უფრო მეტად სტუდენტზეა მიმართული.

ხშირად ეთიკის კოდექსიც მხოლოდ სტუდენტებთან მიმართებაში განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს. მაგალითად: „სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება აკადემიური სიყალბე“, „სტუდენტებს არ აქვთ უფლება სხვა პიროვნების ნამუშევარი წარმოაჩინონ როგორც საკუთარი ნამუშევარი“; „სტუდენტებს არ აქვთ უფლება რომელიმე ავტორის ციტატა ან გამონათქვამი გამოიყენონ საკუთარ ნამუშევარში წყაროს მითითების გარეშე“.

უნივერსიტეტების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზი იმასაც მიგვანიშნებს, რომ უსდ-ების დიდი ნაწილის გაცხადებული პოლიტიკა უფრო მეტად ორიენტირებულია დასჯაზე ვიდრე პრევენციაზე. არსებობს ფულადი ჯარიმებიც, იმ შემთხვევებისთვის, როცა სტუდენტს პლაგიატს ან თაღლითობას აღმოუჩენენ. ერთ-ერთ უსდ-ში რექტორი ერთპიროვნულად წყვეტს, რა ტიპის სანქცია უნდა დაუწესდეს სტუდენტს. უსდ-ების ძალიან მცირე ნაწილი აცხადებს, რომ უნივერსიტეტის მთავარი მიზანი არის არა სტუდენტთან ბრძოლა, არამედ სწავლება, როგორ უნდა დაიცვას აკადემიური პატიოსნება და არ დაუშვას პლაგიატი. ამ შემთხვევებში უსდ-ს გაცხადებული პოლიტიკაა, რომ

ყურადღება არ მიაქციოს პლაგიატის თითოეულ შემთხვევას: “თუ ამას ვიზამთ, სტუდენტების 90% უბრალოდ უნდა ჩავჭრათ”, განმარტავს ერთ-ერთი უსდ-ს ფაკულტეტის დეკანი.

უმეტეს შემთხვევებში პლაგიატის განმარტება ვიწროა და ძალიან მსგავსი უნივერსიტეტების მიხედვით. უნივერსიტეტების ნორმატიულ დოკუმენტებში პლაგიატი ძირითადად განმარტებულია, როგორც წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ჩართვა ტექსტში: „ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე“, „...სხვისი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ მითვისება“, „სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება“. ფოკუსს ჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში რესპონდენტები საუბრობენ პლაგიატის ისეთ გამოვლინებებზე, როგორიცაა „უნებლიე პლაგიატი“, „ციტატების კოლაჟი“ და ა.შ., რომელიც ოფიციალურ მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის ასახული.

პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ორგანოები

გამოკითხვაში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დიდ ნაწილში არ მოქმედებს პლაგიატის საკითხის მარეგულირებელი მუდმივმოქმედი კომისიები. ამ მხრივ სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდება უნივერსიტეტის ადგილმდებარეობისა და ტიპის მიხედვით. მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო დაბალია საჯარო, ვიდრე კერძო უნივერსიტეტებში, რეგიონში, ვიდრე თბილისში.

ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთაგან დაახლოებით ნახევარმა აღნიშნა, რომ მათ უნივერსიტეტში არსებობს პლაგიატის მარეგულირებელი ორგანო ფაკულტეტის დონეზე, ხოლო მესამედმა მიუთითა, რომ ამგვარი ორგანო არსებობს უნივერსიტეტის დონეზე.

ხარისხის სამსახურის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მუდმივმოქმედი ორგანოების არარსებობის პირობებში, პლაგიატზე რეაგირებისათვის რექტორის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისიები, თუმცა ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის.

პლაგიატთან ბრძოლის პრაქტიკა საქართველოს უნივერსიტეტებში

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებული წესები და გავრცელებული პრაქტიკა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. როგორც პლაგიატის განმარტების, ისე აღმოჩენის მექანიზმის და სანქციების შემთხვევაში აკადემიური პერსონალი ყოველდღიურობაში ძირითადად საკუთარი შეხედულებებით მოქმედებს.

გავრცელებული პრაქტიკის კუთხით კვლევის მიგნებები სტრუქტურირებულია შემდეგი ოთხი ასპექტის მიხედვით: ა) ინფორმირებულობა; ბ) პრევენცია; გ) აღმოჩენის მექანიზმები და დ) რეაგირების მექანიზმები.

ინფორმირებულობა პლაგიატის შესახებ

აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან დისკუსიის შედეგები მკაფიოდ მიუთითებს, რომ პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის პრობლემა მწვავეა, განსაკუთრებით სტუდენტებში.


„ბაკალავრიატში რომ ვსწავლობდი, არანაირი ინფორმაცია არ მქონდა. არანაირი საინფორმაციო სამუშაო არ ხდებოდა ბაკალავრიატში. დოქტორანტი გახლავართ და მე არც მაგისტრატურაში და არც დოქტორანტურაში არ გამიგია ამაზე არაფერი (დოქტორანტი).

“საინფორმაციო კამპანია უნდა იყოს, სანქციებამდე სანამ მივალთ, ელემენტარულად ხალხმა არ იცის, რა არის პლაგიატი” (მაგისტრანტი).

იმავე ტენდენციაზე მიგვანიშნებს სტუდენტების გამოკითხვის შედეგებიც. კერძოდ, გამოკითხული სტუდენტების დაახლოებით ნახევარმა არ იცის, არსებობს თუ არა უნივერსიტეტში პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა (სქემა 1) - სწავლის საფეხურის მიხედვით ამ მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოიკვეთა. სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი მხოლოდ უნივერსიტეტის სტატუსთან კორელირებს: კერძო უნივერსიტეტებში უფრო მეტი სტუდენტი ადასტურებს ამ პოლიტიკის არსებობას (64%) ვიდრე საჯარო უნივერსიტეტებში (38%). კერძო უნივერსიტეტებში ამ პოლიტიკას სრულად იცნობს 36%, ხოლო საჯარო უნივერსიტეტებში - გამოკითხულთა

მხოლოდ 14%. სხვა ნიშნით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები სტუდენტების მოსაზრებებში არ ვლინდება (მაგალითად, უნივერსიტეტის მდებარეობის, სწავლის საფეხურის ან ასაკის მიხედვით).

სქემა N1 არსებობს თუ არა თქვენს უნივერსიტეტში პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა? - სტუდენტების გამოკითხვა (რესპონდენტთა პასუხების % უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით)



ფოკუს ჯგუფებში მსჯელობისას აკადემიური პერსონალი ნაკლებად თვითკრიტიკული იყო პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის თვითშეფასებისას, ვიდრე სტუდენტები. ფოკუს ჯგუფებში მიმდინარეობდა მსჯელობა აკადემიურ პერსონალში პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობაზე, თუმცა პროფესორები ძირითადად სხვებზე და არა საკუთარ თავზე საუბრობდნენ.

პროფესორების თვითშეფასება უფრო კრიტიკული აღმოჩნდა გამოკითხვაში, ვიდრე ფოკუს ჯგუფებში, რაც სავარაუდოდ გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტთა ანონიმურობის დაცვით შეიძლება აიხსნას. გამოკითხულ აკადემიურ პერსონალს (ასოცირებულ და სრულ პროფესორებს) ვთხოვეთ, შეეფასებინათ პლაგიატის შესახებ მათი ინფორმირებულობა ხუთბალიან სკალაზე, სადაც 5 იყო მაქსიმალური ქულა. პროფესორების მიერ ამ კომპონენტისათვის მინიჭებული ქულების საშუალო 3.5-ს შეადგენს, ამასთანავე გამოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით, კერძო უნივერსიტეტების პროფესორთა თვითშეფასება ამ კომპონენტში უფრო მაღალია (3.9) ვიდრე საჯარო უნივერსიტეტებისა (3.1).

აკადემიურ პერსონალში პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობაზე სტუდენტების კომენტარებიც მიგვანიშნებს. სტუდენტების აზრით, მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის გაზრდა პროფესორებში, რომელთა ნაწილისთვის კვლევითი სტატიების წერა და წერის კულტურის განვითარება ასევე პრობლემურია:

“პროპაგანდა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტუდენტებში. პროფესურაში არის დიდი სამუშაო ჩასატარებელი, შეიძლება სტუდენტმა არ იცოდეს და ხელმძღვანელმა უნდა მიაწოდოს და ამისათვის თვითონ უნდა იცოდეს კარგად.” (მაგისტრანტი)

ასევე, საკმაოდ კრიტიკულია ხარისხის მართვის სამსახურების შეფასებაც. რესპონდენტთა ამ ჯგუფის აზრით, ინფორმირებულობის თვალსაზრისით მდგომარეობა უნივერსიტეტის შიგნით არაერთგვაროვანია - მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებში და ყველაზე დაბალია ბაკალავრიატის სტუდენტებში (ცხრილი 4).

ცხრილი N 4 პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის საშუალო შეფასება ხუთქულიან სკალაზე (5- მაღლიან მაღალი) - ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა გამოკითხვა

ინფორმირებულობა	რაოდენობა	საშუალო	სტ. შეცდომა
ბაკალავრიატის სტუდენტებში	32	3.1	0.15
მაგისტრატურის სტუდენტებში	32	3.5	0.14
დოქტორანტებში	23	4.0	0.12
აკადემიურ პერსონალში	33	3.9	0.13
ადმინისტრაციაში	32	3.7	0.12

კვლევის ფარგლებში გამოვკითხეთ ის სტუდენტებიც, რომლებსაც მიეცათ ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების საშუალება და შეეძლოთ ქართულ გამოცდილებასთან შედარება. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ქართული უსდ-ებისგან განსხვავებით ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და სტუდენტთა ინფორმირება ამ მხრივ მნიშვნელოვანი სტრატეგიაა. როგორც ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს: “ეს ერთ-ერთი გამოწვევაა აქ სწავლისას” და არსებული განსხვავება დასავლურ და ქართულ რეალობას შორის რთულად გადასალახავ პრობლემას წარმოადგენს.

“საქართველოში ბაკალავრიატში სწავლის დროს მსგავს საკითხს არ შევხებივართ, და დავალებების სამწუხაროდ მასობრივ გადაწერასაც ჰქონდა ადგილი“ (უცხოური დასავლურ-ევროპული უნივერსიტეტის სტუდენტი).

საქართველოში ჩატარებული ფოკუს ჯგუფებისგან განსხვავებით, უცხოელ სტუდენტებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ “უნებლიე” პლაგიატის მიმართაც. სტუდენტის თქმით, ერთ-ერთ დასავლურ უნივერსიტეტში პლაგიატის შესახებ საუბრისას “...*განვიხილეთ კონკრეტული მაგალითები. უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა „unintentional”-ია[უნებლიეა], მაგრამ ამ შეცდომის მიტევების პრაქტიკა უნივერსიტეტს არ აქვს*”.

დასავლეთ ევროპულ უნივერსიტეტებში წასული სტუდენტებისთვის ქართული უნივერსიტეტები გამოირჩევა არაინფორმირებულებით და არათანმიმდევრული მიდგომით, განსაკუთრებით საბაკალავრო საფეხურზე.

“ვინაიდან ინსტრუქციები ძირითადად საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს ეხება, სტუდენტებს საკითხთან შეხება ნაკლებად აქვთ დაწყებით კურსებზე. მიმდინარე დავალებების ინსტრუქციებსა და სილაბუსებში პლაგიატის თემა ნაკლებად არის გაშლილი.” (უცხოური უნივერსიტეტის სტუდენტი)

საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტის აზრს ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტების მსჯელობაც ადასტურებს:

“ბაკალავრიატში, რაკი საბაკალავრო ნაშრომი არ არის, თავისუფლად შეიძლება დაგვეშვა აზრი, რომ ინტერნეტიდან პირდაპირ შეიძლება ინფორმაციის გადმოღება და მზა ესეები გამოგვეყენებინა.” (მაგისტრანტი)

ინტერვიუებში და ფოკუს ჯგუფებში პროფესორებისა და სტუდენტების პასუხებიდან ისიც ჩანს, რომ **აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ხშირად არ იციან, მათ უნივერსიტეტში რაიმე სახით არის თუ არა აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები დარეგულირებული.**

“არც კურსის სახით გამივლია და არც ინფორმაცია მიმიღია უნივერსიტეტში. სხვა რაღაცებს ვკითხულობ და იქიდან ვიცი. ინფორმირებულობის დონე უნდა გაიზარდოს ყველა საფეხურის სტუდენტებში.”

კანონით მოცემული ნორმა ეთიკის კოდექსის შემუშავებაში აკადემიური პერსონალის ფართო ჩართვის შესაძლებლობას იძლევა წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს საშუალებით, თუმცა აკადემიური პერსონალისთვის ეთიკის კოდექსის შინაარსი ხშირად ცნობილი არ იყო: *“გვეჩვენა ეგ, მაგრამ რა წერია, ვერ გეტყვი.” (პროფესორი ფოკუს ჯგუფში)*

იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცნობილია წესების შესახებ, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ხშირად არ თვლიან თავს იმ განმარტებების, წესების, მიდგომების ავტორებად და ადრესატებად, რომელიც უსდ-ებს პოლიტიკის დონეზე აქვთ დეკლარირებული.

ამონარიდები ფოკუს ჯგუფებიდან და ინტერვიუებიდან კარგად გვაჩვენებს, რამდენად განსხვავდება სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შეხედულებები პლაგიატის განმარტებასთან დაკავშირებით უსდ-ების დეკლარირებული დეფინიციებისგან: ასე მაგალითად, თუ უსდ-ები ოფიციალურ დოკუმენტებში პლაგიატს მოკლედ და ერთმანეთის იდენტურად ან ძალიან მსგავსად განმარტავენ, ფოკუს ჯგუფებში აზრთა სხვადასხვაობასა და დავას იწვევს შემდეგი საკითხები:

ა) ე.წ. „უნებლიე პლაგიატი“; ზოგიერთი აღნიშნავს, რომ „*პლაგიატი არის ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ავტორის მითითების გარეშე, თუმცა არ ვიცი, წარმოადგენს თუ არა პლაგიატს უნებლიე გამოყენება*“.

ბ) ის შემთხვევა, როცა სხვას შენი ნებით აწერინებ ან აძლევ საკუთარ ნაშრომს. აკადემიური კულტურის ნაწილად ითვლება სხვა სტუდენტების ნაწერის მითვისება. ერთმანეთისგან გადაწერა ფართოდაა გავრცელებული. ერთ-ერთი პროფესორის თქმით: *“თუ რამე წესებს დაგვიდგენენ, იქ უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ აქ (საქართველოში) გადაწერა მიღებულია”*.

„პლაგიატის განმარტება ისიც არის, რომ მან, ვისგანაც იწერ, არ უნდა იცოდეს, რომ მისგან იწერ. მაგრამ თუ გაძლევს შესაძლებლობას რომ გადაწერო? თავისით გაწერინებს? მე ვფიქრობ ეს არ არის პლაგიატი“. (ბაკალავრიატის სტუდენტი)

პროფესორების ნაწილი სწავლების საფეხურებშიც ხედავს განსხვავებას. ზოგიერთი პლაგიატად არ თვლის სხვისი ნაშრომის გადაწერას ბაკალავრიატის დონეზე და პლაგიატს მხოლოდ *“სამეცნიერო სივრცით”, “სამეცნიერო ნაშრომით”* და *“კონფერენციის მოხსენებით”* შემოფარგლავს. ზოგიერთი პროფესორი თვლის, რომ გადაწერის პროცესშიც სწავლობენ და ამ პროცესს სასარგებლოდაც კი მიიჩნევენ. ზოგიერთი სტუდენტის აზრით იმ ნაშრომებში, რომლებიც *„არსად გამოქვეყნდება“* ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება დროის ხარჯვაა.

ფოკუს ჯგუფების მიხედვით, ყოველდღიურობაში გავრცელებულია განსხვავებული აქცენტები სხვადასხვა საფეხურზე, განსხვავებულია მოთხოვნებიც:

“უბრალოდ სამაგისტრო ნაშრომს თითქოს ღირებულება არ აქვს, ბაკალავრიატზე აღარ მაქვს ლაპარაკი. 51 ქულა თუ იწერება რეფერატულ ნაშრომში, სადაც ყველაფერი გადაწერილია, რაზეა ლაპარაკი. მე მინახავს სამაგისტრო ნაშრომები არის უბრალო მიმოხილვები. მაშინ უნდა შევთანხმდეთ სტანდარტებზე თითოეული საფეხურისათვის, რადგან რეალურად სხვადასხვაა. დიპლომი უბრალოდ ქაღალდის ნაგლეჯია მაგისტრატურის.” (დოქტორანტი)

შესაბამისად, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები მსჯელობენ იმაზე, აუცილებელია თუ არა ერთნაირად განვმარტოთ პლაგიატი საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე. ზოგადად, სტუდენტები მიიჩნევენ, რომ მოთხოვნები უნდა იყოს უფრო რბილი საბაკალავრო საფეხურზე და თანდათან მკაცრდებოდეს - რეალობა მაინც ასეთია:

“მორალურ დონეზე რაც დასაშვებია არ არის დოქტორანტურაში, არ უნდა იყოს ასევე დასაშვები მაგისტრატურაშიც, მაგრამ ტექნიკური სპეციფიკაციები შეიძლება იყოს სხვადასხვა.” (დოქტორანტი)

საინტერესოა ისიც, რომ პლაგიატის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს სტუდენტებისათვის არა ოფიციალური რეგულაციები, არამედ აკად. პერსონალი წარმოადგენს - მას სტუდენტების ნახევარზე მეტი ასახელებს (ცხრილი 4). ასევე ფართოდ გამოყენებადი წყაროა ადმინისტრაცია (43%). ეს წყარო განსაკუთრებით ხშირად სახელდება კერძო უნივერსიტეტებში (64%). გამოკითხვის ეს შედეგები მიგვანიშნებს, რომ ზეპირი კომუნიკაცია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიღების უფრო სასურველი ფორმაა ვიდრე ოფიციალური რეგულაციები (ცხრილი 5).

ცხრილი N 5 ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს თქვენთვის ინფორმაციის წყაროს პლაგიატის შესახებ? - სტუდენტთა გამოკითხვა (რესპონდენტთა % უნივერსიტეტის ტიპისა და სტუდენტის სტატუსის მიხედვით)

	სულ	კერძო	საჯარო	მაგისტრანტი	დოქტორნატი
სხვა სტუდენტები	16%	16%	16%	18%	14%
აკადემიური პერსონალი	61%	66%	59%	65%	56%
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	43%	64%	37%	48%	38%
აკადემიური წერის კურსი	30%	22%	32%	30%	31%
აკადემიური ნაშრომის გაფორმების წესი	34%	27%	36%	29%	40%
სილაბუსები	10%	12%	10%	14%	7%
უნივერსიტეტის წესდება	29%	35%	27%	27%	31%
უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი	35%	37%	34%	36%	33%

პლაგიატის პრევენცია

პლაგიატის პრევენციის ყველაზე გავრცელებულ ინსტრუმენტს, ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლების აზრით, ფორმალურ რეგულაციებში პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვაა. პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკის ეს აქცენტი პლაგიატის პრევენციასთან დაკავშირებულ სპეციფიურ კითხვაზე პასუხებიდანაც დასტურდება. კერძოდ, პრევენციის ყველაზე გავრცელებული ფორმა, ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა მოსაზრებით, სადოქტორო/სამაგისტრო/საბაკალვრო ნაშრომების შეფასების წესებში ასახვა, სტუდენტებთან საორიენტაციო შეხვედრები და სილაბუსებში განმარტებაა (ცხრილი 6), პრევენციის ისეთი ფორმები, როგორიცაა სპეციალური სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები პროფესორებისა და სტუდენტებისათვის გაცილებით უფრო ნაკლებად პოპულარული ინსტრუმენტებია. ასეთი ტიპის პრევენციული მექანიზმები, შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტმა დაასახელა.

ცხრილი N 5 იყენებთ თუ არა პლაგიატის პრევენციის ჩამოთვლილ სტრატეგიებს თქვენს უნივერსიტეტში? - ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა გამოკითხვა

	რაოდენობა	რესპონდენტთა %
არ გამოიყენება არცერთი მექანიზმი	4	12%
სპეციალური სახელმძღვანელოები პროფესორებისთვის	1	3%
სპეციალური სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის	5	15%
პროფესორების აკადემიური ნაშრომების მომზადების წესებში ასახვა	10	30%
საინფორმაციო შეხვედრები პროფესორებთან	12	36%
საორიენტაციო შეხვედრები სტუდენტებთან	15	45%
სტუდენტების მიმდინარე დავალებების შეფასების წესებში (სილაბუსებში) ასახვა	15	47%
სადოქტორო/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესებში ასახვა	21	64%

ამ თვალსაზრისით უფრო მძიმე სურათს წარმოაჩენს სტუდენტებისა და პროფესორების გამოკითხვა. კერძოდ, სტუდენტების ნახევარი (54%) აღნიშნავს, რომ მათ უნივერსიტეტში არ გამოუყენებიათ არანაირი პრევენციული მექანიზმი. სტუდენტების ეს ჯგუფი 23 სხვადასხვა უნივერსიტეტს წარმოადგენს (ცხრილი 7).

ცხრილი N 6 ჩამოთვლილი პრევენციული მექანიზმებიდან რომელი გამოიყენება თქვენს უნივერსიტეტში? - სტუდენტების გამოკითხვა

	რაოდ.	რესპონდენტთა %
არ გამოუყენებიათ არცერთი მექანიზმი	242	54%
საორიენტაციო შეხვედრები სტუდენტებთან	83	18%
სპეციალური სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის	44	10%
სტუდენტების მიმდინარე დავალებების შეფასების წესებში (სილაბუსებში) ასახვა	70	16%
სადოქტორო/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესებში ასახვა	120	27%

გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 16% და გამოკითხული პროფესორების მხოლოდ მეხუთედი აღნიშნავს, რომ პლაგიატის შესახებ ინფორმაცია ასახულია მათ სილაბუსებში. პროფესორებისა და სტუდენტების გამოკითხვაც ადასტურებს ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტებში ძირითადად არ გამოიყენება სპეციალური სახელმძღვანელოები პროფესორებისა და სტუდენტებისათვის (ცხრილი 7, 8).

ცხრილი N 7 ჩამოთვლილი პრევენციული მექანიზმებიდან რომელს იყენებთ? - აკად. პერსონალის გამოკითხვა

	რაოდენობა	რესპონდენტთა %
არ ვიყენებ რაიმე მექანიზმს	43	8%
პლაგიატი ახსნილია სილაბუსში	105	20%
პლაგიატის შემთხვევაში სანქციები გათვალისწინებულია შეფასების წესში	162	31%
ემსჯელობ სტუდენტებთან აკადემიური პატიოსნების შესახებ	369	70%
ვაფრთხილებ სტუდენტებს, რომ წერით დავალებებში შემოწმდება პლაგიატი	327	62%
ვცვლი საგამოცდო საკითხებს	183	35%
ვცვლი წერით დავალებებს	161	31%
ვაცნობ სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებულ წესს პლაგიატის წინააღმდეგ	152	29%

უნივერსიტეტში სწავლის პროცესში სტუდენტებში აკადემიური წერის წესების სწავლება ფოკუს ჯგუფებში განხილული კიდევ ერთი აქტუალური თემაა.

აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აკადემიური წერის კურსს არსებული სახით არაეფექტურ პრევენციულ მექანიზმად მიიჩნევენ, რადგან ის ხშირად პროცესისგან იზოლირებულად ვითარდება და არ არის ერთიანი აკადემიური კულტურის ნაწილი. სტუდენტები ფოკუს-ჯგუფებში და ინტერვიუებში ამბობენ, რომ აკადემიური წერის კურსი გავლილი აქვთ, თუმცა პლაგიატის შესახებ ამ კურსზე არაფერი სმენიათ ან სმენიათ ძალიან ფრაგმენტულად:

“პირველ კურსზე გავიარეთ აკადემიური წერა, მაგრამ გაკვირვებით იყო საუბარი და არც არავის გაუშლია ეს თემა.” (ბაკალავრიატის სტუდენტი)

პროფესორებიცა და სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ აკადემიური წერის კურსები უბრალოდ „მოდური ტენდენციის“ გამოძახილია მათ უნივერსიტეტებში და თავის ფუნქციას უმეტეს შემთხვევებში ცუდად ასრულებს. აკადემიური წერის ზოგიერთმა ლექტორმა ვერც კი გაიხსენა, პლაგიატის თემას ეთმობა თუ არა მათ სალექციო კურსში დრო. სტუდენტების ხედვით: *“აკადემიური წერის კურსი მხოლოდ ფორმალობაა”*.

„კურსის შინაარსს ხშირად განსაზღვრავენ ფილოლოგები და ის ძირითადად ქართული მართლწერის საკითხებს ეხება. სტუდენტების აზრით, მნიშვნელოვანია ამ კურსის შინაარსის გადახედვა“. (დოქტორანტი)

“აკადემიური წერის კურსის შინაარსში შესატანია ცვლილებები, მე ვასწავლიდი აკადემიურ წერას და შეიძლება მისი გადამუშავება ისე, რომ უფრო ფუნქციური იყოს ეს კურსი“.
(პროფესორი)

სტუდენტებიცა და პროფესორებიც მიიჩნევენ, რომ კურსში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიური წერის ნიუანსებს, კონკრეტული მაგალითების განხილვას, მეტი აქცენტი გაკეთდეს ეთიკურ ნორმებზე. დისკუსიებში მონაწილე რესპონდენტების აზრით, აგრეთვე, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ **აკადემიური წერის კურსი ცალკეულ უნივერსიტეტებში ყველა ფაკულტეტზე და ყველა მიმართულებით სავალდებულო არ არის და მას ძირითადად ერთი დარგის წარმომადგენლები - ფილოლოგები კითხულობენ.**

ცალკეული სტუდენტები დისკუსიაში იმასაც აღნიშნავენ, რომ **აკადემიური წერა იყო ერთადერთი კურსი, სადაც ციტირების აუცილებლობის შესახებ გაიგეს, თუმცა შემდეგ ხშირ შემთხვევებში ეს წესები აღარ გამოუყენებიათ. ხშირია, რომ სწავლის პროცესში იმავე პრინციპით წერას ან ციტირებას სტუდენტებს აღარ სთხოვენ.** სტუდენტების ნაწილი ჯგუფურ დისკუსიაში აღიარებს, რომ ანალიტიკური დავალებები აღარ აქვს სწავლის მანძილზე და აკადემიური წერის უნარს ვერ იყენებს. აკადემიური წერის უნარის განვითარება ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ამ ერთი კურსით შემოიფარგლება 4 წლის მანძილზე, რაც არასაკმარისი საფუძველია საბაკალავრო ნაშრომის ან სამაგისტრო დონეზე აკადემიური ნაშრომის შესაქმნელად. რამდენად არის წერიტი დავალება აკადემიური პროცესის ნაწილი, ხშირად პროფესორის პირადი ინიციატივაა:

“ვუსწორებ და აღმოვაჩენ პლაგიატს მე-4 კურსზე. გოცებულები არიან... ყველა არ აწერინებს ნაშრომს.” (პროფესორი)

როგორც აკადემიური პერსონალი აცხადებს, საწერი დავალებები ესეების, ანალიზის სახით სტუდენტებს არა აქვთ ან ძალიან იშვიათად აქვთ, რაც, მათი აზრით, შესაძლებელია განპირობებული იყოს: ა) სტუდენტების დიდი რაოდენობით და რესურსების სიმცირით, ბ) ანაზღაურების სიმწირით გ) ანაზღაურების სისტემის გაუმართაობით: *“საათობრივად გვიხდებიან ხელფასებს და ნაწერების გასწორება გათვალისწინებული არ არის”.*

პრობლემები აღმოჩნდა იმ შემთხვევებშიც, როცა უნივერსიტეტი პირდაპირ ავალებს აკადემიურ პერსონალს, წერიტი უნარები განუვითარონ სტუდენტებს ბაკალავრიატის პირველივე კურსებზე და ამისთვის სპეციალური კურსი იქმნება (როგორც თავად

ახასიათებენ „writing intensive“). ამ შემთხვევაშიც აკადემიური პერსონალის მოსაზრებები და არსებული პრაქტიკა განსხვავდება ადმინისტრაციის მოლოდინისგან.

“კი უნდა ვაწერინოთ ესეები, მაგრამ 500 სტუდენტი გვყავს. ალბათ, იწერენ ერთმანეთისგან ან ინტერნეტიდან. შეუძლებელია მაგის შემოწმება.” (აკადემიური პერსონალი)

პროფესორებისა და სტუდენტების აზრით ამ პრობლემას დასახული მიზნისა და რესურსების შეუსაბამობა ქმნის.

ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები გვიჩვენებს, რომ აკადემიური წერის კურსი, თუ ის არ გახდება თანმიმდევრული სისტემის ნაწილი, ვერ შეასრულებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის და პლაგიატის პრევენციის ფუნქციას.

პლაგიატის აღმოჩენა

კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პლაგიატის აღმოჩენა, როგორც წესი, შემთხვევითია. გამონაკლისის გარდა პროფესორის ან სტუდენტის ინიციატივით, აღმოაჩინოს პლაგიატი ან აკადემიური არაკეთილსინდისიერების შემთხვევები. ისიც უნდა აღნიშნოს, რომ რეგულაციები პლაგიატის აღმოჩენის თაობაზე უფრო მწირია ვიდრე პრაქტიკა.

სტუდენტები და პროფესორები დისკუსიაში აღნიშნავენ, რომ **პლაგიატთან დაკავშირებული ოფიციალური სანქციები ხშირად იმ მიზეზით არ სრულდება, რომ პლაგიატის აღმოჩენის ქმედითი მექანიზმები უნივერსიტეტებში არ არის დანერგილი.**

“სანქციების საკითხი მიბმულია გადამოწმების საშუალებების არსებობასთან, რადგან შემოწმების მექანიზმების არარსებობის პირობებში პლაგიატის ფაქტის დადგენა რთულია.”
(მაგისტრანტი)

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მსჯელობაში, აგრეთვე, გამოიკვეთა პლაგიატის აღმოჩენის ინსტრუმენტების გამოყენების შერჩევითობის საკითხი.

ხარისხის მართვის სამსახურების ინფორმაციით პლაგიატის აღმოჩენის ყველაზე გავრცელებულ ინსტრუმენტს, უნივერსიტეტებში პროფესორების მიერ სტუდენტების ნაშრომების შემოწმება წარმოადგენს. მონიტორინგის პროცესს ნაკლებად ექვემდებარება აკადემიური პერსონალის ნაშრომები. ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა

გამოკითხვაში აკადემიური პერსონალის ნაშრომებთან მიმართებაში არცერთი ინსტრუმენტი არ მიუთითა 12 უნივერსიტეტის წარმომადგენელმა (36%) (ცხრილი 9). ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტის ოდენობა და ხარისხი ნაკლებად წარმოადგენს ამ უნივერსიტეტებში ადამიანური რესურსების საქმიანობის შეფასების პროცესში გასათვალისწინებელ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. კოლეგიალური შეფასება, როგორც დისერტაციების შეფასების ინსტრუმენტი კითხვარებში მონიშნა იმ უნივერსიტეტების ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლების მხოლოდ ნახევარმა, სადაც მოქმედებს სადოქტორო საფეხური. საინტერესოა, რომ იმ უნივერსიტეტებშიც, სადაც მოქმედებს სადოქტორო საფეხური, მესამედი (8 უნივერსიტეტის ხარისხის მართვის თანამშრომელი) არ უთითებს აკად. პერსონალის ნაშრომების მონიტორინგის არცერთ წყაროს.

ცხრილი N 8 იყენებთ თუ არა პლაგიატის აღმოჩენის ჩამოთვლილ მექანიზმებს სხვადასხვა დოკუმენტებთან მიმართებაში - ხარისხის მართვის სამსახურების გამოკითხვა (დიახ - რესპონდენტთა რაოდენობა და %)

	TURNITIN ან სხვა ელ. პროგრამა		კოლეგიალური შეფასება		პროფესორის მიერ შეფასება		ინტერნეტში სკანირება		არ მიუთითა ჩამოთვლილთაგან არცერთი	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
სადისერტაციო ნაშრომები *	4	17	11	48	14	61	5	22	5	22
სამაგისტრო ნაშრომები	4	12	12	36	22	67	8	24	6	18
საბაკალავრო ნაშრომები	4	12	8	24	19	58	4	12	9	27
სტუდენტების წერითი დავალებები	3	9	1	3	21	64	5	15	10	30
აკად. პერსონალის ნაშრომები	2	6	14	42	12	36	4	12	12	36

* პროცენტი პირველ მწკრივში (სადისერტაციო ნაშრომები) გამოთვლილია მხოლოდ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, სადაც მოქმედებს სადოქტორო საფეხური (n=23).

აკადემიური ნაშრომების ბაზები

აკადემიური პერსონალის და სტუდენტების აზრით, ნაშრომების რეპოზიტორის (ბაზების) არარსებობა პლაგიატთან ეფექტური ბრძოლის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. რაიმე ტიპის ბაზის ან ბაზების არარსებობის შემთხვევაში, რთულია ნაშრომების ერთმანეთთან შედარება და საკუთარი საავტორო უფლებების დაცვა:

“ბაზა უნდა არსებობდეს სანქციებთან ერთად. ბაზა არ არის, სანქციებიც არ არსებობს. თუ გამოქვეყნებულია ბაზაში, ის უკვე ჩემი საკუთრებაა და შემოიღია დავიცვა ჩემი უფლებები კანონმდებლობით.”(დოქტორანტი)

კვლევითი ჯგუფისთვისაც შეუძლებელი აღმოჩნდა ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე, რადგან არ არსებობს ერთიანი ბაზა, რომლის შიგნითაც აკადემიური ნაშრომები ერთმანეთს შედარდება. საქართველოში აკადემიური სივრცე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის ღია და ცოდნის გაცვლაზე ორიენტირებული. აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აღნიშნავენ, რომ არ ხდება ცოდნის გაზიარება, არ იცინ, მათი კოლეგები რა თემებზე მუშაობენ, არ იცინ, ვინმე იყენებს თუ არა მათ ნაშრომებს. უნივერსიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა არ აქვეყნებს თავის ვებგვერდზე დაცულ დისერტაციებს ან სამაგისტრო ნაშრომებს. თუ ნაშრომები გამოქვეყნებულია, ხშირ შემთხვევაში, რთულია მათი მიგნება, ზოგადი პოლიტიკა უფრო დაფარვაზეა ორიენტირებული, ვიდრე გაზიარებაზე. გამოკითხული პროფესორების დაახლოებით მეოთხედს არ აქვს პასუხი, არსებობს თუ არა უნივერსიტეტში შიდა ბაზები და გამოქვეყნებულია თუ არა ისინი ვებგვერდზე.

ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგების თანახმად, შიდა ბაზების არსებობა და მათი ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტების დიდ ნაწილში პრობლემას წარმოადგენს. სადოქტორო ნაშრომები და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიმდინარე სამეცნიერო პროდუქტი ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ 3 უნივერსიტეტს (ცხრილი 10).

ყოველ მეხუთე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც მოქმედებს სადოქტორო საფეხური, არ აქვს სადისერტაციო ნაშრომების შიდა ბაზა. ხარისხის მართვის სამსახურების ინფორმაციით, ბევრ უნივერსიტეტში საერთოდ არ არსებობს სამაგისტრო (36%), საბაკალავრო (46%) და სხვა აკადემიური ნაშრომების (36%) შიდა ბაზები. ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლების პასუხებზე დაყრდნობით, დანარჩენი უნივერსიტეტების უმეტესობაში შიდა ბაზები არსებობს, თუმცა ვებგვერდზე გამოქვეყნებული არ არის.

ცხრილი N 9 შიდა ბაზები უნივერსიტეტებში - ხარისხის მართვის სამსახურების გამოკითხვა

	სადისერტაციო ნაშრომები *		სამაგისტრო ნაშრომები		საბაკალავრო ნაშრომები		სხვა აკადემიური ნაშრომები	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
არ არსებობს შიდა ბაზა	5	22	12	36	15	46	12	36
არსებობს შიდა ბაზა, მაგრამ არ არის გამოქვეყნებული ვებგვერდზე	7	30	18	55	13	39	14	42
არსებობს შიდა ბაზა და გამოქვეყნებულია ვებგვერდზე	3	13					3	9
არ უპასუხა	8	35	3	9	5	15	4	12

* პროცენტი პირველ სვეტში (სადისერტაციო ნაშრომები) გამოთვლილია მხოლოდ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, სადაც მოქმედებს სადოქტორო საფეხური (n=23)

კვლევიტმა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორთან, ირაკლი ღარიბაშვილთან. მისი თქმით, მისი ბიბლიოთეკა მზადაა, ტექნიკურად უზრუნველყოს ყველა უნივერსიტეტისთვის საერთო რეპოზიტორის შექმნა სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომებისთვის. უნივერსიტეტებისთვის გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ბიბლიოთეკა აღარ არის დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეული და ერთ-ერთი უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილია. რეპოზიტორებთან, ასევე ანტიპლაგიატის პროგრამებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე იხ. დანართი II ამ პუბლიკაციაში.

პლაგიატის აღმოჩენის ტექნიკური საშუალებები

სტუდენტებისა და პროფესორების გამოკითხვის შედეგები ამასთანავე აჩვენებს, რომ ელექტრონული რესურსების გამოყენება პლაგიატის აღმოჩენისათვის არ წარმოადგენს პლაგიატის პრევენციის პოპულარულ ინსტრუმენტს. სტუდენტების თითქმის ნახევარს არ აქვს პასუხი იმაზე, გამოიყენება თუ არა მათ უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა ელექტრონული პროგრამები, პროფესორების მიერ შეფასება ან ინტერნეტით სკანირება. პროფესორების მხოლოდ 27% აღნიშნავს, რომ მათ უნივერსიტეტში გამოიყენება კოლეგიალური შეფასება და მხოლოდ 15% ასახელებს ინტერნეტში სკანირებას.

მხოლოდ ოთხი უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ იყენებს Turnitin-ს ან სხვა ელექტრონულ პროგრამას (სხვა პროგრამებში ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლებმა მიუთითეს PlagiarismDetector® Software).

განსაკუთრებული შემთხვევაა უსდ-ს მასშტაბით ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება და მისი სავალდებულოდ განსაზღვრა, ამ მხრივ საინტერესო მაგალითს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პრაქტიკა წარმოადგენს.

Turnitin - პლაგიატის აღმოჩენის ელექტრონული ინსტრუმენტის გამოყენების გამოცდილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

პლაგიატის მიმართ საპასუხო აქტივობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი 2014 წლიდან ჩაეყარა, როდესაც უნივერსიტეტმა შეიძინა პლაგიატის დეტექტორული ელექტრონული სისტემა. როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროება წარმოიშვა იქიდან, რომ უნივერსიტეტში არსებობს დიდი კურსები (საბაკალავრო საფეხურზე), რომლებიც ემსახურება სტუდენტთა დიდ მასას. ერთდროულად დაახლოებით 3500-4000 მდე სტუდენტს უტარდება ლექციები ერთი კურსის ფარგლებში, გამოკითხვები და ტესტირებები და შესაბამისად თემებისა თუ ტესტების და რეფერატების გაყალბების ალბათობა იზრდება სტუდენტებს შორის. ამის გამო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეადგინა სტრატეგია, გადაამზადეს კურსის ხელმძღვანელი პედაგოგები და 2014 წლის შემოდგომიდან დაინერგა პლაგიატის შემამოწმებელი სისტემა (“Turnitin” ტურნიტინი). პროგრამა შეირჩა მსოფლიო მასშტაბით გამოხმაურებების და საუკეთესო შეფასებების საფუძველზე. სამწუხაროდ ეს პროგრამა არ თარგმნის ქართულიდან სხვა ენებზე, თუმცა ტურნიტინი ქართულთან თავსებადი გახდა. მასში ჩაშენდა ქართულ ენაზე მორგებული სკრიპტი და თავად პროგრამა ჩაჯდა უნივერსიტეტში უკვე არსებულ მუდლის (moodle) სისტემაში. პროგრამის გაშვებამდე ადმინისტრაციამ გააფრთხილა სტუდენტები, რომ მათი ნაშრომები შემოწმდებოდა პლაგიატზე.

ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის პირველ სალექციო საათში სილაბუსის წარდგენასთან ერთად სტუდენტებს აფრთხილებს პლაგიატის თაობაზე შესაძლო სანქციების შესახებ.

“ამ კურსით დავიწყეთ, რომ ეს უნარ-ჩვევა გაუქდეს სტუდენტს. ის, რომ პლაგიატის გამო გაუნულდა ქულა და მასწავლებლისაგან მიიღებს ახსნას, ეხმარება, რომ აღარ გაიმეოროს შეცდომა,”- ამბობს ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი“.
(უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, მას შემდეგ რაც შერჩეულ კურსებზე ტურნიტინის გამოყენების პრაქტიკა დაინერგა, საგრძნობლად შემცირდა პლაგიატის შემთხვევები. ის სტუდენტი, რომლებიც პირადი რისკის საფუძველზე აყალბებდა საკუთარ ნაშრომს, რეფერატს თუ სხვა მასალას

ადმინისტრაციის აზრით „სამაგალითოდ დაისაჯნენ“ ქულის განულების, ნაშრომის არჩათვლის ან სხვა ხერხების გამოყენებით.

ოდნავ განსხვავებული ხედვა აქვთ კურსის სწავლებაში ჩართულ ლექტორებს. ამ კურსის ლექტორებთან ინტერვიუმ ნათელი გახადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პლაგიატის საერთო რაოდენობა შემცირდა, პრობლემა მაინც რჩება. ლექტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ ერთხელ პლაგიატის ჩამდენი სტუდენტები ისევ იმეორებენ პლაგიატს, რაც ლექტორების აზრით არასისტემური მიდგომითაც შეიძლება იყოს გამოწვეული. თუ პირველ სემესტრში 5 კურსიდან მარტო ერთ კურსზე მოწმდება და ისჯება პლაგიატი, შესაძლებელია, ამ გამოცდილების გავლენა „ნაკლებად იყოს მაფორმირებელი და დანარჩენი კურსების გამოცდილებამ გადაწონოს“. ერთი კურსის ფარგლებში ანტიპლაგიატის პროგრამის და მკაცრი პოლიტიკის გამოყენება რამდენად ეფექტურია, ამაზე დასკვნის გაკეთება ჯერ რთულია, რადგან ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება მცირე ხნის დანერგილია. აკადემიური პერსონალის ნაწილი სხვა კურსებშიც სიამოვნებით გამოიყენებდა ანტიპლაგიატის პროგრამას. უნივერსიტეტს ჯერ-ჯერობით არა აქვს მკაფიო პოლიტიკა განსაზღვრული ამ საკითხთან დაკავშირებით. სახელდება ფინანსური და ტექნიკური პრობლემები. აკადემიური პერსონალის ნაწილის აზრით, ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში უფრო შეზღუდვაზეა ორიენტირებული, ვიდრე გავრცელებაზე. თავის ფუნქციად მიაჩნია აკადემიური პერსონალის კონტროლიც: “მუდლის პროგრამის საშუალებით ამ კურსის ხელმძღვანელებს აქვთ წვდომა და ზემოდან გაკონტროლება შესაძლებელია”.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ნაწილი თვლის, რომ თვალსაჩინო წარმატების მიუხედავად, ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება ზემოდან-ქვემოთ ინიციატივად რჩება, მაშინ როდესაც moodle - ის (მუდლი)აწყობა და დანერგვა საწყის ეტაპზე მთლიანად აკადემიური პერსონალის ინიციატივა იყო. ანტიპლაგიატის ფრთხილი გამოყენება სავარაუდოდ უნდა უკავშირდებოდეს უნივერსიტეტის პოზიციას, რომ თანდათანობით, ინფორმირების გაზრდით შეცვალოს არსებული ქცევის წესი და ფართოდ გავრცელებული პლაგიატი.

თანდათანობითი მიდგომის მაგალითია რბილი დამოკიდებულება, რომელსაც პროფესორების ნაწილი აუცილებლად მიიჩნევს:

“არ გამინულებია ჯერ-ჯერობით ამ საწყის ეტაპზე. ვეუბნები, რომ არ შეიძლება და მერე ნაკლები შემთხვევებია.” (პროფესორი).

ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც პრევენციას და არა დასჯას მიიჩნევენ ამ სიტუაციაში გამოსავლად:

“თუ ძალიან მკაცრი ვიქნებოდი, ყველა უნდა ჩაგვეჭრა, 90% პირველკურსელის. პირდაპირ ჰქონდათ ვიკიპედიიდან გადმოწერილი. ჩავთვალეთ, რომ სჯობს თავად ლექტორმა დაგეგმოს და ვასწავლოთ.” (ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიცა და ადმინისტრაციაც პროგრამის დანერგვის აშკარა წარმატებად პლაგიატთან დაკავშირებით სტუდენტების ინფორმირებულობის ზრდას ასახელებს:

“სასწავლო პროცესში ინფორმაციის ნაკლებობა პლაგიატზე არ გვაქვს. გარდა იმისა, რომ გვაქვს საგანი და სპეციალური პროგრამა, საინფორმაციო შეხვედრებიც გვაქვს. მინიმალურია ჩვენთან იმის ალბათობა, რომ ვერ გაიგოს, რა არის პლაგიატი”.

უნივერსიტეტების უმეტესობა, რომელთაც არა აქვთ პლაგიატის შემოწმების რაიმე მექანიზმი, გამოთქვამენ სურვილს, ამგვარი ტექნიკური საშუალებები მათთანაც დაინერგოს. თუმცა პრობლემებსაც აღნიშნავენ ინტერვიუში: *“ჩვენთან რომ დაინერგოს, ამისთვის learning management system უნდა იყიდონ, ჯერ მარტო საცდელი ვერსია აქვთ ან რამე ბაზა უნდა არსებობდეს, ან მუდლი დააყენონ, უფასოა”. მერე მისი მეშვეობითაც შემოწმდება.”* იგივე პრობლემა ადმინისტრაციას ხშირად ტექნიკური ცოდნის არქონის გამო გაცნობიერებული არა აქვს, თუმცა ცვლილებებისათვის მზაობა აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის მსჯელობებში ნამდვილად იგრძნობა. ზოგ უსდ-ში პროფესორები საკუთარი ინიციატივით პოულობენ სხვადასხვა პროგრამებს ან იყენებენ ხელმისაწვდომ უფასო რესურსებს. *“კარგი იქნება, ვინმე თუ გვასწავლის, რისი გამოყენება შეიძლება”,* ამბობენ სხვები.

დისკუსიის პროცესში უნივერსიტეტების წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ პლაგიატის აღმოჩენის ელექტრონული პროგრამები ქმედით ცვლილებებს ვერ გამოიწვევს პლაგიატთან ბრძოლის უფრო ფართო, სისტემური მიდგომის გარეშე:

„ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად რჩება სწავლების პროცესი, რომელიც წერით უნარებს არ უვითარებს სტუდენტებს, შესაბამისად, მხოლოდ ტექნოლოგიური დახმარება ამ საკითხს ვერ მოაგვარებს“. (პროფესორი)

პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

პლაგიატის არსებობის შემთვევაში რეაგირების მექანიზმების არასისტემური და შერჩევითი გამოყენება არის როგორც აკადემიური პერსონალის ისე სტუდენტების ფოკუს ჯგუფების ერთ-ერთი ძირითადი თემა. მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები არ უშვებს პლაგიატთან მიმართებაში სანქციების მრავალფეროვნებას, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია ამ მრავალფეროვნების დაშვებით მსჯელობს:

“აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ყველა ლექტორი თვითონ უნდა წყვეტდეს, რა ზომები მიიღოს. რეგულაციებში კი ყველას გვიწერია, მაინც უფრო ლექტორებზეა ძირითადად დამოკიდებული.” (ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

ამ მოსაზრებას პროფესორების ნაწილიც ეთანხმება. მათი აზრით, რადგან სისტემური მიდგომა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გაკეთდეს პლაგიატის შემთხვევის აღმოჩენისას, პროფესორის ინიციატივაა, მიიღოს ან არ მიიღოს ნაშრომი, გაითვალისწინოს რაიმე სანქცია თუ არა.

ამგვარი თავისუფლების პირობებში პლაგიატზე რეაგირების მექანიზმების გამოყენების ალბათობა და სანქციების სიმკაცრე არაერთგვაროვანია როგორც უნივერსიტეტებს შიგნით, ისე უნივერსიტეტებს შორის.

აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს თანაბრად უჩნდებათ განცდა, რომ **უსდ-ებში ნაკლებად მოქმედებს სანქციები ან არ მოქმედებს დადგენილი წესით**. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტიების ან სხვისი შუალედური ნაშრომის მითვისებისათვის მაქსიმუმ შეიძლება ნიშანი დააკლდეთ, მაგრამ გამსვლელ ქულას მაინც იღებენ. ასევე, ხშირია შერჩევითობა და აკადემიური პერსონალის არაეთიკურობის შემთხვევაში თვალის დახუჭვა. სტუდენტების აზრით, შერჩევითი მიდგომა იწვევს უსამართლობის განცდას და ხელს უწყობს ზერელე დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

სტუდენტები ძირითად პასუხისმგებლობას აკადემიურ პერსნალს აკისრებენ. მათი მოსაზრებით, პროფესორებმა მეტი აქტიურობა და თანმიმდევრულობა უნდა გამოიჩინონ პლაგიატის ფაქტებზე რეაგირებისას.

მე ვყოფილვარ სამაგისტროების ოპონენტი და ყოფილა აბსოლუტურად გადაწყვეტილი. უნდა იყოს შემთხვევები, რომ სტუდენტმა ვერ დაიცვას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს გულგრილობა ან გაუმართავი სისტემა. თითოეულ ნაშრომს ყავს ხელმძღვანელი. „აკადემიური პერსონალი, ესაა ძირი, საიდანაც მოდის პრობლემა. ხელმძღვანელი თუ თანახმაა, ესეიგი თვალს ხუჭავს“. (დოქტორანტი)

„ხელმძღვანელის კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. მერე რეცენზენტი ვერაფერს ახერხებს. ხელმძღვანელსაც არ აქვს ხშირად წაკითხული“ (დოქტორანტი).

„პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს აკადემიურ პერსონალსაც. ისე იბარებენ ხანდახან შუალედურს, პრეზენტაციას, რომ არც ისმენენ. ბევრს ეზარება, მაგალითად ჩემთან“ (ბაკალავრიატის სტუდენტი)

ერთ-ერთი პროფესორი კიდევ უფრო მკაცრ შეფასებას აძლევს მის უნივერსიტეტში პლაგიატზე რეაგირების პრაქტიკას და უნივერსიტეტში არსებულ სისტემურ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას:

“ზოგი ვერ ახერხებს ან არ ახერხებს პლაგიატის აღმოჩენას, რადგან თვლის, რომ ძვირფასი დრო ამაში არ უნდა დახარჯოს. თუ უნივერსიტეტს არ ექნება ერთიანი პოლიტიკა, გამოდის ორმაგი სტანდარტი, ვიღაც ერთი ატერორებს, დანარჩენებთან ყველა ახერხებს გამრომას. უმთავრესი პრობლემა კი არის ის, რომ ამ თაობას ზრდის თაობა, რომელმაც საერთოდ არ იცის, რა არის კვლევა. ეს ასეა ჰუმანიტარულ სფეროში. ამ ვითარებაში ისინი ზრდიან ახალ თაობას და ვიღებთ მოჯადოებულ წრეს...”

ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ სტუდენტს პრობლემად მიაჩნია არა მხოლოდ არათანაბარი მიდგომა, არამედ აკადემიური პერსონალის არათანაბარი კომპეტენცია ნაშრომებში პლაგიატის აღმოჩენის საკითხში. თავად პროფესორები პლაგიატზე თვალის დახუჭვის ძირითად მიზეზად პრობლემის მასშტაბურობას ასახელებენ, განსაკუთრებით საბაკალავრო საფეხურზე:

“მე ვუბრუნებ ხოლმე ნაწერს. უმეტესად გადმოწერილი მოაქვთ. მერე 80% ისევ გადმოწერილი მოაქვთ და მერე... ვუწერ ნიშანს, აბა რა ვქნა”. (პროფესორი)

ზოგიერთ შემთხვევაში პლაგიატის ფაქტებზე თვალის დახუჭვას პროფესორები დარგის სპეციფიკით ხსნიან. *“ჩვენ სფეროში ასეა. აბა, ეგ ახალს ვერ გამოიგონებს ვერაფერს და რომ გადაწერს, მაშინაც ხომ სწავლობს”*, ტიპური პასუხია ბაკალავრებთან მიმართებაში, თუმცა კვლევაში ჩართული აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი თვლის, რომ ამგვარი დამოკიდებულება აყალიბებს სტუდენტების ქცევის ეთოსს და ხელს უშლის პროფესორების ნაწილს განსხვავებული სტანდარტების დამკვიდრებაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა არის ის, რომ **ცალკეულ შემთხვევებში სანქციები არათანაბრად ვრცელდება სტუდენტებსა და პროფესორებზე.**

“როდესაც ცალკეულ შემთხვევებთან გვექნება შეხება, არ უნდა მოხდეს თვალის დახუჭვა და იყოს სამაგალითოდ დასჯადი. შეიძლება იყოს ლექტორი, რომელმაც მიითვისა სტუდენტის ნაშრომი. ლექტორის წონას არ უნდა ქონდეს მნიშვნელობა, ყველა უნდა იყოს თანასწორი კანონის წინაშე.” (სტუდენტი)

აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ამგვარი დამოკიდებულება არ შეესაბამება უსდ-ების რეგულაციების უმრავლესობას, რომელიც პლაგიატს ძირითადად სტუდენტების პრობლემად მიიჩნევს და მხოლოდ მათ შემთხვევაში განსაზღვრავს სანქციებს.


პროფესორი იხსენებს შემთხვევას, როცა პლაგიატის გამო დოქტორანტს სემესტრის გამეორება დასჭირდა, ხოლო პროფესორს, რომელიც თანაავტორი იყო, ვერ უთხრეს ვერაფერი. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს დოქტორანტი ამბობს, რომ მან მიუთითა ადმინისტრაციას პლაგიატის კონკრეტულ მაგალითზე და ნაშრომის პრობლემურობაზე. მიუხედავად ამისა, ნაშრომი დღემდე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: *“თან ამ უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვითომ პლაგიატს”*.

სანქციების გამოყენების არათანმიმდევრულობის ტენდენციაზე გამოკითხვის შედეგებიც მიუთითებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენელთა ნახევარზე მეტის პასუხების თანახმად, აკადემიური პერსონალის მიერ კოლეგებში პლაგიატზე რეაგირების ალბათობა ძალიან დაბალი ან დაბალია. ასევე, ხარისხის მართვის წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ დაბალი ან ძალიან დაბალია სტუდენტების მიერ სხვა სტუდენტებში პლაგიატზე რეაგირების ალბათობა. სტუდენტების დაახლოებით 40% ან მეტი


და პროფესორების დაახლოებით 30% არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სიხშირით გამოიყენება მათ უნივერსიტეტში სხვადასხვა სანქციები (სქემა 2).

სქემა N 2 სანქციების გამოყენების სიხშირე უნივერსიტეტებში (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა)

სანქციები სტუდენტებთან მიმართებაში - სტუდენტთა ვალიდური %



სანქციები პროფესორებთან მიმართებაში - პროფესორთა ვალიდური %



საქართველოს უნივერსიტეტებში გავრცელებული დამოკიდებულება და ღირებულებითი შეფასება პლაგიატთან დაკავშირებით

კონფლიქტური დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ

ფოკუს ჯგუფებსა და ინტერვიუებში რესპონდენტები ღიად საუბრობენ პლაგიატის კონკრეტულ შემთხვევებზე და პლაგიატის პრობლემის მასშტაბებზე. მათი აზრით, მიღებული ქცევის წესია საგამოცდო საკითხების, შუალედური ან საბოლოო შეფასებების დროს პრეზენტაციების გადაწერა. ერთ-ერთი სტუდენტის თქმით: „ერთი და იგივე პრეზენტაცია ტრიალებს წლების მანძილზე. პროფესორებმაც იციან, მაგრამ მგონი, არ ადარდებთ“.

ფოკუს ჯგუფების ინფორმაციით ცალკეულ უნივერსიტეტებში სტუდენტები არ ერიდებიან, პროფესორების და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან დაუფარავად შეაგროვონ წინა წლების სტუდენტებში ნაწერები, პრეზენტაციები და თავიანთ ნაშრომად წარმოადგინონ. *“ჩემი შვილიც დღეს ადრე წავიდა, მეგობარს უნდა გადავაწერინო, სანამ ლექცია დაიწყებაო”*- ამბობს ერთ-ერთი პროფესორი.

ხშირია, როდესაც უნივერსიტეტის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე დებენ თხოვნას პირდაპირ გამოცდიდან ან ავრცელებენ საგამოცდო საკითხებს და ითხოვენ, რომ უფრო გამოცდილებმა მათ მაგივრად გასცენ პასუხი კითხვას. *“ეგ რა არის, ლობიანებზე იცვლება ესკეები”*, ამბობს ერთ-ერთი სტუდენტი.

სტუდენტების ნაწილი, აგრეთვე, მიიჩნევს, რომ აკადემიური პერსონალი ხშირად თავად არის პლაგიატის წამახალისებელი პირდაპირი თუ ირიბი გზით. ერთ-ერთი უნივერსიტეტის დოქტორანტები ყვებიან, როგორ ათარგმნიან პროფესორები დოქტორანტებს უცხო ენაზე გამოცემულ ნაშრომებს, რომელსაც შემდეგ თანაავტორობით საკუთარ სტატიად ან მოხსენებად წარადგენენ საქართველოში. ამ პრობლემას აკადემიური პერსონალიც კარგად ხედავს. ერთ-ერთი პროფესორის თქმით:

“სტუდენტებზე უფრო პროფესორების პრობლემაა. წიგნები ნახეთ, სამი ციტირება აქვთ მხოლოდ და საგაზეთო სტატიებს რომ უფრო იყენებს, ვიდრე აკადემიურ სტატიებს....

სტუდენტმა რა ქნას, რასაც ხედავს, იმას აკეთებს. ხარისხის პრობლემაა. პროფესორს ჰგონია, რომ დაწერს სახელმძღვანელოს, არაფერს არ მიუთითებს და მორჩა. მისი უნივერსიტეტი ამ წიგნს უპრობლემოდ შეიტანს სილაბუსში.” (პროფესორი)

ცალკეულ უნივერსიტეტებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა სტუდენტური კონფერენციები, სადაც სტუდენტები ხშირად სხვის მიერ მომზადებულ ნაშრომებს კითხულობენ. ვინაიდან, სტუდენტების აზრით, სტუდენტის კონფერენციაში მონაწილეობა პროფესორის წარმატებად ითვლება, პროფესორი, ზოგჯერ, თავად უბიძგებს სტუდენტს, კონფერენციაზე წაიკითხოს ნაშრომი, რომელშიც თავად ნაკლებად ერკვევა და ეს ნაშრომი, ძირითადად, სხვის შრომას წარმოადგენს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი დემოტივატორია იმ სტუდენტებისათვის, ვინც საკუთარი ძალებით ცდილობენ კვლევის განხორციელებას.

„კონფერენციაზე ჩემი მონაწილეობის ამბავს გეტყვით. გამოვდიოდი ჩემი მოხსენებით, რომელშიც შრომა ჩავდე. რომ გენახათ იმ კონფერენციაზე ვინ გაიმარჯვა, გაგეცინებოდათ. კი ჯობდა ჩემსას, მაგრამ ამ სტუდენტს არც თავისი ნაშრომისა გაეგებოდა რამე და არც სხვებისთვის მოუსმენია. უბრალოდ მისცა ლექტორმა წასაკითხად, რაც ძალიან ხშირია. საქმე იმაშია, რომ ლექტორებს წარმატებაში ეთვლებათ ბევრი სტუდენტის კონფერენციებზე გამოსვლა და გამოჰყავთ კიდევაც. როცა უყურებ, როგორ კითხულობს სტუდენტი გაუაზრებლად ნაშრომს, რომელიც არ დაუწერია და უბრალოდ ლექტორმა მისცა და მერე იმარჯვებს, ეს ძალიან არასასიამოვნოა“ (მაგისტრანტი)

საინტერესოა, რომ ამ კომენტარების ფონზე, საქართველოში პლაგიატის პრობლემის სიმწვავის აღქმა მაღალი არ არის. ხარისხის მართვის სამსახურების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების თანახმად, პრობლემის სიმწვავის საშუალო შეფასებები სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალში 2-დან 3 ქულამდე მერყეობს ხუთქულიან სკალაზე, სადაც 5 ძალიან მწვავე პრობლემას ნიშნავს.

შედეგების ეს კონფლიქტურობა მიგვანიშნებს, რომ აკადემიურ საზოგადოებას ზოგადად აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს პლაგიატი და მის ფართო გავრცელებას პრობლემად მიიჩნევს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები პლაგიატზე ძირითადად მსჯელობენ, როგორც ქართული აკადემიური კულტურის ნაწილზე, რომელიც სწავლების და კვლევის ყველა საფეხურზე გვხვდება. ერთის მხრივ, ფართო

მიმღებლობა და საყოველთაოობა, მეორე მხრივ კი ამ საყოველთაოობის პრობლემურობა ფოკუს ჯგუფების და ინტერვიუების გამჭოლ თემას წარმოადგენდა.

გამოკითხვამაც გვაჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში როგორც აკადემიური პერსონალი ისე სტუდენტები პლაგიატის ან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში თვალის დახუჭვას ამჯობინებენ. თვალის დახუჭვის მიზეზებად სტუდენტების მიერ ყველაზე ხშირად სახელდება ის, რომ დარღვევა უნებლიე იყო ან უმნიშვნელო. ასევე, საკმაოდ ხშირად დასახელებული მიზეზია ის, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი მტკიცებულება.

ანალოგიური კითხვა პროფესორების გამოკითხვის პროცესშიც დაისვა. პროფესორების მხრიდან სტუდენტებთან მიმართებაში პლაგიატის ფაქტზე თვალის დახუჭვის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები იდენტურია - დარღვევა უმნიშვნელო ან უნებლიე იყო. პროფესორებთან მიმართებაში კი ძირითად მიზეზს მტკიცებულებების ნაკლებობა წარმოადგენს (ამ მიზეზს ასახელებს დაახლოებით მეხუთედი). ასევე, პროფესორების ნაწილი თვლის, რომ არ ექნებოდა საკმარისი მხარდაჭერა ადმინისტრაციის მხრიდან ან ეს საქციელი არაეთიკურად მიაჩნია.

როგორც პროფესორები, ისე სტუდენტები განსხვავდებიან იმის მიხედვითაც, თუ რამდენად თვლიან საკუთარ თავს ცვლილებების მომტანად, აქტიურ და დამოუკიდებელ აქტორებად, თუ პასიურად ელიან სხვებისგან პრობლემის მოგვარებას ან შეგუებას არჩევენ. ეს ორი პოზიცია ნათლად არის გამოხატული შემდეგ ციტატებში:

“ინფორმირებული უნდა იყოს ხალხი, რომ დაიცვას საკუთარი თავი. ყველა კეთილი და კეთილშობილი ვართ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება. კომუნიზმი აღარ არსებობს, საკუთარ თავზე შენ უნდა იზრუნო, გულუბრყვილო რომ იქნები და უცოდინარი, გახდები მსხვერპლი.”

დოქტორანტის ამ ნათქვამს უპირისპირდება უფრო შემგუებლური პოზიცია: “დაგვიდგინონ, გვითხრან, რა უნდა ვქნათ და ვიზამთ. ჩვენთან სულ ასე იყო ეს ამბავი”.

“ჩვენთან სულ ასე იყო” ძირითადად ეხება წარმოდგენას, რომ “რეალური კვლევა არ მიმდინარეობს”. კვლევისას პლაგიატის ძირითად მიზეზად სამეცნიერო კვლევის და ხარისხის კულტურის არარსებობა დასახელდა. ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ამგვარი

დამოკიდებულების და პრაქტიკის კულტურული საფუძვლების მოკლე მიმოხილვა და მათი უახლესი ისტორიის ჭრილში გააზრება. პლაგიატისადმი კონფლიქტური დამოკიდებულება და პრაქტიკა არის, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ეთოსის (ქცევის წესის), მეორე მხრივ, ახლანდელი საჭიროებების, მწირი რესურსების და ახალი ტენდენციების ჯამური შედეგი.

კვლევის მდგომარეობა და პლაგიატი

აკადემიური პერსონალი თანხმდება, რომ ყველაზე ფართოდ პლაგიატი გავრცელებულია სამეცნიერო წრეებში. დღევანდელ სიტუაციაზე, პლაგიატზე, აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე მსჯელობა ფოკუს ჯგუფებში ხშირად უტრიალებდა თემას, თუ რამდენად მოახერხა აკადემიურმა სივრცემ საბჭოთა კავშირს და “საბჭოთა მენტალობას” დაშორებოდა. “კვლევის არარსებობა”, “ვითომ კვლევა”, ფოკუს ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანი თემა იყო.

“უნდა არსებობდეს კვლევა. იმისთვის, რომ სტატია დაწერო, უნდა იმუშავო”.

“უნდა გქონდეს მოტივაცია, რომ იმუშავო. თუ არ მუშაობ და მაინც შემოსავალს იღებ... და მე კიდევ ვმუშაობ და პრინციპში ბევრი მაინც არც არაფერი (განსხვავება არ არის). უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს წახალისების მექანიზმები.”

“საბჭოთა მეცნიერების” დისკურსი ტრიალებს “ხალტურის”, როგორც ქცევის გავრცელებული წესის ირგვლივ. „ყველამ იცის, რომ არ ჩაუტარებია ის კვლევა, მაგრამ რას ვიზამთ“. ამბობს ერთ-ერთი პროფესორი. სტუდენტებისა და პროფესორების შეფასებით, ისევე როგორც საბჭოთა პერიოდში, ახლაც, არარეალური მოლოდინები და არსებული რესურსების სიმწირე და დეფიციტი ამყარებს ქცევის ეთოსს, როდესაც აკადემიური სივრცის წარმომადგენლები ცდილობენ დადგენილი წესებისთვის გვერდის ავლას და ამ მიზნით სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებას. ამგვარი ტაქტიკაა, როდესაც „სინამდვილეში“ სტუდენტები და პროფესორები არ აკეთებენ იმას, რასაც ამბობენ, ან აკეთებენ სხვაგვარად, აყალბებენ მონაცემებს, „იპარავენ დროს“, იწყებენ არსებული წესების საკუთარ საჭიროებებზე მორგებას და კამუფლაჟს. ასე მაგალითად, თუ უნივერსიტეტი დაუდგენს დოქტორანტს, რომ მან რამდენიმე სტატია უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალში, დოქტორანტიცა და პროფესორიც

შეეცდებიან, ეს ჟურნალი იყოს რომელიმე მეზობელი ქვეყნის ჟურნალი (რაც მას საერთაშორისოდ აქცევს) და რეფერირებაც სპეციფიკურად იყოს გაგებული. წესების ფორმალობა და მოლოდინი, რომ სინამდვილეში მათ როგორმე გვერდი უნდა აუარო, ფოკუსს ჯგუფების ხშირი თემა იყო:

“აკრედიტაციის ერთ-ერთი სტანდარტია აკად. პერსონალის შეფასება. ერთ-ერთია პუბლიკაცია. პუბლიკაციების რაოდენობა იგულისხმება მხოლოდ. ამ სტანდარტს აკმაყოფილებს ნებისმიერი, ვისაც ძალიან საეჭვო ჟურნალებშიც აქვს გამოქვეყნებები. ხარისხზე ვერ ედავები. ამ დროს ყველამ ვიცით, რომ სისულელეა და ის ასი სტატია ნაკლებ ღირებულია, ვიდრე ერთი სტატია ერთ რეფერირებად, გამართულ ჟურნალში გამოსული.” (პროფესორი).

მოთხოვნების და რეალობის შეუსაბამობა

კვლევის კულტურის არარსებობა, რომელსაც რესპონდენტები მრავალი მიზეზით ხსნიან, მათ შორის, დაფინანსების სიმცირით, იწვევს არსებული ცოდნის მუდმივ რეპროდუქციას ან უარეს შემთხვევაში, გაყალბებისკენ უბიძგებს. აკადემიური პერსონალის აზრით:

“არც შესაძლებლობა არსებობს და არც მოლოდინი, რომ ახალი უნდა შეიქმნას. შესაბამისად, არსებულის განმეორება ხდება”.

კვლევის სიმცირის პირობებში „ყველასთვის ცნობილი საიდუმლოა“, რომ კონკურსებში კვლევითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მონაცემების გაყალბება და სხვისი ნაწერის მითვისება ყველაზე იოლი და გავრცელებული გზაა. ერთი მხრივ, ამას იწვევს კვლევის არასათანადო დაფინანსება. რთულია ზუსტად ითქვას, როგორ ფინანსდება კვლევა ქართულ უნივერსიტეტებში. როგორც ცნობილია, 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში კვლევისთვის გამოყოფილია ბიუჯეტის 0.78% . ეს არ არის კვლევის ერთადერთი დაფინანსება, მაგრამ საერთო სურათზე მიუთითებს. კვლევით უნივერსიტეტებს აქვთ ვალდებულება, ბიუჯეტში გამოყოფილი ჰქონდეთ კვლევის დაფინანსება, თუმცა განსაზღვრული არ არის მინიმალური პროცენტული ოდენობა. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ აკადემიური პერსონალისგან ძირითადად მხოლოდ სწავლებას ელიან, ამგვარადაა მათი ვალდებულებები და ხელფასი განსაზღვრული, უნივერსიტეტები არ ახალისებენ ან ხელს არ უწყობენ კვლევის წარმოებას.

ზოგადად უმაღლესი გაანთლების დაფინანსება საქართველოში გაცილებით უფრო მცირეა ვიდრე OECD საშუალო დონე. 2012 წლის მონაცემების თანახმად თითოეულ სტუდენტზე გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები შეადგენდა 11913 დოლარს (OECD 2015, 251). იგივე მონაცემი საქართველოში იყო 850 დოლარი.

კონკურსებში ჩადებულია პირობები, რომლებიც „აცდენილია რეალობას“ და უბიძგებს სტუდენტებსა და პროფესორებს მონაცემების გაყალბებისკენ, პლაგიატისკენ. „მოთხოვნები და რესურსები აცდენილია“, აღნიშნავენ რესპონდენტები. ამის ნიმუშია, როდესაც მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში წარადგენენ სტატიებს, დაფუძნებულს ორიგინალურ ექსპერიმენტულ შედეგებზე, ამ დროს არც ამგვარი ლაბორატორია და არც იმ ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობა საქართველოში არ არსებობს:

“ჩამოვლენ და ველით, რომ გვეტყვიან, კი მაგრამ ეს როგორ დაწერა, ამას როგორ ჩაატარებდაო, მაგრამ ისინი გვეუბნებიან, თქვენ თავს თვითონ მიხედეთო და ვართ ასე” (პროფესორი)

რესპონდენტების მსჯელობის თანახმად, რეალობისადმი კრიტიკული მიდგომის პარალელურად თანაარსებობს გარკვეული “გაგების”, სოლიდარობის აუცილებლობა, რომელიც უფრო მაღლა დგას, ვიდრე აკადემიური კეთილსინდისიერება:

“მქონია შემთხვევა, ჩემი დაწერილი თავები მიცვნიან სხვის ნაშრომში, მაგრამ გავჩერებულვარ”.
(პროფესორი)

ამ შემთხვევაში აკადემიური პერსონალი ერთმანეთს იცავს სამსახურის დაკარგვისგან, რადგან თვლის, რომ ისინი სრულიად დაუცველები აღმოჩნდებიან და ეს „გაწირვას უდრის“. ფოკუსს ჯგუფებსა და დისკუსიაში ჩართული სტუდენტებისა და პროფესორების დიდი ნაწილისთვის სოციალური თანადგომა უფრო მნიშვნელოვნად აღიქმება, ვიდრე აკადემიური პატიოსნება.

ხარისხის კულტურა და იზოლაცია

ფოკუსს ჯგუფებსა და ინტერვიუებში ჩართული საკმაოდ ბევრი რესპონდენტისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების გადაცდენა აკადემიური კულტურის „ჩვეულებრივ“ ნაწილად იქცა:

“პრობლემა ძირითადად ის არის, რომ ამ პროფესიაში ადამიანებს არა აქვთ ორიენტაცია ხარისხზე. ყოველთვის ნახავს სამსახურს, უნივერსიტეტს, რომელიც მიგიღებს... მაინც ხარ სადღაც, მუშაობ. ამერიკელი თუ გეტყვის, პლაგიატი ხარო, არც გაწუხებს.” (პროფესორი)

პროფესორების ნაწილის აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ხარისხის კულტურის არარსებობა და სივრცის ჩაკეტილობაა.

“სოციალურ მეცნიერებებში პრესტიჟული რომ გახდება ყოფნა და რომ წავა კონფერენციაზე და ეტყვიან, შენ არაფერი გაგიკეთებია. თორემ ისე რა მოტივაცია აქვს ახლა, რომ კარგი ტიპი იყოს და ინგლისურად წეროს.” (პროფესორი)

არსებული სიტუაციიდან გამოსავლად აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უმეტესობას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში უკეთესი ჩართვა ესახებათ.

“საბჭოთა კავშირი ხომ არ ვართ, უნდა ჩავერთოთ სივრცეში და გავხდეთ კონტრიბუტორები” (პროფესორი)

კვლევის მიხედვით, ის თუ რამდენად იზოლირებულია ესა თუ ის დარგი, პლაგიატის გავრცელების მხრივ დარგობრივ განსხვავებასაც იწვევს. *“შიდა პუბლიკაციებზე ლმობიერი მიდგომაა. ძალიან მცირე პროფესიული საზოგადოებებია. როცა ქართულად იწერება ტექსტი, დამწერმა იცის, ვისთან წავა ტექსტი. ძალიან პირადულად მიიღებენ, თუ დაბლოკავ”,* ამბობს პოლიტიკის მეცნიერებების პროფესორი.

როგორც ინტერვიუებში და ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიებმა გამოავლინა, პროფესორების აღქმით სოციალურ და განსაკუთრებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში პლაგიატი აკადემიური ყოფის ნაწილია. ერთ-ერთი ხელოვნების ისტორიკოსი გვიზიარებს:

“ვზივარ პირველ რიგში, ვუსმენ მოხსენებას... ზუსტად ჩემი ტექსტია. ველოდები, იტყვის, რომ ჩემი ციტატაა. ისე დაასრულა და ისე გამოუქვეყნეს მერე, არც ვუხსენებიათ საერთოდ. მითხრეს, უთხარიო, მაგრამ რა უნდა მეთქვა.”

ის დარგები, რომლებიც ტრადიციულად გამოქვეყნებას უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში ცდილობდნენ, პლაგიატზე მეტად არიან ინფორმირებული და ხარისხის უფრო მაღალი კულტურა აქვთ. თუმცა განსხვავება აქაც იჩენს თავს ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ერთ-ერთი ფიზიკოსის თქმით: *“თუ ვიცით ვინმეზე, რომ პლაგიატია, ხელს არ ჩამოვართმევთ.”* ჰუმანიტარული მიმართულების პროფესორების ნაწილის აზრით კი ხშირად შეუძლებელია, „უკეთ თქვან, ვიდრე რომელიმე ღვაწლმოსილმა მეცნიერმა“ და მათი ნათქვამის განმეორება ზოგჯერ ავტორიტეტების წინაშე თავმდაბლობად აღიქმება.

ფოკუს ჯგუფებში იშვიათად, თუმცა მაინც გაიჟღერა განსხვავებულმა პოზიციამ, როდესაც პლაგიატი განიხილებოდა მსხვერპლის პოზიციიდან. ანუ არა როგორც მორალური პრობლემა, არამედ კონკრეტული ადამიანის უფლების შელახვა. საინტერესოა, რომ ეს პოზიცია ნაკლებად აქტუალურია.

„სულ ვსაუბრობთ, რომ არ უნდა გავაკეთოთ, რადგან ეთიკის დარღვევაა. ჩემი აზრით, პლაგიატისგან თავის დაზღვევის მექანიზმები პირველ რიგში ცალკეული მკვლევარის ინტერესებში უნდა შედიოდეს, მათ მიერვე შექმნილი ახალი იდეის მითვისება სხვამ რომ ვერ მოახერხოს. მკვლევარებს გული უნდა შეტკიოდეთ ამ ფაქტებზე, რადგან სხვას თუ მოპარავენ იდეას, შეიძლება შენც მოგპარონ“. (დოქტორანტი)

ინტერტექსტუალობა და ავტორიტეტების ერთგულება

გავრცელებული დამოკიდებულება, რომელიც საბჭოთა ადამიანისგან ავტორიტეტების მორჩილებას, „სწორი“ ტექსტების და მიღებული ინტერპრეტაციების გამეორებას ითხოვდა, პლაგიატის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნიათ იმ ადამიანებს, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი. რესპონდენტების თქმით, პლაგიატს ხელს უწყობდა და უწყობს გავრცელებული ინტერტექსტუალობა: ტექსტების გამეორება, ავტორიტეტული ტექსტების სავალდებულო ჩართვა საკუთარ მსჯელობაში, რაც საბჭოთა კავშირში გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა. ერთ-ერთი პროფესორი, ისტორიკოსი, აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობისას თავს იტეხდნენ ფიქრით, რა შეიძლებოდა, ჩაეწერათ გამოყენებული მეთოდების სექციაში. შემდეგ ერთ-ერთმა კურსელმა

„მიაგნო გამოსავალს და იპოვა ფრაზა ლენინთან: 'პირველწყარო უნდა წავიკითხოთ ბოლომდე'. წერდენ და წერდნენ ამ ფრაზას.“

ამ პრაქტიკის გაგრძელებას სტუდენტები და პროფესორები ხედავენ სასკოლო და უმაღლეს განათლებაში, „რომელიც არ აჩვენებს დამოუკიდებელ და ორიგინალურ აზროვნებას. სკოლა მთავაგონებს მას, რომ მან მხოლოდ უნდა გაიმეოროს. ხან მშობლების აზრი, ხან მასწავლებლების და ა. შ.... ამიტომ ანალიზი არ შეუძლიათ.“

სკოლაში ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული ტექსტთან ახლოს მოყოლის ვალდებულება. ერთ-ერთი მასწავლებელი ამ აუცილებლობას ასე ხსნის: „როგორ, მოსწავლე უკეთ მოყვება, ვიდრე ილიამ თქვა?“ ამგვარი დამოკიდებულება აჩვენებს ავტორიტეტების

აზრის გამეორებას კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე. ასევე აქცევს სხვისი ტექსტებით საუბარს, რაც ნორმად ყალიბდება.

“ბაკალავრიატში მოდიან, სრულიად არა აქვთ გააზრებული, როგორ უნდა შეიძინო ცოდნა. სკოლაში ეჩვევიან სხვისი აზრის გამოყენებას.” (პროფესორი)

ამავე დამოკიდებულების ნაწილია არა გააზრებაზე, არამედ დამახსოვრებაზე ორიენტირებული სწავლება. მოსწავლეების დიდი ენერგია დღემდე იხარჯება სხვების ტექსტების, თარიღების, ფაქტობრივი მასალის დაზეპირებაზე.

გამოცდების არსებული სისტემაც გამეორების წახალისებაზეა ორიენტირებული. არსებული სისტემა აჯილდოვებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ყველაზე კარგად შეძლებენ ინფორმაციის დაზეპირებას ან სხვების მოსაზრებებთან ახლოს დარჩებიან. *“გამოცდები აჩვენებს ტესტებზე და გაზეპირებულ ცოდნაზე ორიენტირებას და ხელს არ უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას”,* აღნიშნავს ერთ-ერთი პროფესორი.

სახელმძღვანელოებით სწავლება

უნივერსიტეტებში დღემდე გავრცელებული კონსპექტებით და სახელმძღვანელოებით სწავლება. *„ჩვენს დარგში სხვანაირად შეუძლებელია“*, ხშირად ამბობენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ფოკუსს ჯგუფების შედეგების თანახმად, დასავლურ უნივერსიტეტებში გავრცელებული წესის საპირისპიროდ, საქართველოში სტუდენტებს ხშირად ლექტორები უმზადებენ შეჯამებულ ვარიანტს მთელი იმ მასალისა, რომელიც სემესტრის მანძილზე გაიარეს. ლექტორის მიერ დაწერილი ამგვარი კონსპექტი სტუდენტმა უნდა დაიმახსოვროს და გამოცდაზე შემდეგ უნდა მოყვეს. საქართველოს უნივერსიტეტებში გამოცდების პერიოდში ხშირად შეხვდებით სტუდენტებს, რომლებსაც ამგვარ ხელნაწერ კონსპექტებში თავი აქვთ ჩარგული და პროფესორის ინტერპრეტირებულ მასალას იზეპირებენ. ამ მასალის მოყოლისას, თუ შესაძლებლობა მიეცემათ, და ნაწერში გამოყენებისას, ის მოწოდებულია, როგორც არა კონკრეტული პროფესორის მოსაზრება, არამედ ფაქტობრივი მასალა და ერთადერთი ინტერპრეტაცია.

„სტუდენტურ დონეზე პრობლემაა კონსპექტები. ჩვენ ვაკონსპექტებთ და შემდეგ ამის გავრცელება ხდება. მე ვაძლევ სხვას, ის იღებს და იყენებს. მერე ეს სხვას ათხოვებს, არ ხდება ამის გადააზრება. გამოიყენება გამოცდებზე დასაწერად“ (ბაკალავრიატის სტუდენტი).

ამგვარი კონსპექტები ხშირად თავად არის ხოლმე სხვისი ნაწერების კომპილაცია ავტორების მითითების გარეშე. ამგვარ კონსპექტებს შემდეგ სტუდენტები თავიანთ ნაწერებში იყენებენ და ასე იქმნება პლაგიატის გრძელი ჯაჭვი, სადაც პლაგიატის პირველწყაროს პოვნა ხშირად ძალიან რთულია.

ზოგ უნივერსიტეტში სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ სახელმძღვანელოებზე. სტუდენტების აზრით, სახელმძღვანელოებით სწავლება წინ გადადგმული ნაბიჯია ხელით ნაწერ კონსპექტებთან შედარებით, თუმცა ის ასევე არ უვითარებს სტუდენტს მასალის მოძიების და კრიტიკული ანალიზის უნარს. სტუდენტებთან დისკუსიისას დავას და გაურკვევლობას იწვევდა, თუ რა სახით უნდა შესრულდეს რეფერატი, რომ არ ჩაითვალოს პლაგიატად.

„საქმე იმაშია, რომ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომთან მიმართებაში შედარებით მკაფიო ინსტრუქციები არსებობს, შუალედურ მიმდინარე დავალებებთან მიმართებაში კი - არა. რეფერატზე რომ ვმუშაობთ, მაგალითად ბრუნების საკითხზე, ვიყენებთ ერთ წიგნს. უკეთეს შემთხვევაში სტუდენტები ნაშრომში აკეთებენ ანალიზს, მაგრამ ხშირად ეს ასე არ არის და მარტივად გადმოგვაქვს ტექსტი. თუ წიგნიდან დავწერე, შეიძლება ეს არ არის ეთიკური, მაგრამ პლაგიატიც არ არის ჩემი აზრით“ (ბაკალავრიატის სტუდენტი)

სახელმძღვანელოების ავტორები წინა თაობის მეცნიერთა წინაშე პატივისცემის გამოხატვად მიიჩნევენ ხოლმე იმ ავტორთა ნაწერის სტრუქტურის, მსჯელობის გამეორებას. სტუდენტებიც ხშირად თვლიან, რომ მათი მსჯელობა ნაკლებად აკადემიური იქნება, ვიდრე სახელმძღვანელოს ტექსტთან ახლოს დარჩენა და ხშირად პირდაპირ იწერენ. ზოგიერთ მკვლევარი თვლის, რომ უცხოელი სტუდენტები ინგლისურენოვან გარემოში ხშირად მიმართავენ პლაგიატს, რადგან ენობრივი ცოდნის სიმწირის გამო მათ აზრის უკეთ ჩამოყალიბება ან პარაფრაზირება უჭირთ (Hayes and Introna 2005). ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ საკუთარ ენაზეც ხშირად სხვის მიერ ჩამოყალიბებული აზრის გადმოცემა ურჩევნიათ, მათ შორის, ძალიან მარტივ საკითხზეც, თუ ქცევის წესი ამგვარად არის ჩამოყალიბებული და ავტორიტეტების ერთგულება ბავშვობიდან წახალისებულია.

სტუდენტებისა და პროფესორების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები

აკადემიური პერსონალის აზრით, გამოსავალი შეიძლება იყოს **მოთხოვნების და რესურსების დაახლოება**, ასევე აკადემიური კულტურის ამაღლებისაკენ გადასადგმელი ნაბიჯები, როგორცაა სამეცნიერო პერიოდიკის განვითარება, განსაკუთრებით რეფერირების განვითარება და გაფართოება საქართველოში. „*კარგი იქნებოდა შიდა Peer Review-ს სისტემის ამოქმედება გამოქვეყნებამდე, საერთაშორისო რეცენზირების ამოქმედება გარკვეული შემთხვევებისთვის*“ ამბობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთ-ერთი პროფესორი.

ერთ-ერთ გამოსავლად, პროფესორებსა და სტუდენტებს, აგრეთვე, მიაჩნიათ **არსებული რესურსების სიმწირის პირობებშიც დისერტაციების, სამეცნიერო კვლევების ერთიანი ბაზების განვითარება და რეფერირების სისტემის ფართო ამოქმედება**.

“გაცილებით უფრო ფართო სპექტრმა ადამიანების შეიძლება შეაფასოს, საერთოდ არის თუ არა ციტირება. კოლეგიალური შეფასება უნდა გაძლიერდეს მაინც. ეს იქნებოდა გამოსავალი. ბიოლოგი ამბობს, როგორ შეიძლება, რომ ფიზიკოსმა წაიკითხოს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წრის გაფართოება შეიძლება”. (პროფესორი)

ამასთანავე, ბაზის შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ: ა) ბაზა იყოს შეძლებისდაგვარად ფართო და დაკავშირებული იყოს სხვა უფრო ფართო ბაზებთან; ბ) არსებობდეს ნაშრომების ატვირთვის სავალდებულო პროცედურა და სანქციები, ამ პროცედურის დარღვევისათვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზა იქნება არასრული.

კიდევ ერთ ეფექტურ ნაბიჯად, პროფესორები **დოქტორანტებისთვის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების ვალდებულების დაწესებას** მიიჩნევენ ხოლმე, თუმცა ამ შემთხვევაში რესპონდენტები უნივერსიტეტის დონეზე პოლიტიკის განმსაზღვრელებს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ:

„წესი ისე უნდა შეირჩეს, რომ არ გამოიწვიოს გაყალბების აუცილებლობა, არ უნდა იყოს მოთხოვნა შეუსაბამოდ მაღალი“. (პროფესორი)

საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა და ხელშეწყობა მიზნულია რესურსების უკეთეს ალოკაციასთან. პროფესორებისა და სტუდენტების აზრით, თუ არ

არსებობს დაფინანსებული კვლევა, ამ მიმართულების განვითარება შეუძლებელია. შესაბამისად, ერთ-ერთ საკვანძო რეკომენდაციას რესპონდენტების აზრით **კვლევისათვის და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის რესურსების გამოყოფა** წარმოადგენს.

პროფესორების აზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას სტუდენტებში **უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესება წარმოადგენს**. უცხო ენის არასკმარისად ცოდნის გამო სტუდენტები სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვევას ვერ ახერხებენ. სტუდენტების აზრით, იგივე პრობლემა აქვთ პროფესორებსაც, რომელთა დიდი ნაწილი, ასევე, ვერ ფლობს უცხო ენას.

კიდევ ერთ ქმედით ინტერვენციად აკადემიური პერსონალი და სტუდენტები **პლაგიატის პრევენციის ინსტრუქციების, ისევე როგორც პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების პროცედურების დაზუსტებას** მიიჩნევენ.

„უნდა მოვრჩეთ ფორმალურობას და გადავიდეთ ფუნქციურობაზე. ყველაფრის კანონი არსებობს, მაგრამ ფურცელზე რჩება. ალბათ სხვანაირადაც უნდა დაიწეროს ყველაფერი“ (სტუდენტი).

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე სტუდენტებისა და პროფესორების ნაწილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს **ახალგაზრდა თაობის როლისა და წარმომადგენლობის გაზრდას მეცნიერებაში**.

„სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მკვლევარების უმცროს თაობას, იმიტომ რომ ესეც არის თაობების კულტურის საკითხი. რატომღაც ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა თაობაში უფრო მეტად აქვს მოკიდებული ფეხი ურთიერთთანამშრომლობას და ერთმანეთის ნაშრომების პატივისცემას. მეცნიერებათა აკადემიას შეზღუდული აქვს ახალი წევრების მიღება. სანამ მეცნიერება არის ფორმალური, ახალგაზრდა თაობას ვერ შეხვდებით უნივერსიტეტებში, მაშინ როდესაც უცხოეთში უნივერსიტეტი დგას ახალგაზრდებზე, კვლევას ისინი აწარმოებენ. ახალი ტრადიცია უნდა დაამკვიდროს ახალმა ენერგიამ“ (სტუდენტი).

კვლევაში ჩართული რესპონდენტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა **პლაგიატთან ბრძოლის სისტემური მიდგომების დანერგვა უნივერსიტეტებში, სადაც ერთმანეთთან ფუნქციურად და ნათლად იქნება დაკავშირებული პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების ინსტრუმენტები**.

„მე ვფიქრობ, რომ თუ არის დასჯის მექანიზმი, იქ ავტომატურად არის ინფორმირებულობა. მე უცხოეთში ვსწავლობდი და რომ ვიცოდი რომ დავისჯებოდი, ძალიან წვრილად შევისწავლო ყველაფერი. დიდი ასოებით ეწერა სამივე დავალებაზე. იქ შიში იმიტომ არსებობს, რომ

დასჯის მექანიზმიც რეალურად მოქმედებს, შემოწმების მექანიზმიც არის. ინფორმირებულობას არ აქვს აზრი სანქციების გარეშე, ხოლო სანქციებს - შემოწმების მექანიზმების გარეშე. ყველაფერი ურთიერთგადაბმულია“ (მაგისტრანტი).

დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაცხადებული პოლიტიკის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა **პლაგიატის საკითხის ფორმალური რეგულაციები საკმაოდ ვიწროდ განსაზღვრავს პლაგიატს და ზედაპირულად განმარტავს პლაგიატთან ბრძოლის პროცედურებს:**

პლაგიატის თემა ასახულია თითქმის ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მინიმუმ ერთ ნორმატიულ დოკუმენტში, მაგრამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი ფორმალური რეგულაციების დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ ოფიციალური რეგულაციები: ა) ნაკლებად დეტალიზებულია და არათანაბრადაა ასახული უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებში; ბ) ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე; გ) ნაკლებად ასახავს პლაგიატის აღმოჩენის პროცესსა და პროცედურებს; დ) უფრო მეტად ორიენტირებულია დასჯაზე, ვიდრე პრევენციაზე და ე) უფრო მეტად ფოკუსირებულია სტუდენტებზე, ვიდრე აკადემიურ პერსონალზე.

კვლევის შედეგები იმაზეც მიგვანიშნებს, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძირითადად ფორმალური ხასიათი აქვს. **აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი მათ უნივერსიტეტებში პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის შესახებ დაბალია:** კვლევაში ჩართული სტუდენტების ნახევარმა არ იცის, არსებობს თუ არა მათ უნივერსიტეტში პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკა.

პლაგიატთან ბრძოლის გაცხადებული პოლიტიკისაგან განსხვავებით, პრაქტიკა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორებსა და სტუდენტებში ხშირად დავას იწვევს პლაგიატის კონკრეტული ინტერპრეტაციები,**

რომლებიც განსხვავდება უსდ-ების დეკლარირებული ფორმალური დეფინიციებისგან: აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ნაწილი განსხვავებულად განსაზღვრავს პლაგიატს სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებისათვის და პლაგიატის ფორმად არ მიიჩნევს „უნებლიე პლაგიატს“.

პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების პროცედურების ბუნდოვანების პირობებში პლაგიატთან ბრძოლა უმეტეს შემთხვევებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თვითინიციატივასა და მოტივაციაზეა დამოკიდებული: ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენის ინსტრუმენტებისა და შესაბამისი სანქციების არათანაბრად გამოყენებას სხვადასხვა კურსების ფარგლებში, სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელთ არსებული პლაგიატის აღმოჩენის ინსტრუმენტები მწირია: ძირითად სტრატეგიას პროფესორების მიერ სტუდენტების ნაშრომების შემოწმება წარმოადგენს. ხარისხის სამსახურების უმრავლესობის ინფორმაციით, აკადემიური პერსონალის მიერ კოლეგებში პლაგიატის აღმოჩენის ალბათობა ძალიან დაბალი ან დაბალია. ნაკლებად გამოიყენება კოლეგიალური შეფასების ინსტრუმენტები, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მხოლოდ სამში გამოიყენება პლაგიატის აღმოჩენის ელექტრონული რესურსები.

პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ გარემოებას საქართველოში აკადემიური ნაშრომების ელექტრონული ბაზების არარსებობა წარმოადგენს: ყოველ მეხუთე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც მოქმედებს სადოქტორო საფეხური, არ აქვს სადისერტაციო ნაშრომების შიდა ბაზა. უნივერსიტეტების დაახლოებით 40%-ში, ხარისხის მართვის სამსახურების ინფორმაციით, საერთოდ არ არსებობს სამაგისტრო, საბაკალავრო და სხვა აკადემიური ნაშრომების შიდა ბაზები. სადოქტორო ნაშრომები და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიმდინარე სამეცნიერო პროდუქტი ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ 3 უნივერსიტეტს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ჩართული რესპონდენტები თვისებრივ კომპონენტში დეტალურად აღწერენ პლაგიატის მრავალფეროვან შემთხვევებსა და მათ გავრცელებაზე საუბრობენ. პლაგიატის, როგორც პრობლემის სიმწვავის შეფასებები მაღალი არ არის და არ აღემატება სამს - ხუთბალიან სკალაზე, სადაც ხუთი ძალიან მწვავე პრობლემას ნიშნავს.

შედეგების ეს კონფლიქტურობა მიგვანიშნებს, რომ აკადემიურ საზოგადოებას ზოგადად აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს პლაგიატი და მის ფართო გავრცელებას პრობლემად მიიჩნევს, თუმცა აკადემიური პერსონალი და სტუდენტები პლაგიატზე ძირითადად მსჯელობენ, როგორც ქართული აკადემიური კულტურის ნაწილზე, რომელიც სწავლების და კვლევის ყველა საფეხურზე გვხვდება: სტუდენტებისა და პროფესორების შეფასებით, ისევე როგორც საბჭოთა პერიოდში, ახლაც, არარეალური მოლოდინები და არსებული რესურსების სიმწირე და დეფიციტი ამყარებს ქცევის ეთოსს, როდესაც აკადემიური სივრცის წარმომადგენლები ცდილობენ დადგენილი წესებისთვის გვერდის ავლას და ამ მიზნით სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებას.

კვლევაში ჩართული თითქმის ყველა რესპონდენტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს პლაგიატთან ბრძოლის გამკაცრებას საქართველოს აკადემიურ სივრცეში და გამოთქვამს მზაობას ამ საკითხზე დისკუსიაში მონაწილეობისათვის, რაც პლაგიატის საკითხზე კონსტრუქტული მსჯელობის დაწყების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

კვლევაში ჩართული სტუდენტებისა და პროფესორების აზრით საქართველოს აკადემიურ სივრცეში პლაგიატის მასშტაბების შემცირებას ხელს შეუწყობდა: ა) აკადემიური საზოგადოებისათვის წაყენებული მოთხოვნებისა და მათთვის ხელმისაწვდომი რესურსების თავსებადობის გაზრდა; ბ) დისერტაციების, სამეცნიერო კვლევების ერთიანი ბაზების განვითარება და რეფერირების სისტემის უფრო ინტენსიურად ამოქმედება; გ) კვლევისათვის და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მეტი რესურსების გამოყოფა; დ) პროფესორებსა და სტუდენტებში კვლევითი კომპეტენციების განვითარება; ე) უნივერსიტეტებში პლაგიატის პრევენციის ინსტრუქციების, ისევე როგორც პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების პროცედურების დაზუსტება; ვ) ახალგაზრდა თაობის როლისა და წარმომადგენლობის გაზრდა მეცნიერებაში; ზ) პლაგიატთან ბრძოლის კომპლექსური, სისტემური მიდგომების დანერგვა უნივერსიტეტებში - პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების ინსტრუმენტების ერთმანეთთან დაკავშირება და თანმიმდევრული გამოყენება.

დამატებითი ცხრილები:

პლაგიატის სხვადასხვა ასპექტების საშუალო შეფასება (5 მაღალი ქულა) - ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენელთა გამოკითხვა

	რაოდენობა	საშუალო	სტ. შეცდომა
ბრძოლის სიმკაცრე	33	3.21	0.37
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	33	3.30	0.37
ბრძოლის ეფექტურობა	32	3.06	0.40
ინფორმირებულობა (ბაკალავრიატი)	32	3.06	0.40
ინფორმირებულობა (მაგისტრატურა)	32	3.50	0.40
ინფორმირებულობა (დოქტორანტურა)	23	4.00	0.41
ინფორმირებულობა (აკად.პერს.)	33	3.88	0.37
ინფორმირებულობა (ადმინისტრაცია)	32	3.72	0.40
წესების დაცვა (ბაკალავრიატი)	32	2.78	0.40
წესების დაცვა (მაგისტრატურა)	32	3.19	0.40
წესების დაცვა (დოქტორანტურა)	23	3.65	0.44
წესების დაცვა (აკად.პერს.)	32	3.59	0.40
სანქციების სიმკაცრე (ბაკალავრიატი)	30	2.93	0.46
სანქციების სიმკაცრე (მაგისტრატურა)	31	3.39	0.43
სანქციების სიმკაცრე (დოქტორანტურა)	22	3.86	0.52
სანქციების სიმკაცრე (აკად.პერს.)	29	3.52	0.49
ძალისხმევა (ბაკალავრიატი)	31	3.19	0.43
ძალისხმევა (მაგისტრატურა)	31	3.42	0.43
ძალისხმევა (დოქტორანტურა)	22	3.91	0.66
ძალისხმევა (აკად.პერს.)	31	3.58	0.43
პრობლემის სიმწვავე (ბაკალავრიატი)	32	2.81	0.40
პრობლემის სიმწვავე (მაგისტრატურა)	32	2.63	0.40
პრობლემის სიმწვავე (დოქტორანტურა)	23	2.52	0.44
პრობლემის სიმწვავე (აკად.პერს.)	32	2.47	0.40
რეაგირების ალბათობა (ბაკალავრიატი)	32	2.91	0.40
რეაგირების ალბათობა (მაგისტრატურა)	32	3.13	0.40
რეაგირების ალბათობა (დოქტორანტურა)	23	3.57	0.52
რეაგირების ალბათობა (აკად.პერს.)	33	3.52	0.37

პლაგიატის სხვადასხვა ასპექტების საშ. შეფასება (5 მაღალი ქულა) - სტუდენტების გამოკითხვა

	რაოდენობა	საშუალო	სტ. შეცდომა
ბრძოლის სიმკაცრე	393	2.18	.041
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	403	1.98	.042
ბრძოლის ეფექტურობა	356	2.00	.043
ინფორმირებულობა (მაგისტრატურა)	249	3.09	.074
ინფორმირებულობა (დოქტორანტურა)	180	3.07	.088
ინფორმირებულობა (აკად.პერს.)	362	3.76	.059
ინფორმირებულობა (ადმინისტრაცია)	343	3.71	.061
წესების დაცვა (მაგისტრატურა)	232	3.21	.074
წესების დაცვა (დოქტორანტურა)	168	3.24	.084
წესების დაცვა (აკად.პერს.)	343	3.69	.059
სანქციების სიმკაცრე (მაგისტრატურა)	216	3.17	.086
სანქციების სიმკაცრე (დოქტორანტურა)	157	3.15	.097
სანქციების სიმკაცრე (აკად.პერს.)	305	3.41	.070
ძალისხმევა (მაგისტრატურა)	225	3.12	.083
ძალისხმევა (დოქტორანტურა)	157	3.08	.088
ძალისხმევა (აკად.პერს.)	307	3.31	.070
პრობლემის სიმწვავე (მაგისტრატურა)	230	3.17	0.07
პრობლემის სიმწვავე (დოქტორანტურა)	169	3.21	0.08
პრობლემის სიმწვავე (აკად.პერს.)	316	3.07	.065
რეაგირების ალბათობა (მაგისტრატურა)	237	3.23	.081
რეაგირების ალბათობა (დოქტორანტურა)	174	3.21	.090
რეაგირების ალბათობა (აკად.პერს.)	342	3.44	.066

პლაგიატის სხვადასხვა ასპექტების საშ. შეფასება (5 მაღალი ქულა) - პროფესორების გამოკითხვა

რაოდენობა საშუალო სტ. შეცდომა

ბრძოლის სიმკაცრე	533	3.01	.049
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	523	2.93	.048
ბრძოლის ეფექტურობა	499	2.83	.047
ინფორმირებულობა (ბაკალავრიატი)	519	2.63	.047
ინფორმირებულობა (მაგისტრატურა)	473	3.00	.050
ინფორმირებულობა (დოქტორანტურა)	383	3.32	.057
ინფორმირებულობა (აკად.პერს.)	528	3.46	.047
ინფორმირებულობა (ადმინისტრაცია)	446	3.45	.052
წესების დაცვა (ბაკალავრიატი)	524	2.89	.044
წესების დაცვა (მაგისტრატურა)	474	3.21	.045
წესების დაცვა (დოქტორანტურა)	391	3.48	.050
წესების დაცვა (აკად.პერს.)	510	3.65	.042
სანქციების სიმკაცრე (ბაკალავრიატი)	482	2.69	.051
სანქციების სიმკაცრე (მაგისტრატურა)	444	2.89	.054
სანქციების სიმკაცრე (დოქტორანტურა)	372	3.19	.062
სანქციების სიმკაცრე (აკად.პერს.)	480	3.31	.053
ძალისხმევა (ბაკალავრიატი)	494	2.76	.049
ძალისხმევა (მაგისტრატურა)	454	2.94	.052
ძალისხმევა (დოქტორანტურა)	373	3.16	.061
ძალისხმევა (აკად.პერს.)	489	3.24	.052
პრობლემის სიმწვავე (ბაკალავრიატი)	506	2.96	.048
პრობლემის სიმწვავე (მაგისტრატურა)	464	2.94	.048
პრობლემის სიმწვავე (დოქტორანტურა)	375	3.04	.057
პრობლემის სიმწვავე (აკად.პერს.)	497	2.99	.051
რეაგირების ალბათობა (ბაკალავრიატი)	471	2.60	.048
რეაგირების ალბათობა (მაგისტრატურა)	435	2.76	.051
რეაგირების ალბათობა (დოქტორანტურა)	362	3.03	.060
რეაგირების ალბათობა (აკად.პერს.)	467	3.10	.054

გამოყენებული ლიტერატურა:

- Amsberry, D. (2009). "Deconstructing plagiarism: International students and textual borrowing practices." The Reference Librarian **51**(1): 31-44.
- Brick, J. M. and G. Kalton (1996). "Handling missing data in survey research." Statistical methods in medical research **5**(3): 215-238.
- Burkhalter, N. and M. R. Shegebayev (2012). "Critical thinking as culture: Teaching post-Soviet teachers in Kazakhstan." International Review of Education **58**(1): 55-72.
- Diekhoff, G. M., et al. (1996). "College cheating: Ten years later." Research in Higher Education **37**(4): 487-502.
- Fitzpatrick, S. (1999). Everyday Stalinism: ordinary life in extraordinary times: Soviet Russia in the 1930s, Oxford University Press.
- Fitzpatrick, S. (2005). Tear off the masks!: identity and imposture in twentieth-century Russia, Princeton University Press.
- Hayes, N. and L. D. Introna (2005). "Cultural values, plagiarism, and fairness: When plagiarism gets in the way of learning." Ethics & Behavior **15**(3): 213-231.
- Heyneman, S. (2007). "Buying your way into heaven: the corruption of education systems in global perspective." Perspectives on Global Issues **2**(1): 1-8.
- Kotkin, S. and W. Richardson (1995). "Magnetic mountain: Stalinism as a civilization." History: Reviews of New Books **24**(1): 37-38.
- Ledeneva, A. V. (1998). Russia's economy of favours: Blat, networking and informal exchange, Cambridge University Press.
- Noah, H. J. and M. A. Eckstein (2001). Fraud and education: The worm in the apple, Rowman & Littlefield.
- Nulty, D. D. (2008). "The adequacy of response rates to online and paper surveys: what can be done?" Assessment & evaluation in higher education **33**(3): 301-314.
- Park, C. (2003). "In other (people's) words: Plagiarism by university students--literature and lessons." Assessment & evaluation in higher education **28**(5): 471-488.

Pennycook, A. (1996). "Borrowing others' words: Text, ownership, memory, and plagiarism." TESOL quarterly: 201-230.

Scollon, R. (1995). "Plagiarism and ideology: Identity in intercultural discourse." Language in Society **24**(01): 1-28.

Umland, A. (2005). "Teaching social sciences at a post-soviet university: a survey of challenges for visiting lecturers in the former USSR." European Political Science **4**(2): 219-229.

Verdery, K. (1994). "From parent-state to family patriachs: gender and nation in contemporary Eastern Europe." East European Politics and Societies **8**: 225-225.

Yurchak, A. (2013). Everything was forever, until it was no more: The last Soviet generation, Princeton University Press.

რეკომენდაციები

წარმოდგენილი რეკომენდაციების მიზანია: უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში და ზოგადად განათლების მიმართულებით პლაგიატის შემცირება და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გაუმჯობესება.

რეკომენდაციები შემუშავებულია იმ პერსპექტივიდან, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დონის ასამაღლებლად ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ, უსდ-ებმა, სხვა დაკავშირებულმა ინსტიტუციებმა და საზოგადოებამ. კულტურის ცვლილებისთვის საჭირო იქნება დახმარების, წახალისების მექანიზმების ამოქმედება და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევების ეფექტური და თანმიმდევრული აღმოჩენის ინსტრუმენტების დანერგვა.

ამოცანები:

- არსებული კულტურის ცვლილებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განმახორციელებელი ერთეულის/ერთეულების იდენტიფიცირება
- აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლების ინსტრუმენტების დანერგვა
- აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმომჩენი ინსტრუმენტების დანერგვა

რეკომენდაციები სახელმწიფოს მიმართ

ზოგადად აკადემიური პატიოსნების და კერძოდ პლაგიატის პრობლემების შესამცირებლად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ სისტემური მიდგომა შეიმუშაოს. სისტემური მიდგომა გულისხმობს სხვა აქტორების, კერძოდ კი უნივერსიტეტების ადმინისტრაციული, სასწავლო, კვლევითი და სხვა პერსონალისა და სტუდენტების ერთი მხრივ შესაძლებლობების, მეორე მხრივ კი მოტივაციის ზრდას ამ პრობლემის დასაძლევად.

კოორდინაციისა და ფოკუსირებული ძალისხმევის ზრდისთვის სასურველია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავოს მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამა

აკადემიური კეთილსინდისიერების განვითარებისა და ხელშეწყობისთვის. შესაძლებელია, ეს უმაღლესების განვითარების პროგრამის ქვეპროგრამაც იყოს. მნიშვნელოვანია, რომ თავად ამ პროგრამის განხორციელება გულისხმობდეს ცვლილებების ძირითადად უნივერსიტეტების წარმომადგენლების და თავად ინსტიტუციების მიერ გატარებას და არა სახელმწიფო მოხელეების მიერ გაწეულ ძალისხმევას. სხვადასხვა მიმართულებები და პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომლებიც ამ პროგრამის ქვეშ გაერთიანდება, შესაძლოა იყოს:

1. აკადემიური კეთილსინდისიერების თვალსაზრისით გამჭირვალობის ზრდის

ხელშეწყობა

თუ საუნივერსიტეტო სივრცეში სასწავლო თუ კვლევითი მიზნით შემუშავებული ნაშრომების საჯაროობას გავზრდით, ნაკლებად შესაძლებელი იქნება პლაგიატის დამალვა. მეორე მხრივ, უნივერსიტეტების შიდა თუ გარეთ არსებულ საზოგადოებას შეეძლება, უკეთ შეაფასოს საუნივერსიტეტო სივრცის გამართულობა აკადემიური პატიოსნების თვალსაზრისით. გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით შესაძლებელია:

1.1 შეიქმნას ნაშრომების ბაზა, სადაც სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები იქნება ატვირთული. ამგვარი ბაზის არსებობა აუცილებელია ზოგადად აკადემიური კულტურის განვითარებისთვისაც; სასურველია ბაზას მართავდეს რომელიმე ბიბლიოთეკა, მაგალითად ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკა. თუ ეროვნული ბიბლიოთეკა თავის თავზე აიღებს ამ ფუნქციას, ეს იქნებოდა უკვე არსებული და შეწყვეტილი ტრადიციის გაგრძელება. უკვე არსებული ბაზა თანადათან შეიძლება მიეზღოს ახალ ბაზასაც.

ერთ-ერთი გამოსავალი ასევე შეიძლება იყოს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელსაც დაწყებული აქვს ტექნიკური პლატფორმის შექმნა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილია და არა ცალკე მდგომი ერთეული (რაც უსდ-ებისთვის ნიშნავს ერთი უსდ-სთვის ნაშრომების ბაზის გადაცემას). ასევე შესაძლოა პრობლემას წარმოადგენდეს ისიც, რომ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფინანსური და ინფრასტრუქტურული

რესურსები შედარებით უფრო მცირეა, საპარლამენტო ბიბლიოთეკასთან შედარებით.

კიდევ ერთი გამოსავალი იქნებოდა (სავარაუდოდ ნაკლებად ეფექტური) უსდ-ების დავალებულება საკუთარ ვებგვერდებზე ატვირთონ ნაშრომები (სამაგისტრო და სადოქტორო), რის მონიტორინგსაც ხარისხის სამსახური განახორციელებდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს ვალდებულება უსდ-ების დიდ ნაწილს სადოქტორო დებულებაში უწერია, მისი შესრულება უფრო ფორმალურია ან უბრალოდ არ სრულდება.

1.2 ვალდებულების შემოღება, რომ აიტვირთონ ნაშრომები როგორც ხარისხის მინიჭების წინაპირობა; მსგავსი პრაქტიკა არსებობს ბევრ დასავლურ უნივერსიტეტში, სადაც დაცვის შემდეგ და შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ ნაშრომები იტვირთება, რომელიმე გლობალურ ბაზაში (მაგალითად, Proquest dissertations and thesis global). ამ ვალდებულების აღსრულება შესაძლოა, დარეგულირდეს აკრედიტაციის მექანიზმებით.

1.3 დისერტაციების საერთაშორისო ბაზებთან მიერთება ცოდნის გაცვლისა და ღიაობისთვის (მაგალითად, Proquest dissertations and thesis global) ან ამ ბაზებზე არსებული წვდომის გაფართოება, რომ დისერტაციების ნაწილიც ხელმისაწვდომი იყოს.

2. პლაგიატის შეზღუდვისა და ზოგადად აკადემიური პატიოსნების პრინციპების მართვის სისტემების განვითარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სასურველია, სახელმწიფომ წახალისოს საუნივერსიტეტო დონეზე პლაგიატის მართვის სისტემებისა და ასევე სამეცნიერო კვლევის კულტურაში პლაგიატის მიმართ მგრძნობელობის ამაღლების განვითარება. ამისთვის შესაძლებელია სახელმწიფომ შემოიღოს:

2.1 აკრედიტაციის მექანიზმებში პლაგიატის მართვის პროცესების შემოწმება; მაგალითად, უსდ-ს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, დარღვევების აღმოჩენის პროცედურები და სანქციები;

2.2 აკადემიურ კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულების გაჩენა სამეცნიერო გრანტების წარდგენისას და შემდეგ შესრულებისას. შემსრულებელი შეიძლება იყოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

3. სასურველია, რომ პლაგიატის შესახებ ცოდნის ასამაღლებლად სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღოს

მნიშვნელოვანია, აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლების მიზნით მასალების შემუშავებისა და გავრცელების მხარდაჭერა, მათ შორის ონლაინ მასალების განვითარება. ამ აქტივობების დაგეგმვა, კონკურსების გამოცხადება შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების პროგრამის ვალდებულება სამეცნიერო ფონდთან, უსდ-ებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით. სასურველია ხელი შეეწყოს შემდეგი მასალების განვითარებას:

3.1 აკადემიური კეთილსინდისიერების სახელმძღვანელო, კარგი სამეცნიერო და პედაგოგიური პრაქტიკის გზამკვლევი; ამგვარი გზამკვლევის გამოცდილება აქვს ბევრ სამეცნიერო ფონდსა და უნივერსიტეტს.

3.2 ონლაინ კურსები აკადემიურ წერაში; შეიძლება, ეს იყოს ნათარგმნი ან ორიგინალური კურსები, MOOC, თავისუფალი წვდომის. მათი განვითარებისთვის კარგი იქნება კონკურსის გამოცხადება ან ხელშემწყობი პროგრამის ამოქმედება, ფონდებთან თანამშრომლობა ამგვარი ინიციატივების დასანერგად.

3.3 ვიდეოები/აღწერები, როგორ უნდა ავირიდოთ პლაგიატი. შემუშავებისას შეიძლება, გათვალისწინებული იყოს უკვე არსებული გამოცდილება, მაგალითად, <https://www.youtube.com/watch?v=IMhMuVvXCVw> რომელიც განვითარებულია კალიფორნიის უნივერსიტეტის ქსელის მიერ; კიდევ ერთი მაგალითია სტუდენტებისთვის მეგზური: <http://www.onlinecolleges.net/for-students/avoid-plagiarism/>

3.4 ციტირების სხვადასხვა წესების შესახებ რესურსების განვითარება

შეუძლიათ, როგორც უნივერსიტეტებს, ისე დამოუკიდებელ ერთეულებს.

მაგალითი:

- Student Guide <http://www.studentguide.org/the-ultimate-plagiarism-resource-detecting-plagiarism-preventing-it>
- Plagiarism.org

3.5 ისეთი ინსტრუმენტების შეძენა, ან უფასო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა, რომლებიც ეხმარება მკვლევარს ციტირებაში მაგალითად, EndNote, Zotero და სხვა. მათი დანერგვისთვის ტრენინგების ჩატარება. შესაძლებელია იმ ხალხის იდენტიფიცირება, ვინც უკვე იყენებს ამა თუ იმ ციტირების პროგრამას და მათი გამოყენება მოხალისეებად.

4. მნიშვნელოვანია პლაგიატის მართვის ელექტრონული სისტემების განვითარება

სასურველია სახელმწიფომ იტვირთოს ანტიპლაგიატის პროგრამის შეძენა/განვითარება და მისი პედაგოგიურ თუ მეცნიერების მართვაში დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით. ამგვარი პროგრამების ანალიზი თან ერთვის პლაგიატის კვლევას. მსგავსი პროგრამის შეძენა აუცილებელი იქნება სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებისთვის ერთნაირად, როგორც ერთიანი სისტემის ნაწილი.

5. კულტურის შეცვლისთვის მნიშვნელოვანი იქნება პლაგიატთან ბრძოლისა და

აკადემიური პატიოსნების კულტურის დასამკვიდრებლად საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ წრეებში გარკვეული ტიპის წამახალისებელი აქტივობების წარმოება.

კერძოდ შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ შემდეგი ნაბიჯები გადადგას:

5.1 წახალისოს, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა პრესტიჟის მახასიათებელი გახდეს. სასურველი იქნებოდა პლაგიატის ბენჩმარკის გაჩენა: უნივერსიტეტები შეიძლება შეფასდნენ გარკვეული სიხშირით იმის მიხედვით, თუ სად არის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი ყველაზე უკეთ დაცული. ეს შეიძლება, გააკეთოს როგორც ხარისხის

განვითარების ცენტრმა ისე საინიციატივო ჯგუფებმა. საზოგადოების ჩართულობა ამგვარი მონიტორინგითვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ამის მაგალითებია <http://de.vroniplag.wikia.com/wiki/Home/English>

5.2 იმ ჯგუფების გაძლიერება, რომლებსაც არსებული სიტუაციის შეცვლა უნდათ. როგორც კვლევამ დაადგინა, გამოიყოფა პროფესორთა ჯგუფები, რომლებიც აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებით მეტად არიან დაინტერესებული, ვიდრე სხვები და მათ გაძლიერება სჭირდებათ. ასევე შეიძლება, ცალკე ჯგუფად გამოიყონ დოქტორანტები, როგორც მომავალში აკადემიური სივრცის მთავარი აქტორები. ამ მიზნით შესაძლებელია:

- საზაფხულო სკოლის ორგანიზება. საზაფხულო სკოლა შეიძლება, მოეწყოს ცალკე პროფესორებისთვის და ისინი გადამზადდნენ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმების გამოყენებაში. საზაფხულო სკოლამ ასევე ხელი უნდა შეუწყოს ამგვარი აკადემიური პერსონალის კრიტიკული მასის შეკრებას და გაძლიერებას. საზაფხულო სკოლის სამიზნე ჯგუფი ასევე შეიძლება იყვნენ დოქტორანტები. შემსრულებელი შეიძლება იყოს განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების პროგრამა, არსებული სხვადასხვა ფონდები და საერთაშორისო ორგანიზაციები.
- ჟურნალების, online პლატფორმების დაარსებაში ხელშეწყობა, რომელიც აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს გამოიკვლევს ან watchdog იქნება; ამგვარი პლატფორმები მოქმედებს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგალითად, dissernet.org რუსეთში.
- საინფორმაციო კამპანიის წარმოება. მედიის ყურადღებას აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებისადმი უნივერსიტეტებიც იყენებენ კულტურის ცვლილებისთვის ან კარგი პრაქტიკის დანერგვისთვის. ამის მაგალითია მედიაში გამოქვეყნებული სტატიები: <http://www.outsidethebeltway.com/plagiarism-plague-in-russia/> <https://news.google.com/news/section?hl=en&pz=1&ned=us&q=plagiarism>

და მათი განთავსება სპეციალურ ბლოგში, რომელიც კალიფორნიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე პლაგიატის თავიდან არიდების წესებს ეძღვნება: <http://guides.library.ucla.edu/citing/plagiarism/avoid>

მედიის გააქტიურებისთვის შესაძლებელია საინფორმაციო სემინარის ჩატარება ჟურნალისტებისთვის, გადამზადება, კონკურსის გამოცხადება. შემსრულებელი შეიძლება იყოს განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების პროგრამა, არსებული სხვადასხვა ფონდები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

5.3 კვლევის კულტურის ამაღლებისთვის შესაძლებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- კონკურსი/ხელშეწყობა რეფერირებადი ჟურნალების დასაარსებლად, რომლებიც აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ;
- კვლევის ხარისხის შემოწმებისას თვისებრივი და არა იმდენად რაოდენობრივი შემოწმება. მაგალითად, როდესაც მითითებულია, რომ ჩატარდა ესა თუ ის კვლევა, კოლეგიალური შეფასებისას უნდა იმსჯელონ, რამდენად იყო შესაძლებელი ამგვარი კვლევის ჩატარება არსებული რესურსებით, დროის და ფინანსების პირობებში და სხვა. შემსრულებელი შეიძლება იყოს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი.
- საუნივერსიტეტო გამომცემლობების მიერ აკადემიური ნაშრომის სტანდარტების და შეფასების პროცედურების დადგენა. ქვეყნის შიგნითაც peer-review განვითარება. შემსრულებელი შეიძლება იყოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (მოთხოვნების ჩამოყალიბებისას) უსდ-ებთან თანამშრომლობით.
- საერთაშორისო კვლევებში ჩართვის ხელშეწყობა. მაგალითად, ჰორიზონტი 2020 კვლევითი პროექტების წარდგენამდე შესაბამისმა კოორდინატორების ქსელმა სამეცნიერო ფონდთან ერთად შეიძლება ჩაატაროს ტრენინგი აკადემიური კეთილსინდისიერების წესების,

ციტირების წესების შესახებ, ხელმისაწვდომი გახადოს გაიდები, რომლითაც კვლევის ეთიკა რეგულირდება.

6. სამართლებრივი რეგულაციების გადახედვა

სასურველია, რომ სახელმწიფომ შექმნას სამართლებრივი საფუძველი იმისთვის, რომ უნივერსიტეტებს ჰქონდეთ უფლება და ეფექტური მექანიზმები, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამო სანქციების დასაწესებლად. ამ მხრივ აუცილებელი იქნება კანონმდებლობის გადახედვა და შესაბამისი ხარვეზების აღმოფხვრა.

რეკომენდაციები უნივერსიტეტების მიმართ

რეკომენდაციების ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფოსთვის, შეიძლება, უნივერსიტეტებმაც განახორციელონ თავიანთ დონეზე. თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უნივერსიტეტებს სახელმწიფოს მხარდაჭერის მიღმაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ, ეს ნაბიჯები იქნებოდა:

1. უნივერსიტეტში თანამშრომლობა პლაგიატის დაძლევისთვის

უნივერსიტეტების ნაწილს შეუძლია, შექმნას გარკვეული გაერთიანება, ჯგუფი, რომელშიც მიაღწევენ შეთანხმებას აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საქმეში თანამშრომლობის შესახებ. ამგვარი გაერთიანება შეიძლება სივრცის ღიაობის, ეფექტურობის და კულტურის ცვლილების მიღწევის საშუალება გახდეს.

2. პლაგიატის მართვის საუნივერსიტეტო მიდგომების განვითარება

უსდ-ებს დასჭირდებათ აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის ეფექტური განსაზღვრა. კერძოდ ეს შეიძლება გულისხმობდეს:

2.1 შეთანხმებას იმის შესახებ თუ:

- რა ითვლება პლაგიატად;
- როგორ უნდა დაიცვან აკადემიური კეთილსინდისიერება (შესაბამისი პრინციპების სახელმძღვანელო დოკუმენტებითა და რესურსებით);
- როგორ უნდა აღმოაჩინონ პლაგიატი ან აკადემიური კეთილსინდისიერების სხვა დარღვევა;
- რა მოსდევს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევას;
- როგორია პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები, სიხშირე და პროცედურები;
- რა მოჰყვება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევას, როგორ ხდება მასზე რეაგირება
- როგორ ხდება თანმიმდევრულობის მონიტორინგი.

2.2 აკადემიური პერსონალის ჩართვა დეფინიციაში და პროცედურების დადგენაში;

2.3 სავალდებულო საორიენტაციო შეხვედრების/კურსის/ონლაინ კურსის

ჩამოყალიბება, როგორც აკადემიური პერსონალისთვის ისე სტუდენტებისთვის;

3. მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტებმა იზრუნონ საკუთარი სტუდენტების, პროფესორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებაზე. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად:

3.1 ერთიანი სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც ყველა წესი ერთად იქნება თავმოყრილი;

3.2 ვებგვერდზე აკადემიური კეთილსინდისიერების პორტალის გაკეთება, სადაც თავმოყრილი იქნება დამხმარე და საინფორმაციო რესურსები; ამის ერთ-ერთი კარგი ნიმუშებია:

- UCLA Library <http://guides.library.ucla.edu/citing/plagiarism/avoid>
- Harvard Guide to Using Sources
<http://isites.harvard.edu/icb/icb.do?keyword=k70847&pageid=icb.page357682>
- University of Wisconsin's Writing Center Center
http://writing.wisc.edu/Handbook/QPA_paraphrase.html
- Purdue University Writing Lab
<https://owl.english.purdue.edu/>

4. კურიკულუმისა და პედაგოგიური პრაქტიკის განვითარება

პლაგიატის პრობლემის დასაძლევად, მნიშვნელოვანი იქნება პროფესორების პროფესიული განვითარება და პროგრამების გაუმჯობესებისათვის შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:

4.1 ვორკშოპების სერიის განვითარება აკადემიური წერის ცალკეული ელემენტებისთვის, როგორიცაა, მონაცემების შეგროვება, ციტირება და ა. შ.

4.2 პროფესორებისთვის დავალებების ნიმუშების შეთავაზება, რომ მათ ორიგინალური ნაშრომების შექმნა ასწავლონ მოსწავლეებს, მისცენ ისეთი დავალებები, რომლებიც პლაგიატის გამოყენების მოტივაციასა და შესაძლებლობებს შეამცირებს.

- 4.3 ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა ელექტრონული პროგრამების და ტექნიკური საშუალებების შესახებ, რომელთა გამოყენებითაც პლაგიატის აღმოჩენა არის შესაძლებელი.
- 4.4 აკადემიური წერის კურსის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მჭიდროდ მიზმა სასწავლო პროცესთან და წერის სწავლების დახვეწა.

5. ეფექტური კომუნიკაცია

მნიშვნელოვანია პლაგიატის პრობლემის შესახებ შიდა საუნივერსიტეტო კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო კამპანიისა წარმოება და საუნივერსიტეტო სოციალური ქსელების გამოყენება კულტურის შესაცვლელად. ამ მიმართულებით უნივერსიტეტებს შეუძლიათ:

- 5.1 პროფესორებთან და სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაცია აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე;
- 5.2 სადისკუსიო სივრცის შექმნა: ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებში ამ თემაზე მსჯელობა.
- 5.3 მედიაში არსებული შესაბამისი სტატიების თავმოყრა.
- 5.4 საუნივერსიტეტო გაზეთის განვითარება/დაარსება.
- 5.5 აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის მიუღებლობა უნდა იყოს დემონსტრირებული საუნივერსიტეტო საინფორმაციო საშუალებებში. მაგალითად, უნივერსიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ უნივერსიტეტების ფორუმები, სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდები არ იყოს ნაშრომების პლაგიატის მიზნით გავრცელების პლატფორმები.

რეკომენდაციების განხორციელების გზები (შემაჯამებელი ცხრილი)

აკადემიური კეთილსინდისიერებების თვალსაზრისით ეროვნულ დონეზე გამჭირვალობის ზრდის ხელშეწყობა			
რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების გზები/აქტივობა	შესაძლო განმახორციელებლები	შენიშვნა
ნაშრომების ბაზის შექმნა	- ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე ნაშრომების ბაზის შექმნის, მისი მართვის, ბაზაზე წვდომისა და მასში ნაშრომების ატვირთვის ვალდებულებას. - ნაშრომების ბაზისთვის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის/შემენისა და საერთაშორისო ბაზებთან მიერთების დაფინანსება.	ნაშრომების ბაზის შექმნის საკითხი ინიცირებული უნდა იყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.	ნაშრომების ბაზა შეიძლება იყოს პარლამენტის ბიბლიოთეკის, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ან უნივერსიტეტების გაერთიანების ბაზაზე.
აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის ნაშრომების ატვირთვის ვალდებულება	აკრედიტაციის სტანდარტის ცვლილება, რომელიც გაითვალისწინებს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ბაზაში ატვირთვის ვალდებულებას. ასევე შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რომელიც გაითვალისწინებს ნაშრომების ერთიანი ბაზის მეშვეობით სადოქტორო დისერტაციის საჯარო ხელმისაწვდომობას.	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უსდ-ები.	
დისერტაციების საერთაშორისო ბაზებთან მიერთება		განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ნაშრომების ბაზაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია.	

ეროვნულ დონეზე პლაგიატის მართვის მექანიზმების ხელშეწყობა			
რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების გზები/აქტივობა	შესაძლო განმახორციელებლები	შენიშვნა
პლაგიატის მართვის პროცესების მოთხოვნა უსდ- ებისგან	აკრედიტაციის სტანდარტში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც მკაფიოდ ასახავს პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების საკითხებს. ამ მიზნით უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში არსებული შესაბამისი პრაქტიკის შესწავლა-გათვალისწინება (მაგ., გაერთიანებული სამეფოს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს აკადემიური კოდექსი). შესაბამისი სტანდარტის ჩამოსაყალიბებლად ეროვნულ დონეზე გაიმართოს ფართო დისკუსია აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. პლაგიატზე რეაგირებასთან დაკავშირებით გადაიხედოს ყველა ნორმატიული აქტი, რომელიც უკავშირდება სტუდენტის შეფასებას, მობილობასა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს და დებულებები ჩამოყალიბდეს ისე, რომ ხელი შეუწყოს პლაგიატზე რეაგირების გამჭვირვალე, მკაფიო და სამართლიანი მექანიზმების შემუშავებას.	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უსდ-ები	ამ მიმართულების რეკომენდაციები დაკავშირებულია მესამე მიმართულებასთან
სამეცნიერო გრანტების სისტემის პლაგიატთან	სახელმწიფო სამეცნიერო ფონდმა შეიმუშაოს კარგ სამეცნიერო პრაქტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტი	რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდი	

დაკავშირება	სამეცნიერო საზოგადოების მონაწილეობით.		
უსდ-ების დონეზე პლაგიატის მართვის გაუმჯობესება			
რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების გზები/აქტივობა	შესაძლო განმახორციელებლები	შენიშვნა
პლაგიატთან დაკავშირებული დეფინიციების, მისი პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებისა და შესაბამისი პროცედურების შემუშავება-შეთანხმება პროფესორების ჩართულობით.	უსდ-ებში აკადემიური კეთილსინდისიერების საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემუშავება; რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდისა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ სამუშაო შეხვედრები და დისკუსიების ორგანიზება დეფინიციების შესათანხმებლად; უნივერსიტეტების ნაწილის მიერ გარკვეული გაერთიანების, ჯგუფის შექმნა, რომელშიც მიაღწევენ შეთანხმებას აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საქმეში თანამშრომლობის შესახებ.	უსდ-ები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდი.	პროექტის ფარგლებში შემუშავდა დეფინიციების სამუშაო ვარიანტი
სავალდებულო მინი-კურსების შემოღება და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება	აკადემიური კეთილსინდისიერების საუნივერსიტეტო პოლიტიკაზე დაყრდნობით: - უსდ-მა უზრუნველყონ ყველა დამწყები სტუდენტისთვის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები. - უსდ-მა უზრუნველყონ საორიენტაციო შეხვედრები სტუდენტის შეფასების პროცესში ჩართული ყველა პირისთვის პლაგიატის	უსდ-ები	

	პრევენციისა და აღმოჩენის საკითხებზე.		
პლაგიატის შესახებ ცოდნის ამაღლება და პრევენციის მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესება			
რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების გზები/აქტივობა	შესაძლო განმახორციელებლები	შენიშვნა
აკადემიური კეთილსინდისიერების სახელმძღვანელო, კარგი სამეცნიერო და პედაგოგიური პრაქტიკის სახელმძღვანელო;	ითარგმნოს შესაბამისი სახელმძღვანელო(ები); მომზადდეს ახალი სახელმძღვანელო(ები). სახელმძღვანელოს შემუშავების ხელშეწყობა რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის მიერ.	რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდი, უსდ, სხვა დაინტერესებული პირი: -აკადემიური პერსონალი, - განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია.	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის მეშვეობით განახორციელოს პლაგიატის შესახებ ცოდნის ამაღლებისა და პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესების პროგრამა, რომელიც გათვალისწინებს ზემოთ მოცემულ რეკომენდაციებს.
ონლაინ კურსები	რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის მიერ შესაბამისი ონლაინ-კურსების შემუშავების ხელშეწყობა (მათ შორის ონლაინ ფორმატში).	რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდი, უსდ	
ვიდეო რესურსები	ვიდეო რესურსების შემუშავების ხელშეწყობა რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის მიერ.	რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდი, უსდ	
ვებპორტალები	ვებპორტალმა უნდა ასახოს დამხმარე და საინფორმაციო რესურსები; ის შეიძლება შეიქმნას, როგორც უსდ-ს ასევე ეროვნულ დონეზე.	უსდ, განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია	
ციტირების სოფტის შემოღება/დანერგვა	- ფასიანი პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა უსდ-ს ან/და სამეცნიერო ფონდის მიერ. ასევე უფასო (მაგ., worldcat) პროგრამების შესახებ ინფორმირება. მათი ლინკების განთავსება ვებპორტალზე; - მათი დანერგვა/გამოყენებისთვის ტრენინგების ჩატარება.	რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდი, უსდ.	

კურიკულუმი და პედაგოგიური პრაქტიკა			
რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების გზები/აქტივობა	შესაძლო განმახორციელებლები	შენიშვნა
ვორკშოპების სერია აკადემიური პერსონალისთვის აკადემიურ წერასთან დაკავშირებით	უსდ-ების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა ხელი შეუწყონ პროფესორების პროფესიულ განვითარებას და ორგანიზება გაუწიონ პლაგიატის პრევენციის საკითხებზე ვორკშოპების ჩატარებას.	უსდ-ები, სხვა დაინტერესებული პირები.	
ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა ელექტრონული პროგრამების და ტექნიკური საშუალებები შესახებ, რომელთა გამოყენებითაც პლაგიატის აღმოჩენა არის შესაძლებელი.	უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნდა უზრუნველყოს: (1) შესაბამისი ელექტრონული პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და (2) აკადემიური პერსონალის კონსულტირება ან/და ტრენინგი ელექტრონული პროგრამების გამოყენებასთან დაკავშირებით.	უსდ-ები, სხვა დაინტერესებული პირები.	
აკადემიური წერის კურსის და სხვა კურსების დაახლოება	უსდ-მა შექმნან დისციპლინისთვის/სწავლის სფეროსთვის სპეციფიკური აკადემიური წერის კურსები.	უსდ-ები	
ფექტური კომუნიკაცია			
რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების გზები/აქტივობა	შესაძლო განმახორციელებლები	შენიშვნა
პროფესორებთან და სტუდენტებთან ინტენსიური კომუნიკაცია	პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე პერიოდულად კვლევების ჩატარება უსდ-ში და კვლევის შედეგების აკადემიურ პერსონალთან და	უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები; სხვა დაინტერესებული პირები.	

	სტუდენტებთან განხილვა. სტუდენტების ინფორმირება არაკეთილსინდისიერ აკადემიურ პრაქტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათ შორის, ყველა სახის აკადემიური გადაცდენაზე რეაგირების ფორმებსა და პროცედურების შესახებ.		
სადისკუსიო სივრცეების შექმნა/ორგანიზება	თემატური კონფერენციების, სემინარებისა და სადისკუსიო კლუბების ორგანიზება, როგორც სტუდენტების ასევე აკადემიური პერსონალისათვის.	უსდ (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები), სხვა დაინტერესებული პირები	
მედიაში არსებული რესურსების თავმოყრა	განათლების ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში მედიაში არსებული ინფორმაციის ანალიზი.	უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელება/გაფილტვრა	განათლების ხარისხის მონიტორინგის სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციის ანალიზი და რეაგირება.	უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	

პლაგიატის ფორმები

დარღვევის სახე	განსაზღვრება	განმარტება
პირდაპირი პლაგიატი	სხვისი ნამუშევრის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი თუ მონაცემი) მითვისება ავტორის მითითების გარეშე	წყაროდან ზუსტად გადმოწერა ბრჭყალებში ჩასმის ან სხვა ტიპის მითითების გარეშე, რომელიც ციტირებულ ტექსტს ნათლად გამოყოფს ავტორის ტექსტიგან. სხვისი ნაშრომის მითვისების შემთხვევებში შედის სხვისი ნებართვით გადაწერაც. პლაგიატის განსაზღვრა ამ შემთხვევაში ხდება ორიგინალური ცოდნის პოზიციიდან. პლაგიატი, როგორც აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, ნაშრომის ორიგინალურობასთან დაკავშირებით არასწორ/ცრუ წარმოდგენას ქმნის (IPPHEAE.”-2015). მითვისება შეიძლება შეეხოს რამდენიმე ფრაზას, სეგმენტებს ან მთლიან ნაშრომს.
პარაფრაზირებული პლაგიატი	სხვისი მოსაზრებების პარაფრაზი ავტორის ერთმნიშვნელოვანი მითითების გარეშე. პარაფრაზირებული პლაგიატია ასევე პარაფრაზისას ავტორის სიტყვების უმნიშვნელო ცვლილება, რაც ავტორობის საკითხს ბუნდოვანს ხდის	პარაფრაზისას ზუსტად უნდა ჩანდეს, ვის იდეას ეხმაურება ავტორი და როდის. ტექსტში ან ტექსტის ბოლოს წყაროს მოხსენიება ამგვარ შემთხვევებში საკმარისი არ არის, რომ განირჩეს, სად არის პარაფრაზი და სად - ორიგინალური მოსაზრებები. ზოგჯერ პარაფრაზისას განხორციელებული ცვლილება იმდენად ახლოს რჩება ორიგინალის ტექსტთან,

		რომ მათი განსხვავება შეუძლებელი ხდება, მაგრამ პარაფრაზის გამო ბრჭყალებში არ არის ჩასმული.
მოზაიკური პლაგიატი	მოზაიკური პლაგიატისას სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მოსაზრებები ისეა გაერთიანებული, რომ ცალკეული ავტორები მითითებული არ არის	სხვადასხვა ავტორების შეჯამება კონკრეტული წყაროების მითითების გარეშე განიმარტება როგორც მოზაიკური პლაგიატი. მას ასევე უწოდებენ “patch writing.” მოზაიკური პლაგიატა, როდესაც ზოგიერთ შემთხვევაში ნაშრომის ბოლოს არის ხოლმე ესა თუ ის მეცნიერი/ავტორი მითითებული, მაგრამ ტექსტის კითხვისას შეუძლებელია გარჩევა, სად სრულდება ნაწერის ავტორის ორიგინალური მოსაზრება და სად არის ჩასმული ციტატები.
პლაგიატი დაუდევრობით	არასწორი ციტირება დაუდევრობის გამო	ავტორების ან წყაროების მითითებისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამორჩენა ან არევა.
თვითპლაგიატი	ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოქვეყნება საკუთარი ნაშრომის ციტირების ან შესაბამისი მითითების და უფლების მოპოვების გარეშე	თვითპლაგიატის შემთხვევებია ერთი და იგივე თავების განმეორება სხვადასხვა პუბლიკაციებში შესაბამისი მითითების გარეშე, სტუდენტების შემთხვევაში თვითპლაგიატად ითვლება ერთი და იმავე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა მიზნებისთვის (სხვადასხვა კურსის, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში).
საავტორო უფლებების დარღვევა	სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების	პლაგიატი ეთიკური პრობლემაა, საავტორო

	გარეშე	უფლებების დარღვევა უკვე დანაშაულია, რომელიც კანონით რეგულირდება. საავტორო უფლებების დარღვევის წინაპირობაა ამა თუ იმ იდეაზე, საგანზე, მეთოდზე და ა. შ. საავტორო უფლების არსებობა.
ფარული თანამშრომლობა სხვების მოტყუების მიზნით	აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არაუფლებამოსილ/არასანქცირებულ თანამშრომლობას, მიღებული დახმარების არადიარებას, ჯგუფურ პროექტზე მუშაობისთვის დადგენილი წესების არ გათვალისწინებას.	ჯგუფური პროექტების განხორციელებისას მონაწილის პასუხისმგებლობაა ზუსტად იცოდეს თანამშრომლობისთვის დაშვებული საზღვრები და სამუშაოს ის ნაწილი, რომელიც მისთვისაა განკუთვნილი.

წყაროები:

<http://www.oxforddictionaries.com>

<http://www.onlinecolleges.net/for-students/avoid-plagiarism>

<https://www.ox.ac.uk/students/academic/guidance/skills/plagiarism?wssl=1>

სასარგებლო რესურსები ქართულად

ნაწყვეტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის სახელმძღვანელოდან, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 დეკემბრის № 58 სხდომის ოქმით

წყარო: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2588.pdf>

- ნაწილი II. თავი 1: წყაროებთან მუშაობა და პლაგიატისგან თავის დაცვა
- პლაგიატი და მისგან თავის დაცვა

წყაროების სწორ გამოყენებას და მათ სათანადო მითითებასთან არის დაკავშირებული აგრეთვე აკადემიურ წრეებში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემა ანუ პლაგიატი. თუ წყაროებზე მუშაობისა და მათი მითითებისას გარკვეულ პრინციპებს არ დავარღვევთ, თავიდან ავიცილებთ პლაგიატის საფრთხეს.

ყველამ კარგად იცის, რომ წყაროს გამოყენება მისი მითითების გარეშე პლაგიატად ითვლება. არ აქვს მნიშვნელობა წყაროდან ამოვიღეთ ციტატა, მოვახდინეთ მისი ნაწილის პარაფრაზი, თუ მხოლოდ იდეა ან მოსაზრება ავიღეთ წყაროდან, ყველა შემთხვევაში საჭიროა მივუთითოთ შესაბამისი წყარო. მაგრამ მითითების გარეშე სხვისი ნააზრევების გამოყენებასთან ერთად, პლაგიატად ჩაითვლება ასევე შემდეგი შემთხვევები:

- თუ წყაროდან მოიტანეთ ციტატა, მაგრამ არ გამოიყენეთ ბრჭყალები ან არ გამოყავით ის ციტატის აღმნიშვნელი აბზაცი.

- თუ გააკეთეთ წყაროს პარაფრაზი, მაგრამ თქვენი პარაფრაზი ძალიან ახლოს არის წყაროში მოცემულ ფრაზებთან, რადგანაც თქვენ მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შეცვალეთ. პარაფრაზის დროს არ უნდა გაიმეოროთ წყაროს ტექსტი. პარაფრაზი არის წყაროს ამონარიდის თქვენი სიტყვებით გადმოცემა.

ხშირად პლაგიატის მსხვერპლი შეიძლება გახდეთ უბრალოდ გარკვეული დეტალების არცოდნის გამო. ამრიგად, წყაროს გამოყენებისა და მითითების პრინციპების დაცვა მნიშვნელოვანია. ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად კარგად დაიმახსოვრეთ ინფორმაციის ჩანიშვნის ძირითადი წესები:

- ყოველთვის მკაფიოდ გამოყავით წყაროდან მოტანილი ციტატები და იდეები. ბრჭყალებში ჩასვით ციტატები.

- არასოდეს გააკეთოთ ტექსტთან ისე მიახლოებული პარაფრაზი, რომ მკითხველმა ორიგინალად ჩათვალოს.

- არასოდეს გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალები მითითების გარეშე. მიუხედავად იმისა, მასალა ღიაა, საჯაროდ ხელმისაწვდომია თუ არა, თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ წყარო.

- მიუთითეთ ნებისმიერი ისეთი მასალის წყარო, რომელიც სხვას ეკუთვნის და რომელიც თქვენ არ შეგიქმნიათ.

თუმცა, საზოგადოდ მიღებული ცოდნის, ან ამა თუ იმ დარგში აღიარებული დებულებებისა და შეხედულებების გამოყენებისას წყაროს მითითება აღარ არის საჭირო. მკითხველმა იცის, რომ ეს მოსაზრება თქვენ არ გეკუთვნით. ზოგჯერ სტუდენტებისთვის ან ახალბედა მკვლევარებისთვის ძნელია იმის განსაზღვრა, რომელი მოსაზრება წარმოადგენს საზოგადოდ ცნობილ, მიღებულ ცოდნას. ასეთ შემთხვევაში დახმარებისთვის ხელმძღვანელს ან ინსტრუქტორს მიმართეთ.

ასევე მნიშვნელოვანია, შესავალში ან მადლობის გადახდისთვის ცალკე გამოყოფილ ნაწილში აღინიშნოს ის გარკვეული ტიპის დახმარება თუ წვლილი, რომელიც თქვენი ნაშრომის შექმნაში სხვებს მიუძღვით.

პლაგიატისგან თავის დაცვის გარდა წყაროების მითითება გვეხმარება, მკითხველი დავარწმუნოთ ფაქტების სიზუსტეში და ჩვენი მოსაზრებების სისწორეში. ზუსტად მითითებული წყაროები მკითხველს საშუალებას მისცემს, შეამოწმოს ისინი. წყაროების მითითება მკითხველს ეხმარება, გაიგოს უფრო მეტი საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და გაეცნოს ამ საკითხის შესწავლის ისტორიას. ასევე შესაძლებელია, თქვენ მიერ სათანადოდ მითითებული წყაროებით დაეხმაროთ სხვა მკვლევარს ახალი პროექტის განხორციელებაში.

ბოლო ცვლილება: Friday, April 6, 2012, 8:22 AM

დანართი I

ლალი ბაქრაძე

პლაგიატი - საერთაშორისო გამოცდილება

შესავალი

პლაგიატი და არაკეთილსინდისიერი აკადემიური პრაქტიკა შეუთავსებელია განათლებისა და კვლევის ხარისხისთან. აკადემიურ სივრცეში პლაგიატის ტერმინი ყველასთვის ცნობილია, თუმცა მისი საერთო, შეთანხმებული განმარტება არ არსებობს. პლაგიატი მეტ-ნაკლებად განსხვავებულად განიმარტება არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ ერთი ქვეყნის სხვადასხვა ინსტიტუციაშიც კი. ცხადია, პლაგიატი არაა ახალი თემა, თუმცა მისი კვლევა განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინგლისურენოვან ქვეყნებში. 2001 წელს პლაგიატისადმი მიძღვნილი სახელმძღვანელოს ავტორები აღნიშნავენ, რომ “პლაგიატი თავისი ნებით არ აპირებს წასვლას” (Carroll and Appleton 2001, 38). პლაგიატის დაძლევის სჭირდება მუდმივი და თანამიმდევრული მუშაობა განათლების ყველა დონეზე.

ევროპაში ამ საკითხის კვლევას მიემდგნა 2010-13 წლებში განხორციელებული ევროკავშირის პროექტი: “პლაგიატის პოლიტიკის გავლენა ევროპულ უმაღლეს განათლებაზე/IPPHEAE.” მსოფლიოში ამ საკითხის პრობლემატურობა ხაზგასმულია ორგანიზაცია “საერთაშორისო გამჭვირვალობის” 2013 წლის დოკუმენტში “გლობალური კორუფციის ანგარიში: განათლება”. IPPHEAE - ს კვლევის ანგარში გლენდენინგი (2013a) აღნიშნავს, რომ “ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არა აქვთ პლაგიატისა და აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენისა და თავიდან აცილების ადეკვატური პოლიტიკა და პროცედურები” (39). ამდენად, გასაკვირი არაა, რომ აკადემიური პატიოსნების/კეთილსინდისიერების საკითხმა ევროსაბჭოს დღის წესრიგში წინ წამოიწია და 2013 წელს ჰელსინკში ევროსაბჭოს განათლების მინისტრების კონფერენციამ, “მმართველობა და ხარისხიანი განათლება”, მიიღო დეკლარაცია სადაც დააფიქსირა აკადემიური ეთიკის პანევროპული პლატფორმის შექმნის აუცილებლობა: “განათლების

სფეროში ეთიკისა და კეთილსინდისიერების საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაცვლისთვის შეიქმნას პანევროპული პლატფორმა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს განათლებასა და კვლევაში კორუფციისა და თვალთმაქცობის/მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლაზე, რათა ხელი შეუწყოს “ევროპაში ხარისხიანი განათლების ჰელსინკის პროგრამის განხორციელებას” (CoE 2013, p. 21.1).

აღნიშნულ დეკლარაციის საფუძველზე 2015 წლის 1-2 ოქტომბერს, პრაღის კონფერენციაზე ევროსაბჭოს ეგიდით ჩამოყალიბდა “ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პანევროპული პლატფორმა - ETINED”.⁴ ეს პლატფორმა ბევრის მომცველია და პლაგიატის საკითხსაც ითვალისწინებს. კონფერენციის მასალები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ პრობლემის სერიოზულობას. პლატფორმის მისიის განაცხადი აღნიშნავს, რომ: “კორუფცია გავლენას ახდენს განათლების ყველა დონეზე, ყველა ევროპულ ქვეყანაში: სკოლამდელი განათლების შენობების აშენებისთვის განკუთვნილი თანხების გაფლანგვიდან დაწყებული, საუნივერსიტეტო ესეების პლაგიატითა და ყალბი დიპლომების გაყიდვით დამთავრებული” (ETINED 2015, 1). უახლოეს მომავალში აშკარაა უშუალოდ პლაგიატის პრობლემატიკის შემდგომი გააქტიურება ევროპულ დონეზე, ვინაიდან ამ პლატფორმის 2016-2017 წლების სამუშაო გეგმის 3 საკითხიდან ერთ-ერთი ეძღვნება პლაგიატს უმაღლეს განათლებაში.

აკადემიური ეთიკა/პატიოსნება და მისი საპირისპირო, მიუღებელი აკადემიური პრაქტიკა საკმაოდ ფართო თემებია. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ პლაგიატს, როგორც არაკეთილსინდისიერი ქცევის ერთ-ერთ სახეს და ამ ნაშრომისთვის საბაზო განმარტებად შემოთავაზებულია IPPHEAE -ს განმარტება: “პლაგიატი არის აკადემიური არაკეთილსინდისიერება, რაც გამოიხატება საკუთარი ნაშრომის ნაწილად სხვა ავტორის ნამუშევრის გამოყენებასა და ნაშრომის ორიგინალობასთან დაკავშირებით არასწორი/ცრუ წარმოდგენის შექმნაში”(IPPHEA 2015b). პლაგიატის საკითხის შესწავლისას საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების განხილვა, კერძოდ კი იმ საკითხების შესწავლა, რომელიც შეეხება ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების პოლიტიკასა და პრაქტიკას. წინამდებარე დოკუმენტში

⁴ NB.: პლატფორმის მონაწილეა ევროსაბჭოს კულტურული კონვენციის წევრი ყველა ქვეყანა და მ.შ. საქართველო.

განხილულია რამდენიმე ევროპული ქვეყნისა (გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საბერძნეთი და ესტონეთი) და აშშ-ს მაგალითი.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

ეროვნული დონე

ხარისხის გარე უზრუნველყოფა

გაერთიანებულ სამეფოში, ეროვნულ დონეზე მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს “ხარისხის კოდექსის” (QAA 2015a) მეშვეობით ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო მიდგომა აკადემიურ არაკეთილსინდისიერებასა და პლაგიატთან მიმართებაში. ამ საკითხს ეხება კოდექსის B განყოფილების “განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და ამაღლება” (QAA 2015b), რამდენიმე თავი, სადაც ყურადღება ექცევა არა მარტო სტუდენტის ზოგად უფლებებს და ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობას, არამედ ასევე ქცევის კონკრეტულ წესებსა და პასუხისმგებლობებს. გაერთიანებული სამეფოს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტი მუდმივად ვითარდება და პერიოდულად იცვლება კიდეც, მაგრამ ეს საკითხი მუდმივად რჩება ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაწიერში, ვინაიდან ხარისხიანი განათლება და პლაგიატი ერთმანეთთან შეუთავსებელია.

თავი B4 “სტუდენტების განვითარებისა და მიღწევების ხელშეწყობა” (QAA 2015c). ინდიკატორი 6, ზოგადად მიუთითებს, რომ ყველა სტუდენტს უნდა მიეცეს შესაბამისი უნარების განვითარების საშუალება, რაც გულისხმობს აკადემიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარების განვითარებასაც. უშუალოდ პლაგიატთან მიმართებაში კი განსაკუთრებით საყურადღებოა თავი B6 - “სტუდენტების შეფასება და წინმსწრები განათლების აღიარება” (QAA 2015d).” მასში მოცემულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ინდიკატორი, რომელიც შეეხება შეფასების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს (სტუდენტს და შემფასებელს) და მოიცავს პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენასა და რეაგირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პლაგიატთან მიმართებაში ცალსახად გამოიყოფა ინდიკატორები 4, 7 და 14. ამ ინდიკატორების განმარტებებში მკაფიოდაა ასახული ის მოლოდინი, რომელიც აქვს ხარისხის კოდექსს კარგ აკადემიურ პრაქტიკასთან მიმართებაში. მე-4 და მე-7 ინდიკატორები სტუდენტისა და შემფასებლისთვის არა მარტო

შესაბამისი ინფორმაციის მარტივ მიწოდებაზე, არამედ მათში სწორი აკადემიური პრაქტიკის ზუსტი გაგების განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებს:

ინდიკატორი 4 “უმაღლესი განათლების განმახორციელებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველა ვინც ჩართულია სტუდენტის შეფასების პროცესში მ.შ. წინმსწრებ განათლებასთან დაკავშირებულ შეფასების პროცესში, კომპეტენტურია ამ როლისთვის და შეუძლია პასუხისმგებლობის აღება”(11). ამ ინდიკატორის აღწერაში ცალსახაააა მიუთითებული, რომ უსდ-მ უნდა უზრუნველყოს აკადემიურ პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება მ.შ. სტუდენტების შეფასების საკითხებზე ტრენინგების მეშვეობით. ასევე აღნიშნულია შეფასების შესაბამის ფორმებთან მიმართებაში აკადემიური პერსონალის ცოდნის ამაღლების აუცილებლობის საკითხიც.

ინდიკატორი 7 შეეხება სტუდენტებს და B4 თავის მე-6 ინდიკატორისგან განსხვავებით კონკრეტულად მიუთითებს იმ შესაძლებლობების არსებობის აუცილებლობაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს სტუდენტის აკადემიური უნარების განვითარება და მის მიერ კარგი აკადემიური პრაქტიკის დემონსტრირება. აქვე განმარტებულია თუ რას ნიშნავს კარი აკადემიური პრაქტიკა: “კარგი აკადემიური პრაქტიკის ძირითადი ელემენტები მოიცავს:

- სხვის იდეების აღიარება თანამიმდევრული დამოწმებითა და ციტირებით, რომელიც შეესაბამება შესასწავლ დისციპლინას;
- იმის გაცნობიერება, რომ ეს შეეხება ინფორმაციის ყველა წყაროს, როგორც ბეჭდურს ასევე ელექტრონულს;
- ეთიკური ქცევის წესების დაცვა (განსაკუთრებით პროექტებსა და დისერტაციაზე მუშაობისას);
- გარკვეულ საკითხებზე კონფიდენციალობის დაცვა;
- ინდივიდუალურ და ჯგუფურ წვლილს შორის დაშვებული საზღვრების გაგება” (15).

ინდიკატორი 14 “უმაღლესი განათლების პროვაიდერი ახორციელებს მიუღებელი აკადემიური პრაქტიკის პრევენციის, იდენტიფიცირების, გამოკვლევის და რეაგირების პროცესებს” (15). ინდიკატორი მუდებელი აკადემიური პრაქტიკის დაძლევისთვის ოთხ მნიშვნელოვან პუნქტს გამოყოფს: პრევენცია, იდენტიფიცირება, გამოკვლევა და რეაგირება:

1. პრევენცია შესაძლებელია არა მხოლოდ ინფორმირებით, არამედ კარგი აკადემიური პრაქტიკის განხორციელების უნარების ჩამოყალიბებით, რაც მოთხოვნილია მე-7 ინდიკატორით;
2. იდენტიფიცირება შესაძლებელია შეფასების დროს. ამდენად, ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული შეფასების საკითხთან. მაგალითად, წერითი ნამუშევრის შეფასებისას პოტენციური პლაგიატის იდენტიფიცირებისთვის შესაძლებელია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება;
3. გამოკვლევა გულისხმობს მიუღებელი აკადემიური პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიღების მკაფიო პროცედურების არსებობას, მათ შორის მტკიცებულებების მოპოვებას, სტუდენტისგან განმარტებების მიღებას;
4. რეაგირება გულისხმობს პლაგიატის შესაბამისი სანქციების თანამიმდევრულად და თანასწორად გამოყენებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ქონდეთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ.

უმაღლესი განათლების პროვაიდერებში, ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე, აპელაციისა და სტუდენტების საჩივრების განხილვის საკითხებს ეძღვნება ხარისხის კოდექსის თავი B9 “აკადემიური აპელაცია და სტუდენტების საჩივრები,” რომელიც მკაფიოდ განსაზღვავებს აკადემიურ აპელაციასა და სტუდენტების საჩივრების განხილვების პროცესებს. აქ მოცემულია აღნიშნული პროცედურების ჩამოყალიბების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების 7 ინდიკატორი (QAA 2015e). ის შეეხება ყველა სტუდენტს. ამასთან, სპეციალურად კვლევითი ხარისხების (კვლევითი სამაგისტრო და სადოქტორო) სტუდენტების აპელაციებსა და საჩივრებს ეძღვნება თავი B11-ის, “კვლევითი ხარისხი” ინდიკატორი 18: “უმაღლესი განათლების პროვაიდერი აწესებს და მხარს უჭერს საჩივრებისა და აპელაციების დამოუკიდებელ და ფორმალურ პროცედურებს, რომელიც არის სამართლიანი, ყველასათვის გასაგები, ძლიერი/საღი და თანამიმდევრულად გამოყენებული. საჩივრებისა და აპელაციის მიღების საფუძვლები მკაფიოდაა განსაზღვრული” (QAA 2015f, 27).

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ გაერთიანებულ სამეფოში ეროვნულ დონეზე ჩამოყალიბებულია ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო სტანდარტები კარგი აკადემიური

პრაქტიკის ხელშეწყობისთვის.

ეროვნული დონე - სხვა სერვისები

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ გაერთიანებულ სამეფოში არსებობს სხვა, დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომელებიც თავისი საქმიანობით ხელს უწყობენ პლაგიატის პრევენციას. მათ შორისაა სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული “უმაღლესი განათლების აკადემია”⁵ და ციფრულ სერვისებზე ორიენტირებული “ერთობლივი ინფორმაციის სისტემების კომიტეტი”(JISC)⁶. ამ უკანასკნელმა სპეციალურად პლაგიატის პრობლემის დაძლევის მიზნით 2001 წელს ჩამოაყალიბა საკონსულტაციო სერვისი, რომელიც 2002 წლიდან მოქმედებს “PlagiarismAdvice.org” სახელწოდებით და თავისი მრავალფეროვანი სერვისებით ხელს უწყობს კარგი აკადემიური პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ის არის “TurnitinUK “ჰოსტი”. უმაღლესი განათლების აკადემიის, JISC-ისა და PlagiarismAdvice.org-ის არაერთი რესურსია მითითებული ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს “ხარისხის კოდექსში”.

ამდენად, ეროვნულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო სტანდარტები, რომელიც ბოლო 20 წელი მუდმივად ვითარდებოდა და ამავე პერიოდში ეროვნულ დონეზე სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა და პლაგიატის თავიდან აცილებისთვის შესაბამისი სერვისების განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პლაგიატის პრევენციასა და კარგი აკადემიური პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ინსტიტუციური დონე

QAA-ს ხარისხის კოდექსის შესაბამისად გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ყველა პროვაიდერს აქვს შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენასა და რეაგირებასთან მიმართებაში. უნივერსიტეტების მიხედვით პლაგიატის

⁵ www.heacademy.ac.uk

⁶ www.jisc.ac.uk

განმარტება მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგიერთი უნივერსიტეტის ვებგვერდი საკმაოდ ვრცლად განმარტავს პლაგიატს და იძლევა პლაგიატის ტიპების ჩამონათვალს. ქვემოთ მოცემულია ორი უნივერსიტეტის (ოქსფორდი და UCL) მაგალითი:

ა) ოქსფორდის უნივერსიტეტში ფაკულტეტებისა და დეპარტამენტების ფუნქციაა ასწავლოს სტუდენტს რა არის კარგი აკადემიური პრაქტიკა და ხელი შეუწყოს პლაგიატის პრევენციას. ფაკულტეტების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია დოკუმენტში “პოლიტიკა და სახელმძღვანელო გამომცდელებისათვის და საუნივერსიტეტო გამოცდებში ჩართული სხვა პირებისათვის.” დოკუმენტის თანახმად, შესაბამისი საუნივერსიტეტო რესურსების არსებობა, განიხილება, როგორც პრევენციის სტრატეგიის ნაწილი (University of Oxford 2015a, 101). უნივერსიტეტი ვებგვერდზე პლაგიატს შემდეგი სახით განმარტავს: “პლაგიატი არის სხვისი ნამუშევრის და იდეების, როგორც საკუთარის წარდგენა, მათი თანხმობით ან თანხმობის გარეშე, საკუთარ ნაშრომში ინკორპორირებითა და აღიარების გარეშე. ეს განმარტება ეხება ყველა გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელი მასალას, ხელნაწერს, ნაბეჭდს ან ელექტრონული ფორმით” (University of Oxford 2015b). განმარტებასთან ერთად ჩამოთვლილი და ახსნილია პლაგიატის შემდეგი კონკრეტული ფორმები:

- სიტყვასიტყვით ციტირება მკაფიო დამოწმების გარეშე;
- ინტერნეტიდან ინფორმაციის აღება და გადმოტანა მკაფიო დამოწმების გარეშე;
- პარაფრაზირება;
- შეთანხმება/გარიგება;
- არაზუსტი დამოწმება;
- მიღებული დახმარების არ აღნიშვნა/აღიარება;
- პროფესიული სააგენტოებისა და სხვა პირის მიერ დაწერილი მასალების გამოყენება (თუნდაც ამ პირის თანხმობით);
- თვითპლაგიატი.

ვებგვერდზე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ისეთი რესურსები, როგორიცაა დამოწმების წესები, შესაბამისი ნიმუშები, საბიბლიოთეკო უნარები, აკადემიური გადაცდომების გასაჩივრების წესები და პროცედურა. იქვე “საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების” სათაურის ქვეშ მოცემულია “დეკლარაცია ავტორობის შესახებ” (2011 წლის

რედაქციით) სადაც პირველივე პუნქტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული პლაგიატთან დაკავშირებული საკითხი: “წავიკითხე და გავიგე უნივერსიტეტის დისციპლინური რეგულაციები, რომელიც შეეხება გამოცდებზე მოქცევის საკითხებს და განსაკუთრებით კი პლაგიატის რეგულაციებს (*არსებითი ინფორმაცია სტუდენტებისთვის. რწმუნებულებისა და შემფასებლის მემორანდუმი*, სექცია 9.6; ასევე ხელმისაწვდომია www.admin.ox.ac.uk/proctors/info/pam/section9.shtml).”

ფაკულტეტები ასევე პასუხისმგებლები არიან პლაგიატთან დაკავშირებით დისციპლინისთვის სპეციფიკური სახელმძღვანელოების შემუშავებაზე.

გარდა აღნიშნულისა, სპეციალურად კვლევისთვის ოქსფორდს შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის კოდექსი “აკადემიური პატიოსნება/კეთილსინდისიერება კვლევაში: პრაქტიკის კოდექსი და პროცედურები,” ის ეხება ყველას, აკადემიურ პერსონალსაც და სტუდენტებსაც, ვინც ახორციელებს კვლევას და იყენებს უნივერსიტეტის რესურსებს. მასში ასევე განმარტებულია არასათანადო აკადემიური საქციელი და რეაგირების პროცედურები. ის სხვა შესაბამის რესურსებთან ერთად განთავსებულია სპეციალურ გვერდზე “კვლევითი პატიოსნება და ეთიკა” (University of Oxford 2015c). კარგი აკადემიური პრაქტიკის მუდმივი ხელშეწყობისთვის არსებობს ონლაინკურსებიც. ამასთან დაკავშირებით “კვლევით კომიტეტსა და საბჭოსთვის გაკეთებულ კვლევითი პატიოსნების კონკორდატთან შესაბამისობის 2014 წლის ანგარიშში/განაცხადში” აღნიშნულია, რომ აკადემიურ პატიოსნებასთან დაკავშირებით 2013 წელს უნივერსიტეტმა შემოიღო ინტერაქტიული ონლაინკურსები კვლევითი პერსონალისა და სტუდენტებისთვის: “არსებობს 5 სხვადასხვა, დისციპლინისთვის სპეციფიკური, კურსი: ბიოსამედიცინო მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო და ფიზიკური მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური და ქცევითი მეცნიერებები” (University of Oxford 2015d, 5).

ოქსფორდის უნივერსიტეტი პლაგიატის პოტენციური შემთხვევების გამოვლენის მიზნით იყენებს ტურნიტინს. საუნივერსიტეტო გამოცდებში ტურნიტინის გამოყენების წესები მოცემულია შესაბამის რეგულაციაში (University of Oxford 2015a, 115).

ბ) ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ვებგვერდზე “პლაგიატი განიმარტება, როგორც სხვისი აზრების, სიტყვების, არტეფაქტების ან პროგრამული უზრუნველყოფის სტუდენტის კუთვნილად წარდგენა”(UCL 2015). აქვე, პლაგიატად განიხილავს შემდეგს:

“- სხვისი ნამუშევრის საკუთრად გამოცხადება;

- სხვისი სიტყვების ან იდეების კოპირება მისი აღიარების გარეშე;

- ციტირება ციტირების ნიშნის გარეშე;

- არასწორის ინფორმაცია ციტირების წყაროს შესახებ;

- სიტყვების შეცვლა, მაგრამ წინადადების სტრუქტურის კოპირება წყაროს დამოწმების გარეშე;

- იმდენად ბევრი სიტყვისა და იდეის კოპირება, რომ ისინი ნაშრომის უმეტესობას ქმნის, მიუხედავად იმისა დამოწმებულია თუ არა”.

ამდენად, შესაძლებელია სტუდენტმა სწორად გააფორმოს ნაშრომი, მაგრამ ის არ იყოს ორიგინალური ნაშრომი და შესაბამისად ჩაითვლება პლაგიატად. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები მ.შ. ტურნიტინის გამოყენების სახელმძღვანელო.

UCL-ს აქვს განახლებადი “აკადემიური საქმიანობის სახელმძღვანელო,” რომლიც მოიცავს აკადემიური საქმიანობის ყველა საკითხს. 2013-14 წლის სახელმძღვანელოს 42-ე დანართი განკუთვნილია მათთვის, ვინც არ იყენებს ტურნიტინს და პლაგიატის იდენტიფიცირების მიზნებისთვის იძლევა რჩევას პლაგიატისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ტიპურ ნიშანთან დაკავშირებით. არნიშნული დოკუმენტის მე-4 პუნქტში მითითებულია შემდეგი:

- ტექსტის შიგნით არსებული განსხვავებები, მაგ., სტილი, მართლწერა, პუნქტუაცია, ფონტების გამოყენება, დახრილი ხაზი, ენა, გრამატიკა და კონსტრუქცია;
- წარდგენილი ნაშრომი არის (ბევრად უფრო) მაღალი სტანდარტის ან განსხვავებული ბუნების (მაგ., ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით), ვიდრე ეს ჩვეულებრივად მოსალოდნელი იყო ამ კონკრეტული სტუდენტისგან;
- დამოწმებისას შიდა შეუსაბამობა ან თვით ტექსტში ან ბიბლიოგრაფიაში ან ორივეში. ეს ასევე შეიძლება მოიცავდეს გარკვეული წყაროს ან წყაროების გამოტოვებას, რომელის ციტირების მოლოდინიც ჩვეულებრივად არსებობს;

- განცხადებები, რომლებიც არაა მხარდაჭერილი ტექსტით მაგ. "როგორც ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს" და ამ დროს ცხრილი საერთოდ არაა მოცემული;
- წარდგენილი ნამუშევარი ნაწილობრივ ან მთლიანად არარელევანტურია დასმულ ამოცანასთან, ან მოთხოვნილთან მიმართებაში ზოგადად ძალიან მწირი ხარისხისაა;
- დამოწმება არაადეკვატური ან სუსტია ნათქვამთან კავშირში;
- ნებისმიერი "ინსტინქტური ფამილარობა/ნაცნობობის განცდა" (მაგ., შეგრძნება "დარწმუნებული ვარ ეს ადრე სადღაც მინახავს");
- შესამჩნევი მსგავსება ორი ან მეტი სტუდენტის ნამუშევარს შორის. ისინი შეიძლება იყვნენ იმავე კოჰორტის ან სხვადასხვა სასწავლო წლის სტუდენტები. " (UCL 2013)

უდავოა, რომ ზემოაღნიშნული მინიშნებები საინტერესო და გამოსაყენებელი იქნება იმ უსდ-სა და აკადემიური პერსონალისათვის, რომელიც ჯერ არ/ვერ იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას. ცხადია პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული მ.შ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რეპოზიტორის არსებობა შესაბამის ენაზე.

გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტები აქტიურად იყენებენ პროგრამულ უზრუნველყოფას პლაგიატის იდენტიფიცირების მიზნით. "სტუდენტების პლაგიატთან ბრძოლის ეროვნული სტატეგიის" ინფორმაციით გაერთიანებულ სამეფოში ტურნიტინს იყენებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 98% (PlagiarismAdvice.org. 2013).

გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირება

გაერთიანებულ სამეფოში განათლების ხარისხის უზრუნველყოფა არის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა. შესაბამისად, პლაგიატის პრევენცია, იდენტიფიცირება და მასზე შემდგომი რეაგირება უნდა მოახდინოს უნივერსიტეტმა თავისი პროცედურებიდან გამომდინარე. როგორც ზემოთაა აღნიშნული (პუნქტი 1) QAA-ს ხარისხის კოდექსის შესაბამისად, ყველა უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს აკადემიურ გადაცდენებზე რეაგირების მკაფიო რეგულაციები.

ამდენად, არაკადემიური ქცევის ფაქტებზე რეაგირებას პირველ რიგში ახდენს უმაღლესი სასწავლებელი თავისი რეგულაციების შესაბამისად. ოქსფორდი (იხ. პ. 2) იძლევა ინფორმაციას ამ რეგულაციების განხორციელებასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, “კვლევით კომიტეტსა და საბჭოსთვის გაკეთებულ კვლევითი პაციონების კონკორდატთან შესაბამისობის 2014 წლის ანგარში/განაცხადში” აღნიშნულია, რომ 2014 წელს უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად შესწავლილ იქნა 6 არასათანადო აკადემიურ ქცევასთან დაკავშირებულ საკითხი, აქედან ერთი შეეხებოდა პლაგიატს. თუმცა, გამოკვლევის შედეგად ის არ დადასტურდა (University of Oxford 2015c, 8).

ეროვნულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს აქვს შესაძლებლობა რეაგირება მოახდინოს პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზეც. თუმცა, ის არ რეაგირებს უშუალოდ სტუდენტის მიერ განხორციელებულ პლაგიატზე, არამედ უნივერსიტეტის მხრიდან ყველა შესაბამისი აკადემიური სტანდარტის დაცვაზე, რომელიც მოიცავს პლაგიატის საკითხსაც. QAA ამას ახორციელებს “უმაღლესის განათლების ხარისხის განხილვის/შემოწმების”(HER) პროცესში და ასევე სპეციალური პროცედურის (ე.წ. Concerns Procedure) ფარგლებშიც, თუ ის მიიღებს შესაბამის განცხადებას/საჩივარს აკადემიურ სტანდარტთან და განათლების ხარისხთან დაკავშირებით. მაგ., აღნიშნული სპეციალური პროცედურების საფუძველზე QAA-მ განახორციელა ბუკინგემის უნივერსიტეტის საქმიანობის გამოკვლევა და ვებგვერდზე გამოაქვეყნა დოკუმენტი “უმაღლესი განათლების სტანდარტებთან და ხარისხთან დაკავშირებული შეშფოთება ” (QAA 2015g). გამოკვლევა შეეხებოდა ერთ-ერთი მოდულის ფარგლებში წარდგენილი ესეების 10%-ში პლაგიატის იდენტიფიცირებისა და მასზე არასათანადო რეაგირების საკითხს. გამოკვლევამ დადგინა, რომ უნივერსიტეტმა დაარღვია საკუთარი რეგულაციები. უნივერსიტეტს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები და 6 კვირიანი ვადა, რათა ჩამოეყალიბებინა პრობლემების დაძლევის სამოქმედო გეგმა და წარედგინა QAA-თვის. უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი სამოქმედო გეგმა და მისი შესრულება QAA-ის მიერ 2015 წლის სექტემბერში ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად (QAA 2015h).

აღნიშნულმა საკითხმა გამოხმაურება ჰპოვა ადგილობრივ და ეროვნულ პრესაშიც. მაგ., მას მიეძღვნა BBC-ს სტატია “ბუკინგემის უნივერსიტეტმა დააღვია პლაგიატის საკუთარი წესები”(Burns 2015).

გერმანია

ეროვნული დონე

გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა დეცენტრალიზებულია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაბამისი ფედერალური სამინისტრო, უნივერსიტეტების საქმიანობა რეგულირდება მიწის შესაბამისი სამინისტროს მიერ. ამასთან, ფუნქციონირებს მიწის კულტურის მინისტრების კონფერენცია (KMK), რომელიც აერთიანებს უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე პასუხისმგებელ ყველა მინისტრს და ახდენს კოორდინირებას უმაღლესი განათლების სფეროში. ეროვნულ დონეზე სხვა აქტორებიც მოქმედებენ. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში უნდა აღინიშნოს ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა რექტორთა კონფერენცია (HRK), აკრედიტაციის საბჭო, გერმანიის სამეცნიერო საზოგადოება (DFG) და მეცნიერების საბჭო (WR). თითოეული მათგანი დაინტერესებულია ხარისხიანი კვლევის ან/და სწავლება-სწავლის სფეროთი და თავისი შესაბამისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში.

უმაღლეს სასწავლებლები - საბაკალავრო და სამაგისტრო დონე

მიწის კანონმდებლობებით განსაზღვრულია აკრედიტაციის აუცილებლობა უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მიზნით შექმნილია აკრედიტაციის საბჭო (Akkreditierungsrat). მისი მიზანია გერმანიაში სწავლისა და სწავლების ხელშეწყობა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე. ის თავად არ ახდენს უსდ-ების აკრედიტაციას, არამედ ახორციელებს სააკრედიტაციო სააგენტოების აკრედიტაციას. ამდენად, ხარისხის უზრუნველყოფაც დეცენტრალიზებულია. თუმცა, აკრედიტაციის საბჭოს 2009 (2013 ცვლილებებით) წლის გადაწყვეტილებით აქვს “სასწავლო პროგრამებისა და სისტემის აკრედიტაციის წესები”, სადაც განსაზღვრულია შესაბამისი პროცედურები და კრიტერიუმები. შესავალში მითითებულია, რომ “აკრედიტაციის საბჭოს ამოცანაა შექმნას გერმანიის აკრედიტაციის სისტემის ფუნქციონირების წინაპირობები აკრედიტაციის კრიტერიუმების და პროცედურების რეგულირებით” (Akkreditierungsrat 2013, 2).

უმაღლეს განათლებაში პლაგიატის იდენტიფიცირება და შეფასების პროცესი ურთიერთდაკავშირებულია. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტი ხელს უნდა უწყობდეს შეფასების მკაფიო, გასაგები, სამართლიანი და თანამიმდევრული სისტემის ჩამოყალიბებას. აკრედიტაციის საბჭოს ზემოაღნიშნულ დოკუმენტში შეფასებასთან დაკავშირებული, როგორც პროგრამული, ასევე სისტემური აკრედიტაციის სტანდარტები ზოგადი ხასიათისაა. მაგალითად, პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტში 2.5 მითითებულია, რომ “ყველა მოდული, როგორც წესი, სრულდება გამოცდით, რომელიც მოიცავს მთელ მოდულს” (12). სისტემური აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით კი ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს: “სწვლებისა და გამოცდების საკითხებში პროფესორის კომპეტენციის ვერიფიკაციას მათი სამსახურში მიღებისას და ასევე მათ რეგულარულ წინსვლას ტრენინგების მეშვეობით” (26). შესაბამისად, ეროვნულ დონეზე საბაკალავრო-სამაგისტრო ნაშრომებისთვის პლაგიატთან დაკავშირებული მკაფიო პოლიტიკა არ არსებობს. არსებობს მინიშნება, რომ პროფესორი უნდა იყოს კომპეტენტური გამოცდების ჩატარების საკითხებში. სტანდარტი ასევე ცალსახად მოითხოვს საგამოცდო რეგულაციების არსებობასა და ხელმისაწვდომობას.

პლაგიატის თემა გერმანიაში ძალიან აქტუალურია. თუმცა, აქცენტი მთლიანად სადოქტორო დონეზე და კვლევაზეა გადატანილი. ეროვნულ დონეზე არსებული დოკუმენტები, რომლებიც აკადემიურ კეთილსინდისიერებას შეეხება ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე. ამ საკითხების გააქტიურებაში გამოირჩევიან კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს გერმანიის სამეცნიერო საზოგადოება (DFG), ასევე მეცნიერების საბჭო (WR) და უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა კონფერენცია (HRK).

პლაგიატთან დაკავშირებული ეროვნული დოკუმენტის შემუშავება გარკვეულწილად კავშირშია ერთ-ერთ გახმაურებულ საქმესთან. 1997 წელს გერმანიის სამეცნიერო საზოგადოებამ შექმნა სპეციალური კომისია და შეიმუშავა დოკუმენტი “კარგი სამეცნიერო პრაქტიკის დაცვის შესახებ”, რომელიც ახლა, 2013 წელს გადამუშავებული სახით (DFG 2013), მოქმედებს. როგორც მეცნიერების საბჭო აღნიშნავს ეს დოკუმენტი “წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილ ეროვნულ სახელმძღვანელოს კარგი სამეცნიერო პრაქტიკის შესახებ” (Wissenschaftsrat 2015, 10). იგი მოიცავს 17 რეკომენდაციას.

აღნიშნულმა დოკუმენტმა გავლენა იქონია უმაღლეს სასწავლებლებში განხორციელებულ კვლევებსა და სადოქტორო პროგრამებზე. გერმანიის მეცნიერების საბჭო თავის ერთ-ერთ უახლეს დოკუმენტში, “რეკომენდაციები აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან/პატიოსნებასთან დაკავშირებით” (Wissenschaftsrat 2015), აღნიშნავს, რომ გერმანიის რექტორთა კონფერენციამ (HRK) იმავე წელს განახორციელა რეკომენდაცია და “ზევრმა უნივერსიტეტმა და სამეცნიერო ორგანიზაციამ შეიმუშავა საკუთარი წესები და პროცედურები, ისევე როგორც სახელმძღვანელო პრინციპები და ჩამოაყალიბა ომბუდსმენის ოფისები”(9). იქვე შენიშვნის სახით მითითებულია, რომ საბჭოს არა აქვს ზუსტი მონაცემები შესაბამისი ინსტიტუციების შესახებ.

2013 წელს გერმანიის რექტორთა კონფერენციამ გამოაქვეყნა რეკომენდაციები “უმაღლეს სასწავლებლებში კარგი სამეცნიერო პრაქტიკის შესახებ” (HRK. 2013), დოკუმენტი ხუთ რეკომენდაციას მოიცავს. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მესამე რეკომენდაციით ეროვნულ დონეზე განიმარტა პლაგიატის ტერმინი. კერძოდ, “სხვისი ტექსტების, იდეების ან მონაცემების გადმოცემა ავტორის მკაფიო იდენტიფიცირების გარეშე არის პლაგიატი, ის ეწინააღმდეგება კარგი სამეცნიერო პრაქტიკის წესებს”(4).

ამდენად, ეროვნულ დონეზე პლაგიატს ეთმობა ყურადღება, მაგრამ ძირითადად მაინც ორიენტირებულია სადოქტორო დონესა და სამეცნიერო საქმიანობაზე. რაც შეეხება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებს IPPHEAE-ს გერმანიის ანგარიშის ავტორი გლენდინინგი (2013b) აღნიშნავს, რომ სტატისტიკური მონაცემები საერთოდ არ არსებობს. “თუმცა IPPHEAE-ს კვლევამ აჩვენა, რომ მიღებული პასუხებიდან მხოლოდ სტუდენტების 10% და მასწავლებლების 11%-მა აღნიშნა, რომ მათ შეიძლება განახორციელეს “შემთხვევითი ან წინასწარგანზრახული” პლაგიატი” (6).

ინსტიტუციური დონე

პროგრამული აკრედიტაციის 2.8 სტანდარტი მოითხოვს სასწავლო პროგრამების, სასწავლო კურსებისა და საგამოცდო მოთხოვნების გამჭვირვალობას (Akkreditierungsrat 2013, 13). შესაბამისად, ინსტიტუციურ დონეზე გერმანიის ყველა უნივერსიტეტის ვებგვერდზე

ხელმისაწვდომია საგამოცდო წესები საბაკალავრო და სამაგისტრო დონისთვის, ისევე როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის წესები.

მაგალითად, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს აქვს საბაკალავრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია, რომელიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ ნაშრომის ბოლოს ყველას მოეთხოვება წარდგენილი ნამუშევრის ავთენტურობის დეკლარირება შემდეგი სახით “თეზისი შესრულებულია დამოუკიდებლად და არაა გამოყენებული სხვა წყარო ან დახმარება, გარდა დამოწმებულისა” (LMU 2015a, LMU 2015b).

ყველა ფაკულტეტს ჰყავს კონსულტანტი აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, უნივერსიტეტს (LMU) კარგი აკადემიური პრაქტიკის ხელშეწყობისთვის აქვს სპეციალური ვებგვერდი. სადაც მოცემულია რესურსები: აკადემიური წერა (მ.შ. “სახელმძღვანელო აკადემიური თვითკონტროლის შესახებ”), ზოგადი და ასევე დისციპლინისთვის სპეციფიკურ ტრენინგ-კურსები ლიტერატურის ძიების საკითხებზე, ე-ტუტორიალი, სტუდენტებისთვის უფასო პროგრამული უზრუნველყოფა რეფერენსირების მენეჯმენტისთვის (Citavi, EndNote) და ა.შ. ეს ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე (LMU 2015c). უნივერსიტეტს აქვს ღია რეპოზიტორი, 2015 წლის დეკემბრის მონაცემებით მასში 23 539 პუბლიკაცია მ.შ. 11131 სადოქტორო დისერტაცია იყო მოცემული (LMU 2015d).

DFG-ს დოკუმენტის, “კარგი სამეცნიერო პრაქტიკის დაცვის შესახებ”, მე-5 რეკომენდაციის თანახმად სადოქტორო დონისა და კვლევებისთვის ყველა უნივერსიტეტში არსებობს ობიექტური მრჩეველი (ომბუდსმენი), როგორც წესი ერთზე მეტი: “უნივერსიტეტებმა და კვლევითმა ინსტიტუტებმა უნდა დანიშნონ დამოუკიდებელი მედიატორები (ომბუდსპერსონები), ვისაც შეიძლება დაუკავშირდნენ კარგ სამეცნიერო პრაქტიკასთან დაკავშირებული კითხვებითა და სამეცნიერო გადაცდომის არსებობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში. უნივერსიტეტებმა და კვლევითმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ ინსტიტუციაში ცნობილი დამოუკიდებელი მედიატორების (ომბუდსპერსონების) არსებობა”(DFG 2013, 74).

ომბუდსმენების საერთო სია გამოქვეყნებულია გერმანიის სამეცნიერო საზოგადოების (DFG 2015) ვებგვერდზე. ამასთან, უნივერსიტეტების ვებგვერდზე ამ მონაცემების მოძიება არც თუ იოლია.

გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირება

პლაგიატთან მიმართებაში უმაღლეს სასწავლებლების არამკაფიო პოლიტიკამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო საზოგადოების გააქტიურებას პლაგიატის დოკუმენტირების საკითხებში. ბოლო წლების პლაგიატის სკანდალის ტალღა უპირველეს ყოვლისა უკავშირდება მაღალი თანამდებობის პირებსა და პოლიტიკოსებს. პლაგიატის საკითხის გასაჯაროებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პლაგიატის დოკუმენტაციის კოლაბორაციულმა ვებგვერდმა VroniPlag.wiki. არსებობს სხვა ვებგვერდებიც, სპეციალურად ერთი სადოქტოროსთვის შექმნილი Guttenplag.wiki, ასევე ზოგადად პოლიტიკოსების სადოქტორო დისერტაციების ანალიზისთვის შექმნილი PolitPlag-ი და VroniPlag-ი. ეს უკანასკნელი ასევე საკონსულტაციო სერვისითაცაა დაკავებული.

VroniPlag.wiki-ის მიერ პოლიტიკოსების დისერტაციების ანალიზისა და პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის შემდეგ დოკუმენტები ეგზავნება უნივერსიტეტებს. რეაგირების შესახებ ინფორმაცია (მაგ., სადოქტორო ხარისხის ჩამორთმევა) მოცემულია შესაბამის ვებგვერდზე. თუმცა, უნივერსიტეტების რეაქცია პლაგიატთან დაკავშირებულ დოკუმენტების მიღებაზე ხშირად არაერთგვაროვანია. როგორც ვებერ-ვულფი აღნიშნავს: “ზოგიერთი მათგანი თავს არ იწუხებს შეტყობინების მიღების დასადასტურებლად. მაშინ როდესაც, უნივერსიტეტების უმეტესობის წესები ითვალისწინებს, რომ ინფორმაციის მიმწოდებელს უნდა ეცნობოს საკითხის შესწავლის/გამოკვლევის შედეგები. ინფორმაციის დაჟინებით მოთხოვნის შემთხვევაში კი ზოგიერთი უნივერსიტეტი საპასუხოდ იშველიებს პირადი მონაცემების დაცვის კანონს, მაშინ როდესაც კონკრეტული საკითხი შეეხება სამეცნიერო პუბლიკაციას, რომელიც არაა პირადი საკითხი” (Weber-Wulff 2015, 8).

მაღალი თანამდებობის პირების, პოლიტიკოსების საქმეებს მედია (Kühne 2014, Goebel 2011, Trenkamp 2011, Kremp 2011) იმდენად აქტიურად აშუქებდა, რომ შეუძლებელიც კი არის ყველა მათგანის ჩამოთვლა. პარალელურად მედია ცდილობდა სადოქტორო ხარისხთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლასაც. სადოქტორო დისერტაციების პლაგიატის თემამ წინ წამოსწია პასპორტსა და პირადობის მოწმობაში დოქტორის ხარისხის მითითების საკითხიც. ამასთან დაკავშირებულ შლოემანის სტატიაში, სათაურის შემდეგ, მსხვილი ასოებით მიუთითებულია შემდეგი: “დოქტორის ხარისხი სავიზიტო ბარათის, კარების

ზართან წარწერისა და პირადობის მოწმობისთვის. გერმანიაში დოქტორის ხარისხი კვლავ მიეთითება პასპორტში. ამდენად, გერმანიაში აკადემიური ხარისხი პირადი დაფასებისთვისაა. მას კავშირი არა აქვს მეცნიერებასთან” (Schloemann, 2011). სტატიის ავტორი ემხრობა პასპორტიდან ხარისხის ამოღების იდეას. თუმცა ასევე ასკვნის, რომ მხოლოდ ეს ვერ შეაჩერებს კარიერისტს მიიღოს სადოქტორო ხარისხი.

საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიშში სებასტიან ვოლფი (Wolf 2013) სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებული პლაგიატის დამლევის სხვადასხვა გზებს ასახელებს. მათ შორისაა პირადობის მოწმობიდან და პასპორტიდან დოქტორის ხარისხის ამოღების მცირე ცვლილებიდან დაწყებული და უშუალოდ პლაგიატის პრევენციასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა - კვლევით მეთოდებსა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით სადოქტორო კურსების დანერგვა, ანტიპლაგიატის მექანიზმებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისთვის აკადემიური პერსონალის მომზადება და წახალისება, ასევე მონაცემთა მანიპულაციების გამო სტუდენტთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა (182). მსგავსი მოსაზრება აქვს ვებერ-ვულფს (Weber-Wulff 2015), რომელიც აღნიშნავს, რომ “უმჯობესია პლაგიატის პრევენცია, ვიდრე მომხდარი ფაქტის შემდეგ სტუდენტის დასჯა”(8).

გერმანიაში საზოგადოება და პრესა ძალიან აქტიურია და სისტემატურად აშუქებს პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებს. “Süddeutsche Zeitung” ერთ-ერთი ახალი სტატია შეეხება მიუნხენის უნივერსიტეტში პლაგიატზე რეაგირების, უფრო სწორად რეაგირების შეუძლებლობის შემთხვევის ფაქტს. კერძოდ, LMU-ში სადოქტორო დისერტაციის პლაგიატზე რეაგირებისთვის დადგენილია ვადები. სტატიის თანახმად, დაცვიდან ექვსი წლის შემდეგ აღმოჩენილი პლაგიატის ავტორს პრობლემა არ შეექმნება, ვინაიდან უნივერსიტეტის “სადოქტოროს რეგულაციების საფუძველზე დისკვალიფიკაცია შესაძლებელია სადოქტოროს დაცვიდან მხოლოდ პირველი 5 წლის განმავლობაში” (Horstkotte 2015). სტატიის თანახმად გერმანიის სხვა უნივერსიტეტებში მსგავსი ვადები აღარ არსებობს.

საბერძნეთი

ეროვნული დონე

სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტები საბერძნეთის განათლების სისტემის მძიმე მდომარეობას ადასტურებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის დოკუმენტი, “ძლიერი შემსრულებლები და წარმატებული რეფორმატორები განათლებაში: რჩევა საბერძნეთს განათლების პოლიტიკის შესახებ” (OECD 2011), სადაც საფუძვლიანადაა გაანალიზებული სისტემის მდგომარეობა, პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მოცემულია რეკომენდაციები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ “საბერძნეთის უმაღლეს განათლებას აქვს ღირებულებების კრიზისი, ისევე როგორც მოძველებული რეგულაციები და ორგანიზაციული სტრუქტურა” (78). მრავალ პრობლემას შორის ერთ-ერთია კონსტიტუციური უფლებების დარღვევა მ.შ. ის ფაქტი, რომ “მაღაღობა, პარტიზანული ურთიერთობები და ფავორიტიზმი არაა შეჩერებული” (79). მეორე საერთაშორისო ორგანიზაციის “საერთაშორისო გამჭვირვალობის” კორუფციის ანგარიშში პასტრა (Pastra 2013) აღნიშნავს: “ბერძნულ დაწესებულებებსა და სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში არსებული კორუფცია უდავოდ დაკავშირებულია და გავრცელებულია უმაღლეს განათლებაში”(134) და იქვე, რთული სიტუაციის დაძლევის ერთ-ერთ გზად ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას მიიჩნევს. ცხადია, საგანმანათლებლო სისტემის გაუმჭვირვალობა და კორუფციის მაღალი დონე გავლენას ახდენს განათლების ხარისხზე და პირიქით, ხარისხის უზრუნველყოფის სწორად განხორციელებული პროცესები ხელს უწყობს სისტემის გახსნილობასა და გამჭვირვალობას.

უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის შემდგომი გაძლიერების მიზნით 2011 წელს ახალი კანონი იქნა მიღებული. თუმცა, IPPHEAE-ს კვლევის თანახმად ეს (და კიდევ სხვა) კანონი სრულად ვერ განხორციელდა აკადემიური პერსონალის მხრიდან არსებული წინააღმდეგობების გამო (Kokkinaki 2013, 3). 4009/2011 კანონის მე-14-ე მუხლი თანახმად „ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ინსტიტუცია და მისი ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული, რომელიც თავის მხრივ, უშუალოდაა პასუხისმგებელი ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე” (HQA 2014a). ამ საკითხზე ყურადღებაა გამახვილებული სააგენტოს დოკუმენტში, რომელიც ინსტიტუციური შეფასებისთვისაა განკუთვნილი.

კერძოდ, “უმაღლესი განათლების სფეროში ინსტიტუციების შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აკრედიტაცია”. დოკუმენტის დანართში მოცემული პირველი კრიტერიუმი შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და სტრატეგიას. აქვე მითითებულია, რომ ინსტიტუციის პოლიტიკის ოფიციალური ტექსტი უნდა მოიცავდეს “აკადემიური კეთილსინდისიერებისა და თავისუფლების საკითხებს” (HQA. 2014b, 12).

ამდენად, ეროვნულ დონეზე არსებობს მინიმუმ, რომ სასწავლებლებმა თავის პოლიტიკაში უნდა გაითვალისწინონ ეს საკითხები. თავად ეროვნულ დონეზე არ არსებობს ჩამოყალიბებული და მკაფიო პოლიტიკა. IPPHEAE-ს კვლევის საბერძნეთის ანგარიშშია მითითებული, რომ “ამჟამად, ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციი სააგენტო არ იძლევა პლაგიატის პრევენციის, იდენტიფიცირებისა და თავის არიდების შესაბამის ჩარჩოს. სასარგებლო იქნება ეროვნულ დონეზე შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება” (Kokkinaki 2013, 4).

ინსტიტუციური დონე

ბოლო წლებში განხორციელებული კვლევების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლებლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (სათანადოდ) არ ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხს და კანონისა და HQA-ს მოთხოვნები პრაქტიკაში ნაკლებად ხორციელდება. გარკვეული ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია საბერძნეთის ღია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. მაგ., რა არის პლაგიატი, მისი ფორმები და ტიპები, მოცემულია დამოწმების წესები, ასევე ინფორმაცია, რომელიც შეეხება საბაკალავროს შემდგომი ნაშრომის გაფორმებას. ამ წესის მეტ-14 პუნქტის თანახმად სტუდენტმა ნაშრომის ბოლოს ხელი უნდა მოაწეროს სტანდარტულ განცხადებას, სადაც მითითებულია, რომ “ნაშრომი არაა ნაწილობრივი ან სრული პლაგიატის შედეგი” (HOU 2015). პლაგიატის საკითხზე განხორციელებული კვლევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ არსებობს ინფორმაციის ნაკლებობა და პლაგიატის სწორად აღქმის პრობლემა, როგორც სტუდენტებში ასევე აკადემიურ პერსონალში. მაგალითად, IPPHEAE-ს კვლევამ დააფიქსირა საინტერესო ფაქტი, სადაც გამოყენებითი მიმართულების ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს არ მიაჩნია საჭიროდ ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა კვლევის მეთოდები და აკადემიურ წერა და „ასეთი

შინაარსის კურსებს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებისათვის უფრო შესაფერისად მიიჩნევენ (Kokkinaki 2013, 9).

2014 წელს საბერძნეთის 3 უმაღლეს სასწავლებელში ტსონისა და ლიონარაკის მიერ განხორციელებული კვლევა (Tsoni and Lionarakis 2014), რომლის მიზანიც იყო პლაგიატის მიმართ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულების შესწავლა, ნათლად აჩვენებს სისტემური მიდგომის არარსებობას. კვლევის დასკვნის თანახმად აკადემიური პერსონალი აცნობიერებს პრობლემის სიმწვავეს: „ისინი აღიარებენ, რომ საბაკალავრო და საბაკალავროს შემდგომ დონეზე არსებობს გადაწერისა და პლაგიატის ფენომენი. მიუხედავად ამისა, ისინი როგორც წესი, თავიანთი სასწავლო დროის ნაწილს არ უთმობენ სტუდენტისთვის პლაგიატის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, მათი უმეტესობა ამოწმებს ნაშრომებს პლაგიატზე და მხოლოდ მცირე ჯგუფი იყენებს პლაგიატის პროგრამულ უზრუნველყოფას (300).

თავისთავად დადებითი ფაქტია, როდესაც ლექტორი შეფასების პროცესში ნაშრომს ამოწმებს პლაგიატზე, მაგრამ არასწორი პრაქტიკაა (თუ არა არასამართლიანი) სტუდენტს არ მიაწოდო ინფორმაცია და არ ასწავლო პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის ავტორები აქვე მიუთითებენ სტუდენტების ინფორმირებულობის ამაღლებისა და შესაბამისი უნარების განვითარების აუცილებლობაზე (300).

გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირება

პლაგიატსა და მასზე რეაგირებასთან დაკავშირებით კოკინაკი (2013) მოკლე და სრულ განმარტებას იძლევა: „აკადემიური პირების პლაგიატის (ან თვით-პლაგიატის) გამოვლენილი შემთხვევები საბერძნეთში არაა სპორადული მოვლენა. პირიქით ის განმეორდა რამდენჯერმე სხვადასხვა უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, მეორე ასპექტი, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას ეს არის მიღებული ზომები, უფრო სწორად კი მათი არ არსებობა“(4).

საბერძნეთში პლაგიატის საკითხი 2013 წლამდე ძალიან აქტიური იყო ბლოგერებში. IPPHEAE-ს კვლევა მიუთითებს ამ ბლოგებზე. ესენია: Axortagos; Karaberopoulos; Logoklopi; Translatum; Terra Computerata. თუმცა, ზოგიერთი მათგანი (მაგ., axortagos.gr) გაუქმებულია,

უმეტესობა კი არაა განახლებული და ბოლო 2 წლის ინფორმაცია არ იძებნება. რთულია ზუსტად ახსნა ეს ფაქტი, მაგრამ ის ნამდვილად არ აიხსნება იმით, რომ პრობლემა გადაჭრილია და საკითხი ამოწურულია. ჯერჯერობით, ხარისხის უზრუნველყოფის მხრიდან არაა გადადგმული თანამიმდევრული ნაბიჯები, რომელიც პლაგიატის პრევენციას შეუწყობდა ხელს. საზოგადოებრივ დონეზე კი რეაგირება უფრო სპონტანურ და არასისტემურ ხასიათს ატარებს.

ესტონეთი

ეროვნული დონე

ესტონეთის უმაღლესი განათლების სისტემა მოიცავს, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ერთმანეთისგან განასხვავებს უნივერსიტეტებსა და უმაღლესი პროფესიული განათლების დაწესებულებებს. ესტონეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდის ინფორმაციით 2015 წლის დეკემბერში 23 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. აქედან: 7 უნივერსიტეტი: 6 სახელმწიფო და 1 კერძო უნივერსიტეტი; უმაღლესი პროფესიული განათლების 14 ინსტიტუცია: 8 - სახელმწიფო, 6 -კერძო და ასევე 2 პროფესიული განათლების სახელმწიფო სასწავლებელი (Ministry of Education and Research 2015). სტატისტიკის მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ესტონეთის უმაღლეს განათლებაში სტუდენტების რაოდენობის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება. მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2010 წელი - 18 404, 2014 წელი - 13477, სტუდენტთა საერთო რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2010 წელი – 69 113, 2014 წელი – 55214 (Statistics Estonia 2015, 80). ეს ფაქტი 2013 წლიდან მისაღები გამოცდების შემოღებითაა ახსნილი (75).

უმაღლესი განათლება რეგულირდება რამდენიმე კანონით. მათ შორისაა 1995 წლის უნივერსიტეტების აქტი, 1998 წლის უმაღლესი პროფესიული განათლების ინსტიტუტების აქტი და 1998 წლის კერძო სკოლების აქტი. პირველი ორი კანონი არეგულირებს ორი განსხვავებული სახის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს, მესამე კი შეეხება განათლების

სფეროში მოქმედ ნებისმიერ კერძო სასწავლებელს მ.შ. კერძო უნივერსიტეტს და კერძო პროფესიული უმაღლესი განათლების ინსტიტუტს. 2013 წლის “პროფესიული განათლების ინსტიტუციების აქტი” კი ასევე შეეხება მეხუთე დონის კვალიფიკაციებს. მთავრობის მიერ 2008 წელს მიღებულია რეგულაცია “უმაღლესი განათლების სტანდარტი” (EKKA 2015).

ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება “ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის სააგენტოს მიერ” (EKKA). აკრედიტაცია არის ორი სახის: ინსტიტუციური და საგნმანათლებლო პროგრამების ჯგუფის აკრედიტაცია.

ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობებისა და პროცედურების დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც მოცემულია 2015 წლის შესწორებით, ინსტიტუციური აკრედიტაცია ხორციელდება ოთხ ძირითად სფეროში:

- ორგანიზაციული მენეჯმენტი და განხორციელება;
- სწავლება და სწავლა;
- კვლევა, განვითარება ან/და სხვა კრეატიული საქმიანობა;
- საზოგადოებისთვის გაწეული მომსახურებები.

კვლევა-განვითარების სტანდარტში მოცემული პუნქტი 7.3.3.3 უშუალოდ შეეხება პლაგიატს: “სტუდენტებს ხელმძღვანელობენ/ასწავლიან, რათა მათ ამოიცნონ პლაგიატი და თავი აარიდონ მას” (EKKA 2015b). ეს პუნქტი შეეხება მხოლოდ სადოქტორო სტუდენტებს და გაურკვევლად ტოვებს ამ პრობლემასთან მიმართებაში საბაკალავრო-სამაგისტრო სტუდენტების საკითხს.

IPPHEAE-ს კვლევაში მითითებულია, რომ “მთავარი სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს ინტელექტუალურ საკუთრებას ესტონეთში არის საავტორო უფლებების აქტი” (Stabingis et al. 2013, 4). 1992 წლის “კოპირაიტის აქტის” მეცხრამეტე პარაგრაფი მეცნიერებისა და განათლების მიზნებისთვის იძლევა ნამუშევრების ავტორიზაციის გარეშე გამოყენების უფლებას, შესაბამისი დამოწმების პირობით (Riigi Teataja 2015). ავტორის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ თავისთავად ასეთი კანონი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ უსდ-ში კარგი აკადემიური პრაქტიკის პირობები უზრუნველყოფილია. აკადემიური პატიოსნება, აკადემიური გადაცდომა, მ.შ. პლაგიატი ის საკითხებია, რომლებიც პირველ რიგში აკადემიის შიგნით უნდა რეგულირდებოდეს. ეს საკითხი თანაბრად უნდა ეხებოდეს

საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა წევრს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს, მიუხედავად სწავლის საფეხურისა.

ინსტიტუციური დონე

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით. ესტონეთი უნივერსიტეტისგან ფორმალურად არ ითხოვს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას (European Commission/EACEA/Eurydice 2015, 88). სამი სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვან ვებგვერდზე არსად არაა მოცემული ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესახებ. ისევე როგორც არაა სპეციალური ვებგვერდი პლაგიატთან დაკავშირებით. თუმცა, ამ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია, როგორც სადოქტორო, ასევე სამაგისტრო ნაშრომების მარეგულირებელ წესებში. რამდენიმე მაგალითი:

ა) ტალინის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტის რამდენიმე დოკუმენტი შეეხება პლაგიატის საკითხს. კერძოდ,

- საბოლოო თეზისის გაფორმების წესები, რექტორის 2015 წლის 27 იანვრის No. 1-8/3 რეგულაცია;

- უნივერსიტეტის 2014 წლის 29 მაისის რეგულაცია “სადოქტორო ხარისხის მინიჭების პირობებისა და პროცედურების შესახებ”.

თეზისის გაფორმების წესებში მოცემულია პლაგიატის განმარტება “პლაგიატი არის სხვისი კვლევის შედეგების, აზრების, იდეების, ან გამოხატვის ფორმების სრული ან ნაწილობრივი წარმოდგენა, როგორც საკუთარი ორიგინალური ნაშრომი” (Estonian university of life sciences 2015a, 27). “სადოქტორო ხარისხის მინიჭების პირობებისა და პროცედურების შესახებ” დოკუმენტში მოცემულია პლაგიატთან დაკავშირებული ისეთი საკითხები როგორიცაა. დაცვამდე და დაცვის შემდეგ შესაძლო პლაგიატის გამოკვლევისა და პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში დოქტორის ხარისხის ჩამორთმევა. ამ დოკუმენტის პუნქტი 80-ის თანახმად “სადოქტორო დისერტაციის დაცვის საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს დაცვის

საბჭოს გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს, თუ სადოქტორო დისერტაციის მონაცემები გაყალბებულია ან დადასტურდა პლაგიატი”(Estonian university of life sciences 2015b)..

ბ) ესტონეთის ხელოვნების აკადემიის 2014 წლის 22 აპრილის რეგულაცია, “პროცედურა სამაგისტრო თეზისის მომზადებისა და დაცვის შესახებ,” 22-ე პუნქტში მიუთითებს, რომ “შეფასების კომისიის მდივანი უზრუნველყოფს წარდგენილი სამაგისტრო თეზისის პლაგიატის იდენტიფიცირების სისტემაში დამუშავებას. პლაგიატის ნიშნის მქონე სამაგისტრო დისერტაციაზე არ გაიცემა დაცვის უფლება (Estonian academy of arts 2015).

გ) ტარტუს უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 19 დეკემბრის #64-ე გადაწყვეტილების დანართით, “სადოქტორო განათლებაში კარგი პრაქტიკის შესახებ,” განსაზღვრულია დოქტორანტის ვალდებულება დაიცვას ინტელექტუალური საკუთრების კანონი და იმოქმედოს ეთიკის პრინციპებით; ხელმძღვანელმა კი შესაძლო პლაგიატის ფაქტზე დაუყოვნებლივი რეაგირება უნდა მოახდინოს. (University of Tartu 2015).

უნივერსიტეტების ვებგვერდებზე, სხვადასხვა ფაკულტეტების მიხედვით არსებობს გარკვეული რეგულაციები, ძირითადად სადოქტორო საფეხურისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთის უმაღლესი სასწავლებლები თანამშრომლობდნენ პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის საკითხზე. კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის 2012 წლის ინფორმაციით ესტონეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები IT ფონდთან ერთად გეგმავდნენ პლაგიატის იდენტიფიცირების სისტემის დანერგვას. აღნიშნული 221 570 ევროს ღირებულების პროექტი ფინანსდებოდა ევროპის სოციალური ფონდის მიერ (Roman 2012).

გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირება

პლაგიატთან დაკავშირებით სტატისტიკა არ მოიძებნება. IPPHEA-ს კვლევის თანახმად “წარუმატებელი იყო ძალისხმევა მოგვეპოვებინა სტატისტიკური მონაცემები სტუდენტების წერით ნაშრომებში პლაგიატთან დაკავშირებული ბრალდებებზე. არ არსებობს სტატისტიკა ან კვლევის მონაცემი, არც რაოდენობრივი და არც პლაგიატთან დაკავშირებით

გამოყენებული ჯარიმების მხრივ” (Stabingis at al. 2013, 5). თავად ამ კვლევაში მითითებულია რამდენიმე გახმაურებული საქმე.

ესტონეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, 2013 წლის იანვარში, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტში ბიოენერგეტიკაში დაცული დისერტაციაში პლაგიატის აღმოჩენის გამო პირს ჩამოერთვა დოქტორის ხარისხი. პლაგიატის აღმოჩენას სავარაუდოდ ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ დისერტაცია ინგლისურად იყო დაწერილი. როგორც მაუწყებლის ინფორმაციაშია მითითებული “დისერტაცია, რომელიც ინგლისურ ენაზე იყო დაწერილი შემოწმდა პლაგიატის იდენტიფიცირების სამ პროგრამაზე და ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ნაშრომი იყო პლაგიატიზებული” (Estonian public broadcasting. 2013).

ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა პლაგიატთან დაკავშირებით გახმაურდა 2014 წელს. ეს შემთხვევა საინტერესოა არა პლაგიატის შემთხვევის იდენტიფიცირების გამო, არამედ შესაძლო პლაგიატზე უჩვეულო რეაგირების მხრივ.

ოლივერ კუნდის სტატიის მიხედვით (Kund 2014), ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში დაცულ დისერტაციაზე დაცვიდან 5 დღეში შევიდა ოფიციალური საჩივრის წერილი, რომელიც მიუთითებდა შესაძლო დარღვევებსა და თეზისის 31%-ის პლაგიატზე. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს: “საჩივარი შეესაბამებოდა სიმართლეს თუ არა არავის არ დაუდგენია. იმის მაგივრად, რომ საკითხის გამოკვლევის კომისია შეექმნათ, დეკანმა მარიას შესთავაზა გამოეყენებია ე.წ. სწავლის დასრულების პუნქტი, რაც საშუალებას აძლევს ავტორს უკან გაიტანოს დაცული დისერტაცია ყოველგვარი ხმაურის გარეშე”. ამდენად, თეზისის ყველა კვალი წაიშალა და აღარავის შეუძლია იმის დადასტურება ადგილი ჰქონდა თუ არა პლაგიატს.

რეაგირება ანუ რეაგირებაზე თავის არიდება არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ არამკაფიო ან არასწორად ჩამოყალიბებული რეგულაცია საბოლოო ჯამში ჩრდილს ისევ აკადემიურ პატიოსნებას აყენებს.

ამერიკის შეერთებული შტატები

ეროვნული დონე

გასულ ათწლეულში პლაგიატთან დაკავშირებული კვლევების დიდი ნაწილი ინგლისურენოვან ქვეყნებში განხორციელდა. 90-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში დაფუძნდა ორგანიზაცია “აკადემიური პატიოსნების საერთაშორისო ცენტრი”, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეროვნულ დონეზე ამ საკითხის კვლევის საქმეში. მისი საქმიანობა დიდი ხანია გაცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს. ამ ორგანიზაციის კვლევები ადასტურებდა პლაგიატის საკმაოდ მაღალ დონეს. 2002-2015 წლებში დონალდ მაკკეიბის მიერ განხორციელებული კვლევების სტატისტიკის მოკლე შეჯამება საკმაოდ შთამბეჭდავია. საბაკალავრო დონეზე გამოკითხული 17000 სტუდენტის 43%, ხოლო საბაკალავროს შემდგომ დონეზე გამოკითხული 71300 სტუდენტის 68% ადასტურებს მოტყუების ფაქტებს წერით ნაშრომში ან ტესტში (ICAI 2015a).

ცენტრის ვებგვერდზე მოცემულია პლაგიატის განმარტება:

“პლაგიატია, როცა პირი:

1. იყენებს სიტყვებს, იდეებს ან სამუშაოს შედეგს;
2. რომელიც მიეკუთვნება სხვა განსაზღვრულ პირს ან წყაროს;
3. იმ წყაროს მითითების გარეშე, საიდანაცაა აღებული;
4. სიტუაციაში, როდესაც არსებობს ორიგინალური ავტორობის ლეგიტიმური მოლოდინი;
5. იმისათვის, რომ მიიღოს სარგებელი, აღიარება ან გამორჩენა, რომელიც შეიძლება არ იყოს ფულადი სახის” (ICAI 2015b).

90-იანის ბოლოს აშშ-ში დაფუძნდა და ფუნქციონირება დაიწყო პლაგიატის პრევენციის ინტერნეტ-სერვისი “ტურნიტინი”. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან ტურნიტინის ტექნოლოგიის გამოყენება მთელს მსოფლიოში სწრაფად გაიზარდა და ის ამჟამად აშკარა ლიდერად ითვლება. ტურნიტინმა გააანალიზა აშშ-ს 1000 კოლეჯისა და უნივერსიტეტის 55 მლნ. სტუდენტის ნაშრომი და

დადგინდა, რომ ტურნიტინის გამოყენებით 39%-ით შემცირდა არაორიგინალური ნაშრომების რაოდენობა (Turnitin 2015).

აკრედიტაცია და აკადემიური პატიოსნების საკითხი

როგორც ცნობილია აშშ-ში აკრედიტაციის პროცესი დეცენტრალიზებულია. უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭო (CHEA) ახორციელებს აკრედიტაციის სააგენტოების/ორგანიზაციების აღიარებას. 2015 წლის მონაცემებით CHEA-ს მიერ ინსტიტუციური აკრედიტაციისათვის აღიარებულია 6 რეგიონული სააკრედიტაციო ორგანიზაცია. თითოეულ მათგანს განსაზღვრული აქვს რეგიონები, რომლის ფარგლებშიც შეუძლია აკრედიტაციის განხორციელება. მათ შორისაა “სკოლებისა და კოლეჯების ნიუ-ინგლანდის ასოციაციის უმაღლესი განათლების ინსტიტუციების კომისია/NEASC-CIHE”, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესის სასწავლებლების აკრედიტაციას აშშ-ს 6 რეგიონში (კონექტიკუტი, მეინი, მასაჩუსეტის, ნიუ-ჰემპშირი, როუდ-აილენდი, ვერმონტი).

უმაღლესი განათლების ინსტიტუციების კომისიის “აკრედიტაციის სტანდარტი” (CIHE 2015) ხარისხსა და ეთიკას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ინსტიტუციის მართვისა და აკადემიური საქმიანობის სფეროში ეთიკის/პატიოსნების საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობა და შესაბამისი დებულებები აკრედიტაციის სხვადასხვა სტანდარტში აისახება. უშუალოდ პლაგიატთან დაკავშირებული საკითხი ხაზგასმულია მეოთხე სტანდარტში “აკადემიური პროგრამა.” ამ სტანდარტის 4.38 პუნქტი ხაზგასმით აღნიშნავს პლაგიატის პრევენციის აუცილებლობასა და აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ რეაგირებას: “აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული მხარდაჭერით, ქულების მინიჭებას უზრუნველყოფს აკადემიური ერთგულების/პატიოსნების დაცვით, სადაც შესაძლებელია კრედიტების მინიჭებას ინდივიდუალურ კურსებზე. ინსტიტუცია მუშაობს მოტყუებისა და პლაგიატის პრევენციაზე, ისევე როგორც დაუყოვნებლად რეაგირებს შესაბამის ფაქტებზე” (CIHE 2015, 11).

სტანდარტი ნათლად მიუთითებს პლაგიატის დამლევასთან დაკავშირებული სამი საკითხის (პრევენცია, იდენტიფიცირება, რეაგირება) არსებობასა და შესაბამის პასუხისმგებლობებზე:

- ინსტიტუცია ახორციელებს პრევენციის ღონისძიებებს;
- პლაგიატის იდენტიფიცირება არის აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა, რაც მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მხრიდან;
- ინსტიტუცია ახდენს დაუყოვნებლივ რეაგირებას პლაგიატის შემთხვევებზე.

4.38 პუნქტში მოცემული საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული აკრედიტაციის სტანდარტის ისეთ პუნქტებთან როგორცაა. 3.12, 5.20; 11.2 და 11.8.

სტანდარტი 3. ორგანიზაცია და მმართველობა. პუნქტი 3.12 მიუთითებს აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვან როლზე საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური ეთიკით უზრუნველყოფაში. *სტანდარტი 5, რომელიც უშუალოდ შეეხება აკადემიურ პერსონალს.* ამ სტანდარტის პუნქტი 5.20 კიდევ ერთხელ აკონკრეტებს, რომ აკადემიური პერსონალი ადმინისტრაციასთან ერთად უწყვეტი საქმიანობით უზრუნველყოფს აკადემიური ეთიკის/პატიოსნების მხარდამჭერი გარემოს შექმნას. რაც შეეხება მეთერთმეტე სტანდარტს “ეთიკა,” სახელწოდებიდან გამომდინარე მთლიანად ეთიკის საკითხებს ეძღვნება და მოითხოვს ინსტიტუციის მიერ საქმიანობის მაღალ ეთიკური სტანდარტებით განხორციელებას. ამ სტანდარტის პუნქტებიდან აღსანიშნავია 11.2 და 11.8. ორივე შეეხება აკადემიური პატიოსნების უზრუნველყოფის პირობებისთვის შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბების საკითხებს. ამასთან 11.8 ასევე აკონკრეტებს რომ “მათ შორისაა აკადემიური პერსონალის, სხვა თანამშრომლებისა და სტუდენტების საჩივრების სამართლიანი გადაწყვეტის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.” ამდენად, ეროვნულ დონეზე არსებული რეგიონული სააკრედიტაციო ორგანიზაცია იძლევა მკაფიო სტანდარტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ეთიკის უზრუნველყოფის მიზნით.

ინსტიტუციური დონე

ჰარვარდის უნივერსიტეტი აკრედიტებულია ზემოაღნიშნული რეგიონული მააკრედიტებელი ორგანიზაციის მიერ. უნივერსიტეტს აქვს ვებგვერდი “რესურსების გამოყენების ჰარვარდის სახელმძღვანელო”, სადაც პლაგიატთან დაკავშირებით მოცემულია დეტალური და გასაგები ინფორმაცია. გარდა აღნიშნულისა ყველა სკოლასა თუ კოლეჯს

აქვს საკუთარი ვებგვერდი აკადემიური ეთიკის საკითხებზე, ისევე როგორც ყველა სტრუქტურულ ერთეულში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც განიხილავს დისციპლინური გადაცდომის საკითხებს. ჰარვარდს აქვს კარგი აკადემიური პრაქტიკის განხორციელების შესაბამისი პირობები. ცხადია, პრობლემა შეიძლება მაინც გაჩნდეს, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარია რა სახის რეაგირება მოყვება მას.

გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირება

2012 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა ჰარვარდის უნივერსიტეტის (ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯის) სკანდალის შესახებ. ფაქტს სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა პრესაში, 30-31 აგვისტოს ამ საკითხს სტატიები მიუძღვნეს გაზეთებმა: The New York Times, The Guardian, The Harvard Crimson, Boston globe.

ყველაზე დეტალური ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ჰარვარდის სტუდენტურმა გაზეთმა სტატიაში “ჰარვარდი იკვლევს აკადემიური არაკეთილსინდისიერების “უპრეცედენტო” შემთხვევას” (Robbins 2012). სტატიის თანახმად საბაკალავრო საფეხურის დეკანმა აღნიშნა, რომ ეს იყო “ცოცხალი ადამიანის მეხსიერებისთვის უპრეცედენტო შემთხვევა”. სტატიაში მითითებულია ის სასწავლო კურსი, სადაც დაფიქსირდა არასასურველი შემთხვევა და აღნიშნულია, რომ “ჰარვარდის კოლეჯის დისციპლინური კომიტეტი იკვლევს გასულ გაზაფხულზე სასწავლო კურსში - მთავრობა 1310: “შესავალი კონგრესზე” ჩართული 279 სტუდენტის თითქმის ნახევარის პასუხების პლაგიატის ან არასათანადო კოლაბორაციის საკითხს ამ კურსის საბოლოო საშინაო დავალებაში.”

სხვა სტატიები სათაურში მიუთითებდნენ, რომ ეს საქმე შეეხებოდა 125 სტუდენტს (Harris 2012, Carmichael 2012, Perez-pena, Richard and Jess Bidgoodaug 2012). პრობლემა უწყვეტად შუქდებოდა უნივერსიტეტის გაზეთში. გამოკვლევის დასრულება და შედეგების შესახებ ინფორმაცია 2013 წელს ასევე გამოქვეყნდა “ნიუ-ორკ თაიმსშიც”, სტატიის თანახმად, ჰარვარდმა არ დაასახელა ზუსტი ციფრი თუ რამდენ სტუდენტს შეეხო დისციპლინური სასჯელი, მაგრამ უნივერსიტეტის განცხადება მიანიშნებდა, რომ 70-მდე სტუდენტმა დატოვა სასწავლებელი (Perez-pena 2013).

შესაბამისი კოლეჯის ადმინისტრაციული საბჭოს ვებგვერზე მოცემულია დისციპლინური გადაცდომებისა და შესაბამისი რეაგირების ბოლო 5 წლის სტატისტიკა.

აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამო 2010 - 2015 წლებში ამ კოლეჯი დაატოვებინეს 196 სტუდენტს, მათგან 2013 წელს 97 სტუდენტს, რაც ყველაზე მაღალი ციფრია ბოლო 5 წლის განმავლობაში (Harvard College Administrative Board 2015).

ამავე პერიოდში კოლეჯმა გააქტიურა მუშაობა ღირსების კოდექსის შემუშავებაზე, რომელზეც მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 2010 წელს. 2014 წელს მიიღო ჰარვარდის კოლეჯის “ღირსების კოდექსი,” რომელიც 2015 წლის შემოდგომიდან ამოქმედდა (Harvard College 2015).

დასკვნები

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ პლაგიატი არის რეალური პრობლემა. ყველასთვის ცხადია, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ გაადვილა ინფორმაციის მოძიება და სულ რამდენიმე ღილაკზე დაჭერით სასურველი ინფორმაციის კოპირებაც. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ “ჩრდილოვანი ნაშრომების” დამწერებიც იყენებენ ინტერნეტს საკუთარი ბიზნესის გასაფართოვებლად. დღეს, ინტერნეტში მრავლადაა ვებგვერდები, რომლებიც მომხმარებელს/სტუდენტებს გარკვეული თანხის ფასად სთავაზობენ სხვადასხვა დონისა თუ ტიპის ნაშრომების დაწერას თითქმის ყველა დარგში. ამასთან, იგივე ტექნოლოგიური საშუალებები ასევე აადვილებს იდენტიფიცირების პროცესსაც. ტურნიტინის ინფორმაციით (Turnitin 2015) შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებამ 39%-ით შეამცირა პლაგიატის შემთხვევები სასწავლო კურსის ფარგლებში. თუმცა აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ენის საკითხიც. ინგლისურენოვანი ნაშრომი აადვილებს იდენტიფიცირების პროცესს. ქართულენოვანი ნაშრომების რეპოზიტორის შექმნა ამ საკითხის გადასაჭრელად ძალიან მნიშვნელოვანია. ამ საკითხთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს ესტონეთის გამოცდილება, სადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გაერთიანდნენ და ევროკავშირის დახმარებით დაიწყეს მუშაობა პლაგიატის იდენტიფიცირების პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს ორი საკითხი:

- უნივერსიტეტებმა უნდა შექმნან საერთო რეპოზიტორი სულ მცირე სადოქტორო ნაშრომებისთვის;
- პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისთვის სახელმწიფო უნდა დაეხმაროს უმაღლეს სასწავლებლებს.

პლაგიატის პრობლემა საკმაოდ სერიოზულია და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ცალსახა და მარტივი პასუხი პლაგიატისგან თავის ასარიდებლად არ არსებობს. თუმცა აშკარაა, რომ ჩაკეტილი და გაუმჭვირვალე სისტემები, ისევე როგორც არამკაფიო და ორაზროვანი რეგულაციები ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან აკადემიური გადაცდომებისთვის.

პლაგიატის შემთხვევა შეიძლება ყველგან დაფიქსირდეს, მაგრამ მხოლოდ ის ქვეყნები და მათი უნივერსიტეტები ახორციელებენ ადეკვატურ რეაგირებას, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი და პროცედურა ცალსახად, მკაფიოდ და დეტალურად ასახავს აკადემიური ეთიკის საკითხებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტებში და რაც მთავარია, ახორციელებენ ამ სტანდარტს. აკადემიური პატიოსნება და განათლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი პირდაპირ კავშირშია. შესაბამისად, აკადემიური პატიოსნების საკითხი უნდა გახდეს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესის განუყოფელი ნაწილი.

1. ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტმა ხელი უნდა შეუწყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ პატიოსნებასთან/ეთიკასთან დაკავშირებულ მკაფიო პოლიტიკის ჩამოყალიბება-განხორციელებას.

როგორც გაერთიანებული სამეფოს ასევე აშშ-ს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პლაგიატის დაძლევის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს პლაგიატის პრევენციას, იდენტიფიცირებასა და რეაგირებას.

ა) **პრევენცია** არის ყველაზე მნიშვნელოვანი, პლაგიატთან ბრძოლის გზაზე. პრევენცია ითვალისწინებს მუდმივი ინფორმირებასა და სწავლებას.

- პრევენციის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს პლაგიატის მკაფიო განმარტება ეროვნულ დონეზე და განისაზღვროს მისი კონკრეტული სახეები;

- o საბაზო განმარტებად შესაძლებელია ავიღოთ შემდეგი: “პლაგიატი არის აკადემიური არაკეთილსინდისიერება, რაც გამოიხატება საკუთარი ნაშრომის ნაწილად სხვა ავტორის ნამუშევრის გამოყენებასა და ნაშრომის ორიგინალობასთან დაკავშირებით არასწორი/ცრუ წარმოდგენის შექმნაში” (IPPHEA 2015b).

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. უმაღლესმა სასწავლებლებმა საკუთარ ვებგვერდზე უნდა განათავსონ პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაცია (მაგ. დეფინიცია, პლაგიატის სახეები, დამოწმების წესები, მათ შორის დარგისთვის სპეციფიკური წესები), ე-ტუტორიალები/სასწავლო კურსები, აკადემიური დისციპლიის დარღვევაზე რეაგირების მექანიზმები, გასაჩივრების წესები და პროცედურები;

- ლექტორებისა/შემფასებლებისთვის ტრენინგების ჩატარება და ინფორმირება პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- პერიოდულად კვლევების ჩატარება უსდ-ში და შესაბამისი მონაცემების ანალიზი და რეაგირება (მაგ. პროცედურების შემდგომი დახვეწა).

ბ) **იდენტიფიცირება - მიუღებელი აკადემიური პრაქტიკის იდენტიფიცირება** შესაძლებელია შეფასების დროს თუ შეფასების ფორმა და მეთოდი შეესაბამება დასმულ ამოცანას:

- შეფასებისას პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება;

- წერითი ნამუშევრის ელექტრონული ფორმატით წარდგენა;

- ღია და ადვილადმოსაძებნი რეპოზიტორის შექმნა (სადოქტორო ნაშრომების საერთო ქსელი).

გ) რეაგირება

- უსდ-ს უნდა გააჩნდეს რეაგირების მკაფიო და სამართლიანი მექანიზმები; ის უნდა იძლეოდეს ყველა სახის აკადემური გადაცდენის მკაფიო განმარტებებსა და მათზე შესაბამისი რეაგირების პროცედურებსა და ფორმებს.

- ინფორმაცია შესაბამისი პროცედურების შესახებ უნდა იყოს ხელმისაწვდომი;
- როგორც ხარისხის შიდა, ასევე გარე უზრუნველყოფა უნდა ახორციელებდეს ამ პროცედურების დაცვის მონიტორინგსა და შეფასებას;
- მონიტორინგის განმახორციელებელი ვალდებული უნდა იყოს უსდ-ს მმართველობით ორგანოებს წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში.

2. ეროვნულ დონეზე, გარდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა აუცილებელია სხვა დაინტერესებული პირების ჩართვა. მ.შ. იმ ორგანიზაციების, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ კვლევები ქვეყნის დონეზე და ასევე ჩაატარონ შესაბამისი ტრენინგ-სემინარები და კონსულტაციები პლაგიატის პრევენციასთან მიმართებაში.

დამოწმებული ლიტერატურა

Akkreditierungsrat. 2013. *Rules for the Accreditation of Study Programmes and for System Accreditation*.

http://www.akkreditierungsrat.de/fileadmin/Seiteninhalte/AR/Beschluesse/en/AR_Regeln_Studiengaenge_en_aktuell.pdf

Burns, Judith. 2015. "Buckingham University 'breached own plagiarism rules". BBC, March 24. Accessed November 7, 2015. <http://www.bbc.com/news/education-32034849>

Carmichael, Mary. 2012. "Harvard investigates 125 students for cheating on final exam" Boston globe, August 30. Accessed December 1, 2015.

<https://www.bostonglobe.com/metro/2012/08/30/harvard-investigates-students-for-cheating-final-exam/RIb6915NqHQ73nQQxoZOpO/story.html>

Carroll, J., and Appleton, J. 2001. *Plagiarism: a good practice guide*. Oxford: Oxford Brookes University.

<http://www.webarchive.org.uk/wayback/archive/20140614152728/http://www.jisc.ac.uk/media/documents/programmes/plagiarism/brookes.pdf>

CIHE. 2015. "Standards for Accreditation." Accessed December 3.

[https://cihe.neasc.org/sites/cihe.neasc.org/files/downloads/Standards/Standards for Accreditation.pdf](https://cihe.neasc.org/sites/cihe.neasc.org/files/downloads/Standards/Standards%20for%20Accreditation.pdf)

Council of Europe. 2013. *Governance and Quality Education*.

http://www.coe.int/t/DG4/EDUCATION/etined/StandingConference2013_Final_Declaration_en.pdf

Council of Europe. 2015. *Pan-European Platform on Ethics, Transparency and Integrity - ETINED*.

http://www.coe.int/t/dg4/education/etined/Mission_statement_ETINED_en.pdf

Deutsche Forschungsgemeinschaft. 2013. *Vorschläge zur Sicherung guter wissenschaftlicher Praxis: Denkschrift : Empfehlungen der Kommission "Selbstkontrolle in der Wissenschaft" = Proposals for safeguarding good scientific practice : memorandum : recommendations of the Commission on Professional Self Regulation in Science*.

http://www.dfg.de/download/pdf/dfg_im_profil/reden_stellungnahmen/download/empfehlung_wiss_praxis_1310.pdf

Deutsche Forschungsgemeinschaft. 2015. "Übersichten über Ombudspersonen an Hochschulen und außeruniversitären Einrichtungen". Accessed November 7.

http://www.dfg.de/foerderung/grundlagen_rahmenbedingungen/gwp/ombudsman/

EKKA. 2015b. "Conditions and Procedure for Institutional Accreditation". Accessed December 5.

http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA-ENG_15.pdf

EKKA. 2015a. "Regulations and guidelines". Accessed December 3.

<http://ekka.archimedes.ee/en/regulations/>

Estonian academy of arts. 2015. The procedure for preparation and defending of master's theses". Accessed December 5.

<https://docs.google.com/a/artun.ee/file/d/0B5zWAWHayOJUaW13RUk1NHQyTUk/edit?pli=1>

Estonian public broadcasting. 2013. "PhD Stripped of Degree Due to Plagiarism ." Estonian public broadcasting, April 17. Accessed December 5, 2015.

<http://news.err.ee/v/politics/education/10607006-c6d7-4fec-8cd9-5c005882f9aa>

Estonian University of Life Sciences. 2015a. "Guidelines for formatting final theses"

Accessed December 5.

https://www.emu.ee/userfiles/Oppimine/inglise%20keelne%20kodukas/final%20thesis_formating.pdf

Estonian University of Life Sciences. 2015b. "Conditions and Procedure for Awarding Doctorates". Accessed December 5.

<https://www.emu.ee/userfiles/Oppimine/Conditions%20and%20Procedure%20for%20Awarding%20Doctorates%20.pdf>

European Commission/EACEA/Eurydice. 2015. The European Higher Education Area in 2015:

Bologna Process Implementation Report. Luxembourg: Publications Office of the European Union.

Glendinning, I., 2013a. *Comparison of policies for Academic Integrity in Higher Education across the European Union*. IPPHEAE Project Consortium. <http://ippheae.eu/project-results>

Glendinning I., 2013b. Plagiarism Policies in Germany. IPPHEAE Project Consortium.

http://ippheae.eu/images/results/2013_12_pdf/D2-3-06%20DE%20RT%20IPPHEAE%20CU%20Survey%20GermanyNarrative.pdf

Goebel, Nicole. 2011. "Second German politician resigns over plagiarism allegations" DW, May 12. Accessed November 6, 2015.

<http://www.dw.com/en/second-german-politician-resigns-over-plagiarism-allegations/a-15068482>

Harris, Paul. 2012. "Harvard University probes plagiarism outbreak involving 125 students"

The *Guardian*, August 31. Accessed December 1, 2015.

<http://www.theguardian.com/education/2012/aug/31/harvard-university-cheating-scandal>

Harvard College. 2015. "The Honor Code". December 1.

<http://honor.fas.harvard.edu/honor-code>

Harvard College Administrative Board. 2015. "Disciplinary Statistics for the Past Five Years". Accessed December 1. <http://adboard.fas.harvard.edu/file/3014046>

HOU. 2015. "Studies Regulations." Accessed December 2. <http://www.eap.gr/view.php?artid=1868>

- Horstkotte, Hermann. 2015. "Einmal Plagiat, immer Plagiat?" *Süddeutsche Zeitung*, September 13. Accessed November 27, 2015. <http://www.sueddeutsche.de/bildung/doktorarbeiten-einmal-plagiat-immer-plagiat-1.2644118>
- HRK. 2013. *Gute wissenschaftliche Praxis an deutschen Hochschulen*. http://www.hrk.de/uploads/tx_szconvention/Empfehlung_GutewissenschaftlichePraxis_14052013_02.pdf
- HQA. 2014a. "Legal framework." Accessed November 27. <http://www.hqaa.gr/en/insteval-legal.php>
- HQA. 2014b. "Assessment of institutions and accreditation of internal systems of quality assurance in the higher education area". Accessed November 27. http://www.hqaa.gr/data/HQA_insteval_intro_en.pdf
- ICAI. 2015a. "Statistics" Accessed December 1. <http://www.academicintegrity.org/icaei/integrity-3.php>
- ICAI. 2015b. "Way Integrity?" Accessed December 1. <http://www.academicintegrity.org/icaei/integrity-1.php>
- IPPHEAE. 2015a. "project-results". Accessed July 24. <http://ippheae.eu/project-results>
- IPPHEAE. 2015b. "Glossary of terms". Accessed July 24. <http://ippheae.eu/project-results>
- Kokkinaki A., 2013. Plagiarism Policies in the Hellenic Republic (Greece), reviewed by Catherine Demoliou and Irene Glendinning. IPPHEAE Project Consortium. [http://ippheae.eu/images/results/2013_12_pdf/D2-3-12%20GR%20RT%20IPPHEAE+UNIC+Survey+HellenicNarrative%20v.6%20\(final\).pdf](http://ippheae.eu/images/results/2013_12_pdf/D2-3-12%20GR%20RT%20IPPHEAE+UNIC+Survey+HellenicNarrative%20v.6%20(final).pdf)
- Kremp, Matthias. 2011. "GuttenPlag Wiki Im Netz der Plagiate-Jäger". *Spiegel*, February 19. Accessed November 27, 2015. <http://www.spiegel.de/netzwelt/web/guttenplag-wiki-im-netz-der-plagiate-jaeger-a-746582.html>
- Kund, Oliver. 2014. "University winks at suspected plagiarism". *Estonian news*, May 30. Accessed December 2. <http://news.postimees.ee/2811450/university-winks-at-suspected-plagiarism>
- Kühne, Anja. 2014. "Schavan verlässt Hochschulrat der LMU" *Zeit*, April 19. Accessed November 28, 2015. <http://www.zeit.de/studium/hochschule/2014-04/schavan-ruecktritt-hochschulrat-lmu>
- LMU. 2015a. "Hinweise für die Anfertigung der Bachelorarbeit". Accessed December 1. https://www.biologie.uni-muenchen.de/downloads/hweis_anf_ba.pdf
- LMU. 2015b. "Informationen zur Bachelorarbeit und zum Abschlussmodul im BA-Studiengang Politikwissenschaft". Accessed December 1. http://www.gsi.uni-muenchen.de/studium/studiengaenge/bachelor/info_ba_arbeit.pdf

- LMU. 2015c. "Writing & publishing." Accessed December 1. <http://www.en.ub.uni-muenchen.de/writing/index.html>
- LMU. 2015d. "Open Access LMU." Accessed December 2. <https://epub.ub.uni-muenchen.de/>
- Ministry of Education and Research. 2015. "Higher education." Accessed December 3". <https://hm.ee/en/activities/higher-education>
- OECD. 2011. *Strong performers and successful reformers in education education policy advice for Greece*. Paris: OECD. <http://www.oecd.org/greece/48407731.pdf>
- Perez-pena, Richard and Jess Bidgoodaug. 2012. "Harvard Says 125 Students May Have Cheated on a Final Exam". The New York Times, August 30, Accessed December 1, 2015. <http://www.nytimes.com/2012/08/31/education/harvard-says-125-students-may-have-cheated-on-exam.html>
- Perez-pena, Richard. 2013. "Students Disciplined in Harvard Scandal" The New York Times, February 1. Accessed December 1, 2015. http://www.nytimes.com/2013/02/02/education/harvard-forced-dozens-to-leave-in-cheating-scandal.html?_r=0
- PlagiarismAdvice.org. 2013. *A National strategy for addressing student plagiarism*. http://www.turnitinuk.com/assets/2013-07-25_National%20plagiarism%20strategy_a%20case%20study_GB_EN_v4.pdf
- Pastra, Yiota. 2013. "Increasing transparency and enhancing quality in Greek higher education". In *Global corruption report: education*. Transparency International, 133-136. http://files.transparency.org/content/download/675/2899/file/2013_GCR_Education_EN.pdf
- Riigi Teataja. 2015. "Copyright Act". Accessed December 5. <https://www.riigiteataja.ee/en/eli/525112013002/consolide>
- Robbins, D, Rebecca. 2012. "Harvard Investigates "Unprecedented" Academic Dishonesty Case." The Harvard Crimson, August 30. Accessed December 1, 2015. <http://www.thecrimson.com/article/2012/8/30/academic-dishonesty-ad-board/>
- Roman, Steve, 2012. "Universities to Introduce Plagiarism Detection System." Estonian public broadcasting, March 7. Accessed November 28, 2015. <http://news.err.ee/v/scitech/12c971f7-199b-452a-988f-51f619741fcf>
- Schloemann, Johan. 2011. "Akademischer Grad im Personalausweis: Nicht ohne meinen Dokortitel" Sueddeutsche July 14. <http://www.sueddeutsche.de/karriere/akademischer-grad-im-personalausweis-nicht-ohne-meinen-dokortitel-1.1120396>
- Stabingis Linas, Lina Šarlauskienė and Neringa Čepaitienė. 2013. *Plagiarism Policies in Estonia*, reviewed by Irene Glendinning. IPPHEAE Project Consortium.

http://ippheae.eu/images/results/2013_12_pdf/D2-3-08%20EE%20RT%20IPPHEAE%20ASU%20Survey%20EstoniaNarrative.pdf

Statistics Estonia. 2015. *Statistical yearbook of Estonia 2015*. Tallinn: Statistics Estonia. <http://www.stat.ee/90733>

Transparency International. 2013. *Global corruption report: education*. http://files.transparency.org/content/download/675/2899/file/2013_GCR_Education_EN.pdf

Trenkamp, Oliver. 2011. "Open Season on Academic Copycats: Web Based

Plagiarism Hunters Have Politicians Nervous. Spiegel, April 21. Accessed November 6, 2015.

<http://www.spiegel.de/international/germany/open-season-on-academic-copycats-web-based-plagiarism-hunters-have-politicians-nervous-a-758554.html>

Tsoni, Rozita, and Antonis Lionarakis. 2014. "Plagiarism in higher education: The academics' perceptions" in *Interactive Mobile Communication Technologies and Learning (IMCL)* 296-300. DOI:10.1109/IMCTL.2014.7011151

Turnitin. 2015. "The Effectiveness of Turnitin in Higher Education." Accessed December 4. http://go.turnitin.com/paper/effectiveness-turnitin-higher-education?Product=Turnitin&Notification_Language=English&Lead_Origin=Website&source=Website%20-%20Download

University of Tartu. 2015. "Good practice of doctoral studies". Accessed December 5. https://www.ut.ee/sites/default/files/www_ut/oppimine/doktoriope_heataava-en.pdf.

UCL. 2015. "Plagiarism". Accessed November 7. <http://www.ucl.ac.uk/current-students/guidelines/plagiarism/#whatis>

UCL. 2013. "Registry and academic services, appendix 42". Accessed November 7 http://www.ucl.ac.uk/srs/academic-manual/c0/archive/documents/appendices-older/Appendix_42_-_Plagiarism.pdf

University of Oxford. 2015a. "Policy and Guidance for Examiners and others involved in University Examinations". Accessed December 1. http://www.admin.ox.ac.uk/media/global/wwwadminoxacuk/localsites/educationcommittee/documents/policyguidance/P_and_G_for_Examiners_2015-16_FINAL.pdf

University of Oxford. 2015b. "Plagiarism". Accessed November 7. <http://www.ox.ac.uk/students/academic/guidance/skills/plagiarism>

University of Oxford. 2015c. "Research integrity and ethics." Accessed November 27. <http://www.admin.ox.ac.uk/rso/integrity/>

University of Oxford. 2015d. "Compliance with the Concordat to Support Research Integrity 2014 Annual Statement to Research Committee and Council". Accessed November 27.

[http://www.admin.ox.ac.uk/media/global/wwwadminoxacuk/localsites/researchsupport/documents/integrity/Compliance with the Concordat to Support Research Integrity.pdf](http://www.admin.ox.ac.uk/media/global/wwwadminoxacuk/localsites/researchsupport/documents/integrity/Compliance%20with%20the%20Concordat%20to%20Support%20Research%20Integrity.pdf)

QAA. 2015a. “The UK Quality Code for Higher Education”. Accessed November 7. <http://www.qaa.ac.uk/assuring-standards-and-quality/the-quality-code>

QAA. 2015b. “Part B: Assuring and Enhancing Academic Quality”. Accessed November 7. <http://www.qaa.ac.uk/assuring-standards-and-quality/the-quality-code>

QAA. 2015c. “Chapter B4: Enabling student development and achievement”. Accessed November 7. <http://www.qaa.ac.uk/assuring-standards-and-quality/the-quality-code/quality-code-part-b>

QAA. 2015d. “Chapter B6: Assessment of Students and the Recognition of Prior Learning”. Accessed November 7. <http://www.qaa.ac.uk/assuring-standards-and-quality/the-quality-code/quality-code-part-b>

QAA. 2015e. “Chapter B9: Academic Appeals and Student Complaints”. Accessed November 7. <http://www.qaa.ac.uk/assuring-standards-and-quality/the-quality-code/quality-code-part-b>

QAA. 2015f. “Chapter B11: Research Degrees”. Accessed November 7. <http://www.qaa.ac.uk/assuring-standards-and-quality/the-quality-code/quality-code-part-b>

QAA. 2015g. “Concerns about standards and quality in higher education.” Accessed November 6. <http://www.qaa.ac.uk/en/ReviewsAndReports/Documents/University%20of%20Buckingham/University-of-Buckingham-concerns-14.pdf>

QAA. 2015h. “Reviews and reports, University of Buckingham”. Accessed November 6. <http://www.qaa.ac.uk/reviews-and-reports/provider?UKPRN=10007787#.VjznmGSrTZs>

Wissenschaftsrat. 2015. “Recommendations on Academic Integrity”. Accessed October 15. http://www.wissenschaftsrat.de/download/archiv/4609-15_engl.pdf

Weber-Wulff, Debora. 2015. “Case Study: Plagiarism in Medical Dissertations in Germany”. Accessed November 27. <https://www.coe.int/t/DG4/EDUCATION/etined/Case-Study-Weber-Wulff-20151101.pdf>

Wolf, Sebastian. 2013. “Bribe and cheat to get a doctoral degree in Germany?” In Global corruption report: education by Transparency International, 178-184. http://files.transparency.org/content/download/675/2899/file/2013_GCR_Education_EN.pdf

პლაგიატთან დაკავშირებული გერმანული ვებგვერდები:

<http://www.vroniplag.de>

<http://de.vroniplag.wikia.com>

<http://de.guttenplag.wikia.com>

<http://politplag.de>

დანართი II

სიმონ ჯანაშია

აკადემიურ სფეროში პლაგიატის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა

1. შესავალი

1.1. დოკუმენტის მიზნები

წინამდებარე შეფასების მიზანია დავადგინოთ თუ რა პროგრამები გამოიყენება პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და საზოგადოდ შემცირებისთვის საგანმანათლებლო სივრცეში. შეფასებისას შევეცდებით დავადგინოთ პლაგიატთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის ტიპები, მათი გამოყენების პრაქტიკა, ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების მიზანია ასევე რეკომენდაციების შემუშავება ამ თუ ამგვარი პროგრამების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში გამოყენებისთვის. ძირითადი გამოყენებითი სამიზნე უმაღლესი განათლების საფეხური იქნება, თუმცა ამ შეფასების შედეგების გამოყენება სასარგებლო იქნება ასევე ზოგადი თუ პროფესიული განათლების საფეხურებზე ამ სისტემების დანერგვის შესაძლებლობების დასადგენად.

1.2. პლაგიატის მართვის პროგრამების საჭიროება და გავრცელება

მეოცე საუკუნის დასაწყისში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთში, განსაკუთრებით კი ამერიკის უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე მასიფიკაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური თვალსაზრისით. სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდა სტუდენტების დიდი მასების ნაკლები რესურსის (დროის, აკადემიური პერსონალის) დანახარჯების საფუძველზე შეფასება. რადგან დიდი რაოდენობის სტუდენტებთან ზეპირი გამოცდის ტიპი რთული გამოსაყენებელია ლოჯისტიკური და დროითი პრობლემების გამო, უფრო მნიშვნელოვანი გახდა წერითი დავალებების, როგორც სტუდენტების შეფასების ძირითადი ინსტრუმენტის გამოყენება (Marsh 2007).

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც მეოცე საუკუნის პედაგოგიურ მიდგომებში ხდება ეს არის სულ უფრო მეტი აქცენტი ნაშრომების ორიგინალურობაზე. სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება, რომ სტუდენტმა შეძლოს მანამდე არსებული ცოდნის გამეორება და სულ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მან შეძლოს არსებულ მასალის გადამუშავებით, მისი სინთეზის საფუძველზე საკუთარი დამოუკიდებელი ნაშრომი შექმნას. ამერიკული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის პირველივე წლიდან პოპულარული ხდება აკადემიური

წერის კურსები, რომლებშიც სტუდენტებს ასწავლიან აკადემიური ნაშრომების შექმნისა და სამეცნიერო, თუ პროფესიული ლიტერატურის დამუშავების საჭირო უნარ-ჩვევებს (Marsh 2007).

მეოცე საუკუნის ბოლოდან, და 21-ე საუკუნის დასაწყისიდან კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გავრცელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა უკვე არსებულ ნაშრომებზე ხელმისაწვდომობა. მართალია, სტუდენტებისთვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის გავრცელებამდეც ხელმისაწვდომი იყო სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფდა მათთვის, ან მათ ნაცვლად აკადემიური ნაშრომების დაწერას, ინტერნეტმა ორი ცვლილება მოიტანა. ერთი მხრივ აკადემიური ნაშრომის შესყიდვის სერვისები სულ უფრო გავრცელებული გახდა. მეორე მხრივ კი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მასალები, რომელთა კოპირებით თუ პირდაპირ გამოყენებით შეძლებდნენ აკადემიური კრედიტის მიღებას.

ინტერნეტში აკადემიური ნაშრომებისა და თავისუფლად არსებული მასალების გავრცელებას ორმაგი ეფექტი აქვს. ერთი მხრივ ის სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, რომ მცირე ძალისხმევით მოიპოვოს ტექსტი, რომელსაც გამოიყენებს საკუთარი ნაშრომის შესავსებად. მეორე მხრივ, ეს მასალები ასევე ხელმისაწვდომია პროფესორებისთვის და უნივერსიტეტების ადმინისტრაციების წევრებისთვისაც. შესაბამისად ინტერნეტში არსებული მასალები ასევე სასარგებლოა სტუდენტის ნაშრომში არსებული ტექსტების წყაროს გადასამოწმებლად.

2. პლაგიატის ამომცნობი პროგრამები

კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც პლაგიატთან დაკავშირებული პრობლემების მართვას უკავშირდება განსხვავდება ოთხი ძირითადი პარამეტრით: მიზნების; გამოყენების ფორმისა და ინტენსივობის; ტექნიკური პარამეტრებისა და ხელმისაწვდომობის მიხედვით. კომპიუტერული უზრუნველყოფის შექმნის მიზანი ყოველთვის არ არის პლაგიატის მხოლოდ ამოცნობა. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანი უფრო მეტად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით სწავლის მართვის გაადვილებაა. სხვა შემთხვევებში შესაძლოა ასეთი პროგრამები გამოიყენებოდეს უფრო ფართო, აკადემიური პატიოსნების დაცვის და შესაბამისად უპატიოსნო საქციელის პრევენციის თუ აღკვეთისთვის.

გამოყენების არეალის თვალსაზრისითაც პროგრამები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ზოგიერთი მათგანი ინდივიდუალური მოხმარებისთვისაა, სხვები კი ქსელური და ზოგ შემთხვევაში გლობალური გამოყენებისთვისაც. პროგრამების ტექნიკური პარამეტრები განისაზღვრება მნიშვნელოვნად მისი მიზნებისა და გამოყენების არეალის მიხედვით. პარამეტრებში გარდა სხვა დეტალებისა, მნიშვნელოვანი ხდება ასევე ამ პროგრამის თავსებადობა კონკრეტულ ენობრივ გარემოში.

პროგრამები ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავდება იქიდან გამომდინარე, თუ კომერციალიზაციის რა ფორმას ეკუთვნის კონკრეტული პროდუქტი. კომერციული პროგრამების ალტერნატივაა ღია კოდის ან თავისუფლად ხელმისაწვდომი პროგრამები. ასეთ შემთხვევებშიც გასათვალისწინებელი ხდება პროგრამების ბიზნეს-მოდელი, რომელიც განაპირობებს ამ პროგრამების სამომავლო განვითარებასა და თავად შესამოწმებელი მასალების გამოყენების საკითხებს.

2.1. პროგრამების ტიპები მათი მიზნებიდან გამომდინარე

კვლევისას გამოჩნდა, რომ პლაგიატთან დაკავშირებული პროგრამები მიზნებთან მიმართებაში ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1) პროგრამები, რომლებიც შექმნილია უფრო ფართო მიზნით და გამოდგება პლაგიატის შემოწმებისთვისაც.

პროგრამების ამ ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ საძიებო სისტემები და აკადემიურ ნაშრომთა ბაზები. პროფესორებისა და სკოლის მასწავლებლები სხვადასხვა ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით ხშირად იყენებენ გავრცელებულ საძიებო სისტემებს მოსწავლეებისა და სტუდენტების დავალებების ინტერნეტში არსებული მასალებთან შესაბამისობის დასადგენად. საძიებო სისტემებს შორის ყველაზე პოპულარულია Google.com, რომლის გამოყენება იძლევა საშუალებას, რომ გადავამოწმოთ ნამუშევარი ნებისმიერ ისეთ ტექსტთან მიმართებაში, რომელიც თავისუფლად იძებნება ინტერნეტში. Google-ს სპეციალიზებული ქვეპროგრამა, scholar.google.com საშუალებას იძლევა ტექსტი გადამოწმდეს სამეცნიერო სტატიებსა და წიგნებშიც. შესაძლებელია ასევე ვიზუალური მასალის (მაგალითად სქემების ან გრაფიკების) გადამოწმება Google-ს სურათების საძიებო სისტემის მეშვეობით.

აკადემიურ ნაშრომთა და სამეცნიერო პუბლიკაციების ბაზები ასევე იძლევა დოკუმენტების გადამოწმების შესაძლებლობას. მაგალითად, ProQuest-ის ბაზა, სადაც გარდა აკადემიური სტატიებისა დაცულია სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის დისერტაციები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ნაშრომები გადამოწმდეს პლაგიატთან მიმართებაში.

საძიებო სისტემებისა და აკადემიურ და სამეცნიერო ნაშრომთა ბაზების გამოყენებისას მიზანი არსებული ტექსტის გადამოწმებაა პლაგიატთან დაკავშირებით. ეს პროგრამები ნაკლებად გამოიყენება პლაგიატის პრევენციისთვის. ამ პროგრამების გამოყენებისას, საძიებო სისტემების შეზღუდვების გამო შემოწმება ხდება არა მთლიანი ნაშრომის, არამედ ნაშრომის მხოლოდ ნაწილის, რამდენიმე ფრაზის, აბზაცის.

2) პროგრამები, რომლებიც შექმნილია სპეციალურად პლაგიატის შესამოწმებლად.

ამ ჯგუფში ერთიანდება ის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც სპეციალური ალგორითმების მეშვეობით, ინტერნეტში, თუ სხვაგან არსებული ტექსტური თუ ვიზუალური მასალის ანალიზის საფუძველზე ადგენს პლაგიატის არსებობას სხვადასხვა ტიპის დოკუმენტში. ამ პროგრამების გამოყენების მიზანი რამდენიმეა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი პლაგიატის პრევენციაა. ზოგიერთი პროგრამა არა მხოლოდ საშუალებას აძლევს ნაშრომის ავტორს, რომ გადაამოწმოს საკუთარი ნაშრომი პლაგიატის არსებობის მიხედვით, არამედ იძლევა რეკომენდაციებს პლაგიატის თავიდან აცილების შესახებაც.

მეორე მნიშვნელოვანი მიზანი, პლაგიატის გამოვლენაა. სპეციალიზებული პროგრამები ძირითადად ამოწმებს ტექსტებს სხვა ტექსტებთან მიმართებაში და ადგენს მსგავსებას ტექსტებს შორის. თავად ამ პროგრამებს არ შეუძლიათ დანამდვილებით თქვან თუ რამდენად არის დოკუმენტი პლაგიატიზებული ტექსტის შემცველი. ეს ამ პროგრამების მომხმარებლის საქმეა. მაგალითად, შესაძლებელია, რომ სტუდენტმა ერთი და იგივე დოკუმენტი პროფესორთან წარადგინოს და ინტერნეტშიც ატვირთოს თავისუფალი გავრცელებისთვის. პლაგიატის ამომცნობი პროგრამა ავტომატურ რეჟიმში ვერ დაადგენს, თუ რამდენად გვაქვს პლაგიატთან საქმე, რადგან მას არ შეუძლია ამ დოკუმენტების ავტორების, გავრცელებისა და შექმნის თარიღების, გავრცელების მიზნებისა და მრავალი სხვა პარამეტრების მიხედვით ანალიზი. პროგრამა აწვდის შემმოწმებლებს ანალიზს ტექსტების მსგავსების შესახებ, თუმცა დასკვნის გაკეთება პლაგიატის არსებობისა თუ ფორმის შესახებ თავად შემმოწმებლის გასაკეთებელია.

პლაგიატის ამომცნობი პროგრამების ნაწილის მიზანი, სასწავლო დაწესებულებებს საშუალება მისცეს დიდი რაოდენობის სტუდენტების ნაშრომების ანალიზის გამარტივება. მცირე რაოდენობის სტუდენტების შემთხვევაში, პლაგიატის ამოცნობა შედარებით მარტივია, რადგან პროფესორები უკეთესად იცნობენ სტუდენტებს, მათ შესაძლებლობებს. დიდი რაოდენობის სტუდენტების შემთხვევაში, პროფესორებს ხშირად ჰყავთ ასისტენტები, რომლებსაც ზოგჯერ დიდი რაოდენობის ნაშრომის მოკლე პერიოდში გასწორება უწევთ. მცირე რაოდენობის სტუდენტების შემთხვევაში ასევე უფრო მარტივია არასპეციალიზებული პროგრამების გამოყენება, რადგან ასეთის გამოყენებისთვის საჭირო დროის დანახარჯი ნაშრომების გასწორებისას შეფერხებას არ ქმნის.

2.2. პროგრამების ტიპები გამოყენების ფორმისა და ინტენსივობის

მიხედვით

პლაგიატის ამომცნობი პროგრამების გამოყენება მრავალგვარად ხდება. მათი გამოყენება ხდება არა მხოლოდ იმისთვის, რომ მოხდეს სხვადასხვა ავტორების ტექსტებს შორის შედარება. არსებობს პროგრამები, რომლებიც ადგენს, თუ რამდენად მიეკუთვნება ტექსტი კონკრეტულ პიროვნებას მისი ავტორობით შექმნილი რამდენიმე ტექსტის შედარების საფუძველზე.

პლაგიატის ამომცნობი პროგრამების გამოყენება სხვადასხვა ინსტიტუციებში სხვადასხვაგვარად ხდება. პროგრამების სპეციფიკა ასევე განსაზღვრავს იმას, თუ რა ინტენსივობით შეიძლება მოხდეს მათი გამოყენება.

2.2.1 პლაგიატის ამომცნობი პროგრამები მათი გამოყენების ფორმის მიხედვით

ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ პლაგიატის ამომცნობ სპეციალიზებულ პროგრამებს. მათი დაყოფა გამოყენების ფორმის მიხედვით შესაძლებელია ორ ძირითად ტიპად:

ა) პროგრამები, რომლებიც ადარებს ტექსტებს ერთმანეთს (შედარების პროგრამები).

ეს პროგრამები ადარებს ერთ ტექსტს მეორეს და ადგენს არის თუ არა მათ შორის ტექსტობრივი მსგავსება იმისთვის, რომ შემდგომში განისაზღვროს, არის თუ არა ნაშრომში მოცემული პლაგიატის ნიმუში. პროგრამების ეს ტიპოლოგიური ჯგუფი პლაგიატის ამომცნობ პროგრამების უმრავლესობას მოიცავს და მათ ჩამოთვლას ამ ნაწილში არ შევეცდებით. მათი აღწერა და მუშაობის პრინციპი იხილეთ ქვევით.

ბ) პროგრამები, რომლებიც ავტორობის ნამდვილობას ამოწმებს (გამოსაცდელი პროგრამები)

ამგვარი პროგრამა აძლევს საშუალებას შემმოწმებელს გამოცადოს ტექსტის შემქმნელი (სტუდენტი, მოსწავლე ან სხვა) ნაშრომის მის ავტორობაში. ასეთი პროგრამა იძლევა საშუალებას ჩატარდეს გარკვეული გამოცდა, რომელიც დაადგენს, თუ რამდენად არის კონკრეტული ტექსტი კონკრეტული ადამიანის შექმნილი. ამგვარი პროგრამების გამოყენება მნიშვნელოვნად ნაკლებად არის პოპულარული, ვიდრე შედარების პროგრამების. ეს გამოწვეულია იმით, რომ შემოწმება მოითხოვს ნაშრომის ავტორის თანამონაწილეობას და შესაბამის ლოჯისტიკურ დროით თუ სხვა დანახარჯებს.

ამ ჯგუფში ყველაზე თვალსაჩინოა პროგრამები, რომლებიც შექმნილია Glatt-ის მიერ⁷. Glatt თავის მომხმარებლებს სთავაზობს სამ პროგრამას: პლაგიატის შესახებ თვითმასწავლებელს, პლაგიატის შემოწმების და პლაგიატის თვით-შემოწმების პროგრამებს.

პირველი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის პლაგიატი და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება. მეორე, გამოიყენება პროფესორების მიერ იმისთვის, რომ დაადგინონ, თუ რამდენად ეკუთვნის ნამუშევარი კონკრეტულ ავტორს. ამ პროგრამის მუშაობის პრინციპი შემდეგია: პროგრამა იღებს სტუდენტის ნამუშევარს ტექსტურ ფორმატში და მასში გარკვეულ ალბათობის მიხედვით სიტყვებს შლის. სტუდენტმა უნდა შეძლოს ამ სიტყვების ხელახლა შევსება, თუ ეს ნაშრომი მას ეკუთვნის. პროგრამა ამოწმებს სტუდენტის ხელახლა შევსებულ დოკუმენტს პირველად დოკუმენტთან მიმართებაში და გარკვეული მიახლოებით ადგენს, თუ რამდენად ერთი და იმავე ავტორისაა ეს ორი დოკუმენტი.

Glatt-ის თვითშემოწმების პროგრამა იმავე ალგორითმს იყენებს რაც შემოწმების პროგრამა. ამ შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია შეამოწმოს, თუ რამდენად შესწევს მას ძალა, რომ

⁷ Glatt Plagiarism Services. <http://plagiarism.com> ნანახია, 15.01.2016

აღიდგინოს ტექსტის დეტალები იმ შემთხვევაში, თუ მას პლაგიატის გამოყენებას დასწამებენ.

ამ პროგრამის უპირატესობა შედარების პროგრამებთან შედარებით არის ის, რომ ამგვარად შესაძლებელი ხდება დოკუმენტის ავტორობის ნამდვილობის დადგენა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესადარებელი ტექსტები ხელმისაწვდომი არ არის. საქართველოს რეალობაში, ამგვარი პროგრამა სასარგებლო იქნებოდა განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ტექსტი ნათარგმნია რაიმე უცხოენოვანი წყაროდან, ან კოპირებულია ისეთი დოკუმენტიდან/წიგნიდან, რომლის ციფრული ვერსია ხელმისაწვდომი პლაგიატის ამომცნობი პროგრამებისთვის არ არის.

2.2.2 პლაგიატის ამომცნობი პროგრამების გამოყენების ინტენსივობა

საგანმანათლებლო დაწესებულებები სხვადასხვა სტრატეგიას ირჩევენ პლაგიატის ამომცნობ სპეციალურ პროგრამების დანერგვისას. არსებობს პრაქტიკა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვადასხვა მიმართულებაზე, ან სწავლის საფეხურებზე ამგვარი პროგრამების გამოყენების ფორმები და ინტენსივობა ასევე განსხვავდება. მაგალითად ზოგ შემთხვევაში, ბაკალავრიატის საფეხურზე, შესაძლებელია ზოგიერთი მასობრივი კურსების მართვისთვის ყველა ტექსტური დავალების პლაგიატზე შემოწმება ავტომატურ რეჟიმში ხდებოდეს. იმავე დაწესებულებაში შესაძლებელია სხვა რეჟიმი მოქმედებდეს პოსტბაკალავრო საფეხურზე. ამგვარი მაგალითია კოლუმბიის უნივერსიტეტი, სადაც მაგალითად ბარნარდის კოლეჯში ბაკალავრიატის საფეხურზე გამოიყენება პლაგიატის შემოწმების პროგრამები პრაქტიკულად ავტომატურ დონეზე, მაშინ, როდესაც პოსტბაკალავრო საფეხურზე, მაგალითად კოლუმბიის განათლების სკოლაში (Teachers College, Columbia University) ეს პროგრამები გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგალითს თუ გავყევით, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პლაგიატის ამომცნობი პროგრამა ხელმისაწვდომია ნებისმიერი პროფესორისთვის, მიუხედავად იმისა თუ რომელ საფეხურზე ან მიმართულებაზე ასწავლის. თუ მისი კურსის ფარგლებში ნაშრომების შემოწმება ავტომატურ რეჟიმში არ მიმდინარეობს, პროფესორი ნაშრომების გადასამოწმებლად უკავშირდება სპეციალიზებულ ტექნიკურ სამსახურს, რომელიც მას ეხმარება ამ პროგრამის გამოყენებაში. კოლუმბიის უნივერსიტეტი იყენებს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ პროგრამულ უზრუნველყოფას Turnitin-ს⁸.

პლაგიატის ამომცნობი პროგრამების გამოყენების ინტენსივობა ამგვარად შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც საყოველთაო და შერჩევითი. საყოველთაო შემოწმებისას მოწმდება ყველა სტუდენტი და ზოგ შემთხვევაში ასევე ყველა ნამუშევარი. შერჩევითი გამოყენებისას მოწმდება მხოლოდ ის ნამუშევარი, რომელიც აჩენს ეჭვს პლაგიატის თაობაზე.

⁸ Turnitin LLC. <http://turnitin.com> ნანახია 15.01.2016

საყოველთაოობა ასევე შეგვიძლია განვიხილოთ საუნივერსიტეტო პოლიტიკის პერსპექტივიდანაც. ზოგიერთი უნივერსიტეტი ყველა პროფესორისგან ან კურსის ფარგლებში მომუშავე ნებისმიერი ასისტენტისგან ითხოვს, რომ ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის თაობაზე. ამგვარი მაგალითია საქართველოში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესავალი კურსი (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში). ამ კურსის ფარგლებში ყველა სტუდენტის პრაქტიკულად ყველა ნამუშევარი, მიუხედავად იმისა თუ რომელ პროფესორის მოდულს, თუ რომელ ასისტენტის ჯგუფში იქმნება ნაშრომი გადის შემოწმებას პლაგიატთან დაკავშირებით.

პლაგიატის შემოწმების ინტენსივობის ნაწილია ასევე გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეუძლია სტუდენტს თავად შეამოწმოს საკუთარი ნაშრომი. ეს მნიშვნელოვანია რამდენიმე პერსპექტივიდან. ერთი მხრივ, სტუდენტი ამ პროცესში სწავლობს, თუ რას ნიშნავს სწორი ფორმით ციტირება და როგორ უნდა დაიცვას მან აკადემიური პატიოსნების სტანდარტები. მეორე მხრივ, სტუდენტისთვის მეტი შესაძლებლობა არსებობს, რომ მისი ნაშრომის შეფასებისას მოსალოდნელი პრობლემების პროგნოზირება შეძლოს.

საყოველთაო შემოწმების დადებითი მხარეა, რომ სტუდენტებს შორის არ ჩნდება უთანასწორობის შეგრძნება. შერჩევითი შემოწმებისას სტუდენტს შეიძლება გაუჩნდეს გრძნობა, რომ მის მიმართ დაბალია ნდობა, სხვა სტუდენტებთან შედარებით. საყოველთაო შემოწმებისას ასევე მეტია სტატისტიკური ინფორმაცია პლაგიატის პრობლემასთან დაკავშირებით. პროგრამების ნაწილი (მაგ. Turnitin, Urkund და სხვ.) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტებმა მიიღონ საერთო სტატისტიკური მონაცემი სტუდენტების ნამუშევრებში არსებული პლაგიატის გამოვლენის ინტენსივობის შესახებ.

საყოველთაო შემოწმებას სამი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს. საჭირო ხდება მნიშვნელოვანი რესურსების დახარჯვა, იმისთვის რომ ეს შემოწმება შესაძლებელი გახდეს. პლაგიატის შემოწმების პროგრამებს სჭირდებათ დრო, იმისთვის რომ დიდი რაოდენობის მასალები გადაამოწმონ. ამიტომ, უნივერსიტეტებსა და პროფესორებს უწევთ სწორად დაგეგმონ ნაშრომების ჩაბარების დროები. მეორე მხრივ, უნივერსიტეტებს შესაძლოა ჰქონდეთ შეზღუდვა მომხმარებლების, ან ნაშრომების მიხედვით - პლაგიატის პროგრამების ლიცენზიებიდან გამომდინარე. მესამე, პროფესორებს უწევთ დამატებითი ინფორმაციის გაცნობა, რაც სხვა შემთხვევაში შესაძლოა არც ყოფილიყო მათთვის წარდგენილი დავალებებთან ერთად. პლაგიატის ამომცნობი პროგრამის ანგარიში საყოველთაო შემოწმებისას ნაშრომის შეფასების პედაგოგიური პროცესის ნაწილი ხდება და ეს დამატებით ძალისხმევას მოითხოვს პროფესორებისგან.

პროფესორებს პლაგიატის ამომცნობი პროგრამის გამოყენებისას სჭირდებათ რამდენიმე ახალი უნარის ათვისება. პროგრამის მიერ გენერირებული ანგარიშების წაკითხვას სჭირდება სპეციფიკური ტერმინებისა და კონცეფციების ათვისება. ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ როგორ შეიძლება ნაშრომის დამატებით გადამოწმება. პლაგიატის გამოვლენის

შემთხვევაში, პროფესორებს ზოგჯერ უწევთ ასევე ამ პროგრამული უზრუნველყოფის მიერ წარმოებული ანგარიშების სტუდენტებისთვის წარდგენა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებაც.

2.3. პროგრამების ტექნიკური მახასიათებლები

პლაგიატის ამომცნობი პროგრამები განსხვავდება ერთმანეთისგან მრავალი ტექნიკური პარამეტრის მიხედვით. ამ მიმოხილვაში შეუძლებელია ყველა ამ განსხვავების აღწერა. შესაბამისად ქვემოთ აღწერილი იქნება ის პარამეტრები, რომლებიც შესაძლოა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყოს საქართველოს უნივერსიტეტებში პლაგიატის ამომცნობი კომპიუტერული სისტემების დანერგვისთვის და შემდგომი განვითარებისთვის.

ა) პროგრამული უზრუნველყოფის საოპერაციო გარემო

პლაგიატის ამომცნობი პროგრამების საოპერაციო გარემო სამ ტიპად შეიძლება დავყოთ: 1. პერსონალურ კომპიუტერზე დაინსტალირებად ან გაშვებად პროგრამად; 2. ორგანიზაციის ქსელში სამუშაოდ, ამავე ორგანიზაციის სერვერზე დაინსტალირებად და 3. ე.წ. Web-based ან სხვაგვარად Cloud-based სერვისად. პირველ შემთხვევაში საჭირო ხდება, რომ ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება სურს იყენებდეს იმ კომპიუტერს, რომელზეც შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა აყენია. მეორე შემთხვევაში, ამ ადამიანს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ორგანიზაციის სერვერზე ინტერნეტ ბრაუზერის ან სპეციალურად შემუშავებული პროგრამული კლიენტის/აპლიკაციის მეშვეობით. მესამე კონფიგურაციისას, უმეტეს შემთხვევაში ადამიანს შეუძლია ინტერნეტ ბრაუზერის მეშვეობით გამოიყენოს სერვისის მიმწოდებელი კომპანიის ვებ სერვერზე არსებული პროგრამული მომსახურება.

ზოგიერთ შემთხვევაში ხდება საოპერაციო გარემოს კომბინირება. თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებებში პლაგიატის ამომცნობ პროგრამების ეფექტური ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია ამ პროგრამების თავსებადობა სწავლის მართვის სისტემებში (LMS) ინტეგრირების შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ პირობებში, როდესაც შემოწმება საყოველთაოა. ამ შემთხვევაში სტუდენტების დიდი ნაწილი ტვირთავს სწავლის მართვის სისტემებში, როგორცაა Moodle, Sakai, Blackboard და ა.შ. თავის ნამუშევრებს, რომლებიც ან ავტომატურად, ან სპეციალური წარდგენის საფუძველზე მოწმდება პლაგიატის თაობაზე. პლაგიატის ამომცნობი პროგრამები ამ შემთხვევაში სწავლის მართვის პროგრამების ე.წ. პლაგინების (დამატებების) საშუალებით ფუნქციონირებს.

ბ) შედარებისთვის გამოყენებული მასალების წყაროები

პლაგიატის ამომცნობი პროგრამები, რომლებიც დოკუმენტების შედარების საფუძველზე მუშაობს, ძირითადად იყენებს ტექსტების წყაროთა ოთხ ჯგუფს:

- 1) პროფესორის ან უნივერსიტეტის მიერ შექმნილ დოკუმენტების ბაზა. მაგალითად პროფესორს შეიძლება ჰქონდეს მის კურსის ფარგლებში შემუშავებული ნაშრომები. ასევე უნივერსიტეტს შეიძლება ჰქონდეს თავისი სტუდენტებისა და პროფესორების მიერ შემუშავებული ნაშრომების ბაზა.
